# ლელო

№039 (12 109) 17 თებერვალი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი



ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა




## შეავსეთ თასი

ხვალ ქართული საფეხბურთო სეზონი სათასო მერვედფინალებით განახლდება

წინათქმა 2

## გარანტიები? მინიმუმ 200 ათასი დოლარი

ინტერვიუ დიმიტრი რამიშვილთან 3

## ესპანეთი ექვქვეშაა

სანაკრებო ამბავი

კარლ ცაისის მწვრთნელი ჰაიკო ვებერი:

## პადერნბორნს ძლიერი თავდასხმა ჰყავს, მაგრამ ჩვენს კარში ლომაია დგას 4



## რიიკაარდი ბარსელონას ტოვებს

ვან ბასტენი, ლიპი თუ შუსტერი? 6

# გოგუა ციმბირისკენ

მერაბ მამულაშვილი

გოგიტა გოგუას ტომსკის "ტომში" გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. მოლაპარაკებამ ფეხბურთელსა და კლუბს შორის მოსკოვში წარმატებით ჩაიარა. მოგეხსენებათ ქართველი ფეხბურთელი რუსეთის დედაქალაქში ჩერვიჩენკოსთან შესახვედრად და თავისი მომავალი კლუბის გასარკვევად ჩავიდა. მოსკოვში შეიკრიბა "ტომიც", საიდანაც კლუბი, ქართველთან ერთად, გეზს ესპანეთისკენ აიღებს მომავალი სეზონისთვის მოსამზადებლად. გოგუასადმი ინტერესს ნალჩიკის "სპარტაკი" და რამენსკოეს "სატურნიც" იჩენდნენ, მაგრამ შეთავაზებული პირობებით "ტომს" ვერავინ აჯობა.



# კალაძე და რონალდო სტარტზე

ევროუიქენდის წინ 8-10





იტალიური სააგენტოების ცნობით, კახა კალაძე მზადაა, "სიენასთან" დღევანდელ მატჩში "მილანს" პირველივე წუთიდან დაეხმაროს. კარლო ანჩელოტის კომენტარზე დაყრდნობით, პრესა წერს, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი უკვე სასტარტო შემადგენლობაში გამწესებას იმსახურებს. ვარაუდობენ, რომ დაცვის ცენტრში კალაძე პაოლო მალდინის ადგილს დაიკავებს. კახას დაბრუნება საქართველოს ეროვნული გუნდისთვის პირდაპირ მისწრებაა. მნიშვნელოვანია, რომ შოტლანდიამდე დარჩენილ დროში მან საჭირო კონდიციები დაიბრუნოს. იქამდე კი "მილანს" ჯერ მარტო ჩემპიონატში 6 მატჩის ჩატარება უწევს და იმედია, კალაძე თავის სიმაღლეზე ავა...
როგორც ამბობენ, დღეს ძირითადში პირველად ითამაშებს რონალდოც, რომელიც, კალაძის თქმით, თურმე თავდაუზოგავად ვარჯიშობს. რაკი რონალდო ვახსენეთ, აქვე გეტყვით, რომ "მილანი" დღეს სამი ბრაზილიელით შეუტევს. იტალიური მედიის მტკიცებით, "ფენომენთან" და კაკასთან ერთად, სასტარტოში რიკარდო ოლივეირაც იქნება...

# ჰიტცფელდი: რაული უნდა ვიყიდოთ!



6



**დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება XVII**

მერვედფინალი
პირველი მატჩები

# გლდანი და ორი ამბიცია




ამერი-დინამოს დაპირისპირება ყოველთვის გამორჩეულია

**ხვალ** ქართული საფეხბურთო სამყაროს ხანგრძლივი მოლოდინი დასრულდება და საქართველოს თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩებით სეზონი განახლდება. ტიტულებისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევა, შესაბამისად, მოედნებზე დაძაბულობა იმატებს და დიდი იმედი გვაქვს, ამის პირდაპირპროპორციულად - ტრიბუნებზე ქომაგიც. და რაც მთავარია, ვისურვოთ, რომ გამარჯვებულები ყველაგან და ყოველთვის პატიოსან ბრძოლაში გამოვლინდნენ.

18 თებერვალი. თბილისი.
ამერი. 14:00

**ამერი–დინამო**

არბიტრი: ლ. კვარაცხელია
ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, ზ. მენთეშაშვილი

თასის მოპოვების კიდევ ორი რეალური პრეტენდენტი, "ზესტაფონი" და "სიონი" რომ არა, ამ წყვილს უყოყმანოდ მოვნათლავდით ნაადრევ ფინალად. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ "ამერი"-"დინამოს" დაპირისპირება ცენტრალურია. გულშემატკივრები და სპეციალისტები იმ შეხვედრათაგან, რომლებითაც შიდაქართული სეზონი უნდა განახლდეს, უპირველეს ყოვლისა, გლდანურ ჯახს ელიან.

ძნელი წარმოსადგენია, ამ გუნდების ორრაუნდიანმა ბრძოლამ ულიმლამოდ რომ ჩაიაროს. ერთმანეთის წინაშე ხომ მოტივაციითა და ჯანსალი ამბიციებით ალსავსე მეტოქეები წარდგებიან.

"დინამომ" აქტიური სატრანსფერო პოლიტიკა აწარმოა და გამორჩეულ ქართველებთან ერთად, საკმაოდ კვალიფიციური უცხოელებიც დაიმატა. "ამერს" რაც შეეხება, თასის მოქმედ მფლობელებს სატრანსფერო პერიოდში დიდად არ უაქტიურიათ, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა პასიურობა გუნდის სიძლიერითაა განპირობებული – **გიორგი ჩიხრაძეს** ხომ თითო პოზიციაზე ორი მაღალი დონის შემსრულებელი ჰყავს და **დუშან უჰრინისგან** განსხვავებით, სეზონის პირველ ნახევარში საკადრო პრობლემები ნაკლებად ჰქონდა.

ერთი სიტყვით, ხვალ, გლდანში, ქართული საზომებით, დიდი ფეხბურთია. ვფიქრობთ, როგორც ორი ამბიციური კრებულის ჭიდილის წინ ხდება ხოლმე, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსები ამჯერადაც 50/50-ზე უნდა შევაფასოთ.

**გიორგი ჩიხრაძე** (ამერი): *"თბილისის "დინამოს" სახით, თასის მეოთხედფინალში ძლიერი მეტოქე გვყავს. დუშან უჰრინის გუნდმა კარგი მოსამზადებელი შეკრება გაიარა, ფეხბურთელები დაიმატა, გაძლიერდა და ვფიქრობ, "დინამო" ამიერიდან უკეთესი გუნდი იქნება. ჩვენც ნაყოფიერად მოვემზადეთ. ზამთრის პაუზის შემდეგ, პირველი ოფიციალური მატჩი ყოველთვის რთულია, მაგრამ, ვფიქრობ, ეს შეხვედრა საინტერესო უნდა იყოს. ჩემი აზრით, ორივე გუნდს ნახევარფინალში გასვლისთვის თანაბარი შანსი აქვს. რა თქმა უნდა, კვირის მატჩი ძალიან ბევრს გადაწყვეტს".*

"დინამოს" მწვრთნელებმა მატჩისწინა კომენტარზე უარი განაცხადეს.

18 თებერვალი. ბორჯომი.
ცენტრალური. 14:00

**ბორჯომი–ზესტაფონი**

არბიტრი: ლ. სილაგავა
ასისტენტები: ლ. მიქელაძე, მ. ურუშაძე

"ამერისა" და "დინამოს" მსგავსად, მოსამზადებელი ეტაპი "ზესტაფონმაც" სოლიდურად განვლო. **თემურ მახარაძის** გუნდის ბირთვი დიდად არ შეცვლილა, მაგრამ გარკვეული გადაადგილებები მაინც მოხდა. ზესტაფონელთა ახალ ბრაზილიელებს ოფიციალურ მატჩში პირველად ვიხილავთ საქმეში და ვნახოთ, როგორ გაამართლებენ მწვრთნელთა და ქომაგთა მოლოდინს. ისე კი, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ერთობ ძლიერი შემსრულებლები უნდა იყვნენ.

"ბორჯომი" სტატისტის როლს არ შეეგუება და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წყვილის ფავორიტს იოლად არაფერს დაუთმობს. სამცხელები მეტოქისდარი ფინანსური შესაძლებლობითა და შემადგენლობით არ გამოირჩევიან, მაგრამ **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდში სულ ახლახან რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ჩაირიცხა, რომელთა იმედიც ამ გამოცდილ მწვრთნელს ნამდვილად შეიძლება ჰქონდეს.

**ვლადიმერ ხაჩიძე** (ბორჯომი): *"ამ შეხვედრას ჩემპიონატისთვის კარგად მოსამზადებელ საშუალებად განვიხილავთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კვირას ბოლომდე არ ვიბრძოლებთ ან საუკეთესო შემადგენლობას არ დავაყენებთ. "ზესტაფონი" უდავოდ "ბორჯომზე" ძლიერი გუნდია, მაგრამ სათასო შეხვედრის წინ თავს მშვიდად ვერავინ დაიგულებს".*

**პაატა ლურსმანაშვილი** (ზესტაფონი): *"მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში "ბორჯომს" საკმაო სხვაობით ვუსწრებთ, დარწმუნებული ვარ, რომ კვირას დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიწევს. ბუნებრივია, მიზნად მომდევნო ეტაპზე გასვლას ვისახავთ, მაგრამ ისიც კარგად გვესმის, რომ სერიოზულ მეტოქესთან გვიწევს თამაში. ორი ახალი ბრაზილიელის განაცხადში შეყვანა ამ შეხვედრისთვის ვერ ესწრება, სამაგიეროდ, ბორჯომში თამაშის უფლება როინ ონიანს აქვს".*

18 თებერვალი. გორი.
ქართლი. 14:00

**ჩიხურა–სიონი**

არბიტრი: გ. ვადაჭკორია
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, გ. დოგრაშვილი

"ჩიხურას" პრობლემებზე "ლელო" ლამის ყოველ ნომერში წერდა, ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილმა საჩხერელებმა დუბლშემადგენლობას რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე დაამატეს, რითიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების რეალური იმედი გაუჩნდათ.

აი, თასის მეოთხედფინალს რაც შეეხება, ობიექტურად უნდა ვთქვათ, რომ სახელდახელოდ შეკრებილი გუნდით "სიონის" ძლევა, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია.

მართალია, ბოლნისელები უცხოურ შეკრებაზე არ ყოფილან, მაგრამ იმდენი გამორჩეული ფეხბურთელი დაიმატეს, წესით, მათი მეშვეობით, ეს ხარვეზი ნაკლებშესამჩნევი უნდა გახდეს. "სიონი" ორივე ფრონტზე ტიტულს ისახავს მიზნად, მაგრამ ჩემპიონატის სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, თასის დაუფლების გაცილებით უკეთესი შანსი აქვს.

წყვილი მეტ-ნაკლებად თანაბარი მაინც რომ იყოს, **ხვიჩა ქასრაშვილისა** და მისი ყოფილი გუნდის ბრძოლაზე გავამახვილებდით ყურადღებას. შეგახსენებთ, ზუსტად ერთი წლის წინ, იგი "სიონის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე იგი **კახა ცხადაძემ** შეცვალა. ამ უკანასკნელს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა დისკვალიფიკაცია ახლახან მოუხსნა.

როგორც ხედავთ, შეხვედრა გორშია დანიშნული. საჩხერის სტადიონზე თამაშის ნება პროფლიგამ არ გასცა და "ჩიხურა" მომავალ საშინაო მატჩებსაც "ქართლზე" გამართავს.

**ხვიჩა ქასრაშვილი** (ჩიხურა): *"თბილისის "დინამოდან" კიდევ ორი ფეხბურთელი, რევაზ ქემოკლიძე და კახა მახარაძე დავიმატეთ. უთამაშებლობის გამო, ისინი, ჯერჯერობით, არცთუ კარგ ფორმაში არიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე სათანადოდ ათამაშდებიან. სხვა რა გითხრათ, როგორც იცით, გუნდი სახელდახელოდ შევკრიბეთ და ასეთ პირობებში, ძლიერ მეტოქესთან წარმატების შანსი მინიმალურია".*

**კახა ცხადაძე** (სიონი): *"ახალწვეულთა ტრანსფერების ფორმალურ მხარეს ვაგვარებთ. ერთადერთი **ვიტალი დარასელია** დაგვრჩა განაცხადში შესაყვანი. მალე მისი სატრანფერო ფურცელიც ჩამოვა და ამ ფორმალობასაც მოევლება. ასე რომ, კვირის მატჩში დარასელიაც დაგვეხმარება. "ჩიხურასთან" მატჩისთვის ჩვეულებრივ ვემზადებით. სათასო შეხვედრები სპეციფიკურია და საქმესაც სერიოზულად ვუდგებით. მეტოქის პრობლემების მიუხედავად, იოლ თამაშს ნამდვილად არ ველი".*

18 თებერვალი. ბათუმი.
ადელი. 14:00

**ბათუმი–ტორპედო**

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი
ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ზვ. ერქვანია

დალხენილი არც ბათუმელებზე ითქმის და არც ქუთათურებზე. ორივე გუნდისთვის მოსამზადებელი პერიოდი საკმაოდ რთულად წარიმართა. ავად თუ კარგად, ამ წყვილის მონაწილეები დღევანდელ დღემდე მოვიდნენ. ბუნებრივია, თასისთვის ბრძოლაში ფავორიტად ვერც ერთს დავასახელებთ, მაგრამ ნახევარფინალისთვის "ბათუმიცა" და "ტორპედოც" სხვებზე ნაკლები შემართებით ნამდვილად არ იბრძოლებენ. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული **ლობჟანიძე** დააკლდებათ.

"ბათუმმა" სტადიონის პრობლემა მოაგვარა და პროფლიგისგან საშინაო მატჩების "ადელზე" ჩატარების ნებართვა მიიღო.

**ამირან გოგიტიძე** (ბათუმი): *"თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გუნდის მზადების დონე დამაკმაყოფილებელია. ოთხი ფეხბურთელი სულ ახლახან შემოგვიერთდა, რაც კიდევ უფრო გაგვაძლიერებს. ჩემპიონატში მაღალ საფეხურებს ვერ შევწვდებით, სამაგიეროდ, თასზე წარმატებული გამოსვლის იმედი გვაქვს და აქედან გამომდინარე, "ტორპედოსთან" შეხვედრისთვის განსაკუთრებული მონდომებით ვემზადებით. ვფიქრობ, ნახევარფინალში გასვლის შანსი ორივე გუნდს თანაბარი აქვს, დანარჩენს კი თამაშები გვიჩვენებს".*

**ზაზა ზამთარაძე** (ტორპედო): *"მატჩს საბრძოლო განწყობით ვხვდებით. მოსამზადებელ ეტაპზე ამინდების გამო ცოტა ხელი შეგვეშალა, მაგრამ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ნორმალურად მოვემზადეთ და ჩავარდნებიც აღარ გვქონია.*

*მეტოქეზე დეტალური არა, მაგრამ, გარკვეული წარმოდგენა გვაქვს. პირველ მატჩში მასპინძელი "ბათუმია", ყველანაირად შევეცდებით, სასურველი ანგარიშს მოვალწიოთ და მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის ვიბრძოლოთ. ნახევარფინალში გასვლის შანსებს სადღეისოდ თანაბრად შევაფასებდი".*

**ლევან ჯანეზაშვილი,**
**დავით ცაბაძე**

## გზა მეოთხედფინალამდე

### A ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| ამერი | 3:0 | სპარტაკი |
| ზესტაფონი | 5:0 | კახეთი |
| სპარტაკი | 0:3 | კახეთი |
| ამერი | 2:0 | ზესტაფონი |
| ზესტაფონი | 0:0 | სპარტაკი |
| კახეთი | 1:1 | ამერი |
| სპარტაკი | 0:2 | ამერი |
| კახეთი | 0:2 | ზესტაფონი |
| კახეთი | 3:0 | სპარტაკი |
| ზესტაფონი | 4:1 | ამერი |
| სპარტაკი | 0:3 | ზესტაფონი |
| ამერი | 2:0 | კახეთი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ზესტაფონი | 6 | 4 | 1 | 1 | 14-2 | 13 |
| 2 ამერი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-5 | 13 |
| 3 კახეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| 4 სპარტაკი | 6 | 0 | 1 | 5 | 0-14 | 1 |

### B ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0:0 | მესხეთი |
| ტორპედო | 4:1 | ბორჯომი |
| მესხეთი | 0:1 | ბორჯომი |
| ვიტ ჯორჯია | 0:1 | ტორპედო |
| ტორპედო | 0:0 | მესხეთი |
| ბორჯომი | 0:0 | ვიტ ჯორჯია |
| მესხეთი | 0:0 | ვიტ ჯორჯია |
| ბორჯომი | 0:0 | ტორპედო |
| ბორჯომი | 3:1 | მესხეთი |
| ტორპედო | 1:0 | ვიტ ჯორჯია |
| მესხეთი | 3:0 | ტორპედო |
| ვიტ ჯორჯია | 4:0 | ბორჯომი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ტორპედო | 6 | 3 | 2 | 1 | 6-4 | 11 |
| 2 ბორჯომი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-9 | 8 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 6 | 1 | 3 | 2 | 4-2 | 6 |
| 4 მესხეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 4-4 | 6 |

### C ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| დინამო | 4:1 | ნ.დინამოელი |
| ოლიმპი | 0:0 | ჩიხურა |
| ნ.დინამოელი | 0:2 | ჩიხურა |
| დინამო | 3:0 | ოლიმპი |
| ოლიმპი | 3:0 | ნ.დინამოელი |
| ჩიხურა | 2:0 | დინამო |
| ნ.დინამოელი | 0:3 | დინამო |
| ჩიხურა | 1:0 | ოლიმპი |
| ჩიხურა | 1:1 | ნ.დინამოელი |
| ოლიმპი | 3:2 | დინამო |
| ნ.დინამოელი | 3:2 | ოლიმპი |
| დინამო | 5:1 | ჩიხურა |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო | 6 | 4 | 0 | 2 | 17-7 | 12 |
| 2 ჩიხურა | 6 | 3 | 2 | 1 | 7-6 | 11 |
| 3 ოლიმპი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-9 | 7 |
| 4 ნ. დინამოელი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-15 | 4 |

### D ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| სიონი | 2:0 | მეშაქრე |
| მერანი | 0:4 | ბათუმი |
| მეშაქრე | 0:2 | ბათუმი |
| სიონი | 2:1 | მერანი |
| მერანი | 2:0 | მეშაქრე |
| ბათუმი | 1:1 | სიონი |
| მეშაქრე | 0:2 | სიონი |
| ბათუმი | 1:1 | მერანი |
| ბათუმი | 3:0 | მეშაქრე |
| მერანი | 0:1 | სიონი |
| მეშაქრე | 3:1 | მერანი |
| სიონი | 1:0 | ბათუმი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 სიონი | 6 | 5 | 1 | 0 | 9-2 | 16 |
| 2 ბათუმი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-3 | 11 |
| 3 მერანი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-11 | 4 |
| 4 მეშაქრე | 6 | 1 | 0 | 5 | 3-2 | 3 |

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



ინტერვიუ დიმიტრი რამიშვილთან

# გარანტიები? მინიმუმ 200 ათასი დოლარი

**ქართული საფეხბურთო სეზონი კვირას, სათასო მატჩებით განახლდება. პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი პირველი წრის შემდეგ კლუბების ერთი ნაწილის ფინანსური მდგომარეობით უკმაყოფილო იყო. შეიცვალა თუ არა ვითარება და მოსალოდნელია თუ არა ჩემპიონატიდან რომელიმე გუნდის მოკვეთა? რამიშვილთან ინტერვიუ სწორედ ამ თემით დავიწყეთ...**

**- ბატონო დიმიტრი, თქვენი მკაცრი განცხადების შემდეგ ვითარება გორის "დილაშიც" შეიცვალა და ბათუმის "დინამოშიც". საკმარისია თუ არა ეს პროფლიგის მოთხოვნების შესასრულებლად?**

- არა, საკმარისი ნამდვილად არ არის. ჩვენი მიზანია, ეროვნული ჩემპიონატი სპონსორებისა და მაყურებლისთვის მიმზიდველი გახდეს. საამისოდ, ფეხბურთის განვითარების მაღალი ტემპი გვჭირდება. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ გარკვეული ძვრები უთუოდ შეინიშნება. როგორც იქნა, საშველი დაადგა გორის "დილას", რომელსაც პატრონი გამოუჩნდა და სტადიონის სერიოზული რეკონსტრუქციაც დაიწყო. მოლაპარაკება გვაქვს ბათუმის "დინამოს" ხელმძღვანელებთან, რათა მატჩების ჩასატარებლად ელემენტარული პირობები შექმნან. ჯერჯერობით, გუნდი "ადელის" სტადიონზე ითამაშებს. მალე, ქობულეთის არენაზე რეკონსტრუქცია დასრულდება და ბათუმელები სტუმრებს იქ მიიღებენ. იმედი მაქვს, რომ ორივე გუნდს შეუქმნიან იმ მინიმალურ პირობებს, რომელსაც კლუბებს მომავალი წლისთვის აუცილებლად მოვთხოვთ.

**- "ჩიხურაზე" რას გვეტყვით? იქაც მძიმე ვითარება იყო...**

- დიახ, ვიცით. გაურკვევლობა იყო და მგონი, გარკვეული ძვრები იქაც ხდება. ჩვენმა კომისიამ ყველა კლუბის ინფრასტრუქტურა შეამოწმა. კლუბებს მითითება მიეცათ, თუ სად რა სამუშაოა ჩასატარებელი.

**- ანუ, სადღეისო მდგომარეობით, კლუბები სეზონისთვის მზად არიან?**

- მეტ-ნაკლებად... თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ეს დონე არ გვაკმაყოფილებს. გადასაწყვეტი დარჩა "ჩიხურის" საკითხი და ალბათ, ესეც დადებითად გადაწყდება. ისე, მათ მიერ შემოთავაზებული სტადიონების ვარიანტები არ მივიღეთ.

**- ტურის შეხვედრების ერთ დღეს დანიშვნა, ბეჭდვით მედიას მატჩების გაშუქებისას პრობლემას უქმნის. არ შეიძლებოდა ტურის ორ დღეზე გადანაწილება?**

- ვიცით, რომ არსებობს ეს პრობლემა და მომავალი სეზონიდან ამასაც გავითვალისწინებთ. იყო და რჩება გარკვეული მიზეზები, რის გამოც მატჩებს ერთ დღეს ვნიშნავთ. საქმე ისიცაა, რომ მეორე წრიდან ჩატარდება წამახალისებელი ლატარია. პრინციპულობა გამოვიჩინეთ და კალენდარში ცვლილებები არ შევიტანეთ. ამას გარდა, ხელშეკრულებები გვაქვს სპონსორებთან და ტელევიზიებთან. თამაშების გადანაწილებით პრობლემებს წავაწყდებოდით. თუმცა, ვიმეორებ, მომავალი სეზონიდან ტურს ორ დღეზე გადავანაწილებთ.

**- ლატარია ახსენეთ და, როგორც შევიტყვეთ, ჩემპიონატის პოპულარიზაციისთვის ერთგვარ ფიარკამპანიასაც გეგმავთ...**

- დიახ, ეს ძალზე სერიოზული პროექტია, რომელსაც "ყაზბეგისა" და სხვა სპონსორების დახმარებით განვახორციელებთ. ლატარეა უმაღლესი ლიგის ყველა გუნდის სტადიონზე ჩატარდება. ამ პროექტებისა და ჩვენი ყოველწლიური ჟურნალის პრეზენტაცია 21 თებერვალს გაიმართება. იქ უფრო დეტალურ ინფორმაციებს მიიღებთ. დაწესდება ფულადი პრიზები. ლატარია თასის ფინალის დღესაც გათამაშდება.

**- უმაღლესი ლიგის პრემიერლიგად გადაკეთებას როდის აპირებთ?**

- როცა კლუბები ამისთვის მზად იქნებიან.

**- მოთხოვნების გამკაცრებით, ეს დღე, შეიძლება, მალე დადგეს...**

- სიმკაცრეს ისედაც ვიჩენთ და სწორედ იმ მიზნით, რომ კლუბები თანამედროვე დონესთან მიახლოებით მაინც იყვნენ უზრუნველყოფილნი. სხვანაირად, ვითარებას ვერ გამოვასწორებთ. მჯერა, მომავალ სეზონში ლიგა ბევრად საინტერესო იქნება.

**- მინიმალურ ბიუჯეტზე მოთხოვნას ისევ წამოაყენებთ?**

- რა თქმა უნდა, კლუბებს მყარ ფინანსურ გარანტიებს მოვთხოვთ.

**- და რა თანხა იქნება უმაღლესში სათამაშოდ საჭირო? ვთქვათ, 200 ათასი დოლარი?**

- დაახლოებით.

**მერაბ მამულაშვილი**

საფეხბურთო კლუბი "დინამო თბილისი" სამძიმარს უცხადებს ოლიმპიურ ჩემპიონსა და პრიზიორს თავისუფალ ჭიდაობაში დავით გობეჯიშვილს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი და კავშირის სტაჟიანი წევრი
ზურაბ რცხილაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ეროვნული ნაკრები

# ესპანეთი ეჭვქვეშაა

მიმდინარე წლის 22 აგვისტოს ამხანაგურ მატჩში საქართველოს ეროვნული ნაკრების შესაძლო მეტოქედ რამდენიმე ვარიანტი განიხილება. მართალია, ფინანსური პირობების გამო ბრაზილიასთან თამაში რბილად რომ ვთქვათ, საეჭვოა, მაგრამ მათ გარდა თბილისში ესპანეთისა და უელსის ეროვნული გუნდების სტუმრობის ვარიანტიც განიხილებოდა. თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს ბრაზილიასთან ერთად ესპანეთთან თამაშიც საეჭვოა. ჩვენი ინფორმაციით, ესპანელებმა ჩვენს ფედერაციას მიუღებელი პირობები შესთავაზეს. ეს ცნობა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანმა **უჩა უგულავამაც** დაადასტურა „ლელოსთან" საუბარში:

*"ესპანეთთან მოლაპარაკებები კი გრძელდება, მაგრამ მათ ისეთი პირობები შემოგვთავაზეს, რომელიც ჩვენთვის მისაღები არაა. ჯერჯერობით, საუბრები გრძელდება და ვნახოთ თუ როგორ განვითარდება მოვლენები".*

დასახელებული 3 ვარიანტებიდან რჩება უელსი. არ არის გამორიცხული სავარაუდო მეტოქეთა რაოდენობა მომავალში გაიზარდოს. ფედერაციის ხელმძღვანელთა თქმით უელსელთა გარდა ჩვენთან თამაში სხვა ნაკრებებსაც სურთ. თუმცა ეს სხვა ვარიანტები ჯერჯერობით არ სახელდება.


უჩა უგულავა

**დავით ცაბაძე**

მეორე წრის წინ



შაშიაშვილი დინამოს მაისურს კვლავ მოირგებს

დინამო

# შაშიაშვილი და სპასოევიჩი ითამაშებენ

**გიორგი შაშიაშვილისა** და **ილია სპასოევიჩის** თბილისის "დინამოში" თამაში გუშინწინ გადაწყდა, მაგრამ ფორმალობათა მოგვარება – სატრანსფერო ფურცლის მიღება - მხოლოდ გუშინღა მოხერხდა.

საჭირო დოკუმენტაციის მიღებისთანავე თბილისურმა კლუბმა გუშინ ორივე ფეხბურთელი განაცხადში შეიყვანა, შესაბამისად, სპასოევიჩიცა და შაშიაშვილიც კვირას საქართველოს თასის მეოთხედფინალში "ამერის" წინააღმდეგ ითამაშებენ. თუკი ეს **დუშან უჰრინმა** ინება. სპასოევიჩმა თბილისურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, შაშიაშვილი კი მიმდინარე სეზონის ბოლომდე დარჩება კლუბში.

**დავით ცაბაძე**

ლოკომოტივი

# ფრე მგლებთან და სამხარაძე

თბილისის "ლოკომოტივი" ურეკში მოსამზადებელ ეტაპს ამთავრებს. **ამირან მინაშვილის** შეგირდებმა ბოლო საკონტროლო მატჩი პირველი ლიგის ლიდერ ზუგდიდის "მგლებთან" ჩაატარეს და ფრეს (0:0) დასჯერდნენ. რკინიგზული კლუბის აღმასრულებელი დირექტორის **დიმიტრი ობოლაძის** განმარტებით, **ლევან ყენიას** "ლევანტეში" გადასვლის საქმე, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ჯერ მისმა მშობლებმა უნდა მიიღონ ესპანეთის ვიზა და შემდეგ თავად ლევანს დართავენ "ლევანტეში" თამაშის უფლებას. ობოლაძისვე ინფორმაციით, "ლოკომოტივმა" "გაგრის" ნახევარმცველ **ირაკლი სამხარაძესთან** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**მერაბ მამულაშვილი**


ირაკლი სამხარაძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge





მათე ლვინიანიძის პორტრეტი გერმანულ პრესაში

# ჩემთვის მიუნხენ 1860 ბედნიერი შემთხვევაა

**"მიუნხენ 1860-ის" საკლუბო ჟურნალმა მათე ლვინიანიძეს მოზრდილი სტატია მიუძღვნა, სადაც ახალგაზრდა ქართველი მცველის შესახებ მკითხველს საკმაოდ საინტერესოდ უამბობს. ლვინიანიძის გერმანულ პორტრეტს მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**

"მათე ლვინიანიძე 1986 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს დედაქალაქ თბილისში დაიბადა. თბილისში მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. *"თბილისი მშვენიერი ქალაქია, ნამდვილი ევროპაა. საერთოდაც, საქართველო სულაც არ მდებარეობს ქვეყნის დასალიერში, როგორც ეს ბევრს ჰგონია. ჩვენთან საკვები ნამდვილად არაა პრობლემა და ლამის ყოველი მეორე ადამიანი ავტომობილით დადის. საქართველოს ევროპისა და აზიის გზაგასაყარზეა, ჩრდილოეთით რუსეთი ესაზღვრება, სამხრეთით – თურქეთი და სომხეთი, აღმოსავლეთით კი აზერბაიჯანი"*, - ამბობს მათე.

ლვინიანიძე ფეხბურთს ექვსი წლიდან თამაშობს. თავდაპირველად, მეგობრებთან ერთად, ქუჩაში აგორებდა ბურთს, მალე კი თბილისის "დინამოს" სკაუტებმა შენიშნეს და საფეხბურთო სკოლაში მიიწვიეს.

მათეს დედა, თინა, შვილის მისწრაფებას ყოველთვის მხარს უჭერდა, მამამისი არსენი, კი, რომელიც პოლიციელია, მათეს ფეხბურთელობას სკეპტიკურად უყურებდა. თუმცა როცა მისი თამაში ნახა, დარწმუნდა, რომ ლვინიანიძე-უმცროსს ნამდვილად ჰქონდა საფეხბურთო ნიჭი და ამის შემდეგ, თავის ვაჟს მხურვალედ ქომაგობდა.

მათეს დიდი ოჯახი აქვს, მას ოთხი და ჰყავს: 29 წლის ინდირა, 28 წლის ირმა, 27 წლის თინათინი და 25 წლის ლია.

მოსკოვის "ლოკომოტივის" დატოვებას ლვინიანიძე უკანგადადგმულ ნაბიჯად არ მიიჩნევს. მისი თქმით, მეორე ბუნდესლიგაც საკმარისი დონეა იმისთვის, რომ კარგ ფეხბურელად ჩამოყალიბდე. მათეს განსაკუთრებით "მიუნხენის" წევრთა მეგობრული დამოკიდებულება და ერთსულოვნება მოეწონა.

იგი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანია, ეროვნული გუნდის მწვრთნელები, **კლაუს ტოპმიოლერი** და **რალფ მინგე** ძალიან ენდობიან და ქვეყნის მთავარი გუნდის ძირითადს ნელ-ნელა აჩვევენ. გერმანია-საქართველოს ამხანაგურ მატჩში მათემ პირველივე წუთებიდან ითამაშა. *"დაუვიწყარი თამაში იყო, სხვათა შორის, ბევრი არ მინერვიულია და ვფიქრობ, მწვრთნელების დავალებას თავი ნორმალურად გავართვი. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, ბასტიან შვაინშტაიგერს მაისურა გავუცვალე, რომელსაც საგულდაგულოდ ვინახავ"*, - ამბობს ლვინიანიძე.

ტოპმიოლერი მას ასე ახასიათებს: *"ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელია, ტექნიკურიცაა და ფიზიკურად ძლიერიც. მათეს დიდი მომავალი აქვს"*.

გერმანიის შემდეგ, მას იტალიასთანაც ძირითადში უნდა ეთამაშა, მაგრამ ტრავმის გამო, ერთი თვე გაუცდა. ამის მიუხედავად, იგი "მიუნხენის" პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, რაც, რა თქმა უნდა, გუნდის ახალწვეულისთვის დიდი აღიარებაა.

ამ ამბავმა "მიუნხენის" მთავარი მწვრთნელი **ვალტერ შახნერი** ძალიან გაახარა: *"მათეს ფეხბურთი სისხლში აქვს გამჯდარი. მის თავგანწირულ თამაშს გულშემატკივრები აფასებენ, რაც გამოკითხვაშიც აისახა. დარწმუნებული ვარ, ეს აღიარება ლვინიანიძის წინსვლას ხელს შეუწყობს"*.

გუნდში მისი საუკეთესო მეგობარი **ნემანია ვუჩიჩევიჩია**. როცა მათე მიუნხენში პირველად ჩამოვიდა, სერბმა ფორვარდმა მას ქალაქი დაათვალიერებინა და ამის შემდეგ დაძმაკაცდნენ. მათ ისიც აერთიანებთ, რომ "ლოკომოტივში" უთამაშიათ (ოღონდ სხვადასხვა დროს).

"სხვათა შორის, გერმანული ფეხბურთი საქართველოში ძალიან პოპულარულია ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში ვთამაშობ და "ალიანს არენის" მოედანზე მიწევს გასვლა. ერთი სიტყვით, "მიუნხენ 1860" ჩემი ცხოვრების ბედნიერი შემთხვევაა", - გვეუბნება ქართველი მცველი".

## ბლიცინტერვიუ

**- ნებისმიერ დროს, რომელ პროდუქტებს წავაწყდებით შენს მაცივარში?**

- წყალს, ხილსა და ყველს.

**- ვინ იყო თქვენი ბავშვობის გმირი?**

- რობერტო კარლოსი.

**- თუ არსებობს რიტუალი, რომლესაც ყოველი მატჩის წინ ასრულებ?**

- ვლოცულობ.

**- ვინ მიგაჩნია ყველა დროის უდიდეს ფეხბურთელებად?**

- მარადონა და პელე.

**- რას ვერ იტან ყველაზე მეტად?**

- ტყუილს.

**- რომელი ნივთი დაგაქვს სხვა ქალაქებში მგზავრობისას?**

- MP3-ფლეიერი.

**- რომელ ცნობილ ადამიანს გაიცნობდი პირადად?**

- რობერტ დე ნიროს. "ერთხელ ამერიკაში" ჩემი უსაყვარლესი ფილმია.

**- ვისი ცხოვრებით იცხოვრებდი ერთი დღით?**

- სხვის როლში ყოფნა არ მესიამოვნებოდა.

**- რომელ ქალაქებს ესტუმრებოდი სიამოვნებით?**

- რომსა და მაიამის.

**- გერმანიის გარდა, რომელ ქვეყანაში იცხოვრებდი?**

- იტალიაში.

**- რა არის შენი ცხოვრების მთავარი მიზანი?**

- მინდა პატიოსნად ვიცხოვრო.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ლეგიონერები

# მანქანების კოლექციონერი

ყველა სპორტსმენსა და ცნობილ ადამიანს თავისი გატაცება აქვს. სწორედ ამაზე მოგვითხრობს უკრაინულ წყაროებში გუშინ გამოქვეყნებული მასალა, რომელმაც ჩვენი ინტერესი იქ კახა კალაძის მოხსენიების გამო მიიპყრო.

"კიევის "დინამოს" ყოფილი, ამჟამად კი "მილანის" ფეხბურთელი **კახა კალაძე** ძვირადღირებული ავტომობილების კოლექციითაა დაკავებული. ბუნებრივია, დავინტერესდით, თუ რამდენი ავტომობილია კახა კალაძის კოლექციაში. ამაზე თავად კალაძემ გვიპასუხა, რომ კოლექციაში არსებული მანქანების ზუსტი რაოდენობა თავადაც კი არ ახსოვს.

ძნელია დაიმახსოვრო, მანქანების ზუსტი რაოდენობა, როცა კოლექციაში არაერთი ძვირადღირებული "მერსედესი", "ფერარი" და "ბენტლია". თითოეული ამ ავტომობილის ღირებულება მილიონ დოლარს უახლოვდება, ხანდახან კი აჭარბებს კიდეც. როგორც ამბობენ მაშინ, როცა "მილანიდან" "ჩელსიში" კახა კალაძის გადასვლაზე იყო საუბარი. ქართველი ფეხბურთელი მოსკოვში "ჩელსის" მეპატრონე რომან აბრამოვიჩთან შეხვედრაზე "ფერარით" მივიდა. კალაძემ მაშინ მთლად კარგად არ დააყენა ავტომობილი, მაგრამ ვერავინ გაბედა მიკარებოდა და ცოტა გვერდით გადაეყენებინა მილიონი ევროს ღირებულების მანქანა.

კახა კალაძის სხვა გატაცებების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. როგორც ამბობენ, კალაძე ძვირფას "ვინტოვკებსა" და კარაბინებსაც აგროვებს" – წერენ უკრაინელები.

**დავით ცაბაძე**

# ლომაია ვებერის მთავარი იმედია

მეორე ბუნდესლიგაში მორიგი ტური გუშინ დაიწყო. ჩვენებურთა გუნდებიდან მხოლოდ **დავით სირაძის** "აუემ" ითამაშა. დღეს კი **მათე ლვინიანიძის** "მიუნხენ 1860-სა" და **გიორგი ლომაიასა** და **მიხეილ აშვეთიას** "კარლ ცაისს" ელით მატჩები. ლომაიასა და აშვეთიას გუნდი გასავარდნი ზონიდან ჯერაც არ ამოსულა და ამის გაკეთებას"პადერნბორნთან" გამარჯვებით შეეცდება.

პოპულარულმა "კიკერმა" გიორგი ლომაია და მიხეილ აშვეთია "პადერნბორნთან" მატჩის სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაში დაასახელა. თუმცა ჩვენებურთა შესახებ სხვა გერმანულ წყაროს ვებგვერდზე მოძიებული ცნობიდან მცირედი ამონარიდი უფრო საგულისხმოა.

*"... მერე რა, რომ "პადერნბორნის" თავდასხმა ძლიერია. ჩვენ კარგი დაცვის ხაზი გვყავს. უფრო მეტიც, ჩვენ გვყავს მეკარე გიორგი ლომაია. საქართველოს ნაკრების მეკარის საიმედო თამაში ჩვენს მცველებსაც თავდაჯერებულს ხდის. ლომაია ჩვენი გუნდის მთავარი იმედია – აღნიშნავს "კარლ ცაისის" მწვრთნელი ჰაიკო ვებერი..."* – აი ასეთ ინფორმაციას აქვეყნებს"იენაკომპაქტი".

**დავით ცაბაძე**



გიორგი ლომაია

# ციმაკურიძე კარგია

## მოდებაძემ ჯერ ფორმა უნდა აღიდგინოს...

ზაპოროჟიეს "მეტალურგმა" მზადების ბოლო ეტაპი დაიწყო. უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" გუნდის მთავარ მწვრთნელ **სერგეი იშჩენკოს** ქართველი მოთამაშეების თაობაზე ჰკითხა. იშჩენკომ **ირაკლი მოდებაძეზე** დამაიმედებლად ისაუბრა: *"ის ერთი კვირის წინ დაბრუნდა ისრაელიდან, სადაც რეაბილიტაციის კურსი გაირა. ამჟამად, ირაკლი ინდივიდუალური გრაფიკით ემზადება. მოდებაძე შეკრებაზე გამოგვყვება, მაგრამ მთავარ ჯგუფთან ერთად არ ივარჯიშებს, მას ჯერ ფორმის აღდგენა სჭირდება"*.

რაც შეეხება ალჩევსკის "სტალიდან" ზაპოროჟიეში გადასულ **გიორგი ციმაკურიძეს**, მწვრთნელი მისით კმაყოფილი ჩანს: *"წინა შეკრებაზე ორი მცველი გავსინჯეთ, გიორგი ციმაკურიძე და იან ტიმორევი. მათთან პრეტენზიები არ გვაქვს. ვატყობ, ამ ბიჭებით "მეტალურგის" გაძლიერება შეიძლება"*.

**მერაბ მამულაშვილი**

### ინტერტოტოს ისევ თავიდან ვიწყებთ

საქართველოს წარმომადგენელი 2007 წლის ინტერტოტოს თასზე პირველივე რაუნდიდან ჩაებმება ბრძოლაში. პირველ ეტაპზე სულ 14 წყვილი იქნება და მასში 28 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოლებენ. პირველი ეტაპი 23 და 24 ივნისს და 30 ივნისსა და 1 ივლისს გაიმართება. ინტერტოტოს თასი სამ ეტაპად გაიმართება, 11 გამარჯვებული კი უეფას თასზე იასპარეზებს. მეორე ეტაპზე 15 უფრო მაღალი რეიტინგის მქონე ქვეყნის წარმომადგენელი ემატება, ბოლოს კი - 8. წილისყრა ყველა ეტაპისათვის 23 აპრილს გაიმართება.

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერები



ილია კანდელაკი(35)

# კანდელაკს მეგობრები ენატრება

ოდესის "ჩერნომორეცმა" თურქულ შეკრებაზე მორიგი მატჩი გამართა. მოსამზადებელ პერიოდში ტრადიციად იქცა, საქართველოს ნაკრების მცველი **ილია კანდელაკი** შეცვლაზე თუ თამაშობს, არადა უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეში, ერთადერთი იყო, ვინც ყველა მატჩი ძირითადში ითამაშა.

უკრაინელებმა რუმინულ "ვასლუისთან" ფრედ 1:1 ითამაშეს. კანდელაკი 70-ე წუთზე ჩაერთო თამაშში. მისდა ბედად რუმინელებმა სწორედ მაშინ გაათანაბრეს ანგარიში. ქართველი მცველი წინა მატჩში რიგის "სკონტოს" წინააღმდეგ კი საერთოდ არ გამოჩენილა მოედანზე. ის შეხვედრა ოდესელებმა 2:1 მოიგეს. კანდელაკის მდგომარეობას ის ფაქტი ართულებს, რომ უკრაინელებს ლეგიონერთა რაოდენობის მკვეთრად შემცირება აქვთ გადაწყვეტილი, თანაც "ჩერნომორეცმა" დონეცკის "შახტიორიდან" მცველი **ვიაჩესლავ სვიდერსკი** გადაიბირა.

რუმინულ კლუბთან მატჩის შემდეგ უკრაინელმა ჟურნალისტებმა ქართველი მცველი მოიხელთეს და მცირე ინტერვიუ ჩამოართვეს, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა ერთ-ერთ ოდესურ გაზეთში.

**- რამდენად კმაყოფილი ხართ მოსამზადებელი ეტაპით?**

- საწუწუნო ნამდვილად არაფერი მაქვს. ნელ-ნელა შევდივარ ოპტიმალურ ფორმაში. ასევე არიან ფეხბურთელებიც, ამ ეტაპისთვის ოპტიმალურ ფორმაში ალბათ ცოტა ვინმე თუ იქნება.

**- დღევანდელი შედეგიც გუნდის საუკეთესო ფორმაში არყოფნის ბრალია თუ მეტოქე იყო ძლიერი?**

- ასეთ თამაშებში შედეგს დიდი ყურადღება არ ექცევა. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა მოგვეგო, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში გუნდის შეთამაშება, სხვადასხვა სათამაშო სქემის დამუშავებაა. ასე რომ შედეგი ფორმაში არყოფნის გარდა, შეხვედრის მიმდინარეობისას გაკეთებულმა ექსპერიმენტებმაც განაპირობა.

**- აქამდე გუნდში თქვენთან ერთად თქვენი თანამემამულეებიც თამაშობდნენ. გული არ გწყდებათ მათ გარეშე რომ მოგიწევთ თამაში?**

- ჩვენ მეგობრები ვართ, მეგობრის გვერდზე ყოლა კი ყოველთვის სასიამოვნოა.

**- როგორ ფიქრობთ შეძლებს გუნდი შარშანდელი შედეგის გამეორებას თუ გულშემატკივრებს კვლავაც რამდენიმე წელი მოუწევთ მოცდა?**

- შარშანდელი შედეგის მიღწევა არ უნდა იყოს პროგრამა-მაქსიმუმი. გასაგებია, რომ "დინამო" და "შახტიორი" დღესდღეობით სხვებზე მაღლა დგანან, მაგრამ ჩვენც ვვითარდებით და ცოტა ხანში შევძლებთ უფრო მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას. წინსვლას და შედეგის მიღწევას დრო უნდა.

**- რა ხდება ილია კანდელაკის თავს. ის გუნდში ძირითადში ვერ ვხდება, არც ნაკრებში იძახებენ. ჩავარდნა გაქვთ?**

- არანაირი ჩავარდნა არ მაქვს. უბრალოდ მწვრთნელი აკეთებს იმას, რასაც საჭიროდ თვლის. რომ არ ვჭირდებოდე გუნდს, აქ არავინ დამტოვებდა. თანაც ჯერ განახლდეს სეზონი და ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები. ის, რომ შეკრებაზე არ ვთამაშობ, ბევრს არაფერს ნიშნავს. რაც შეეხება ნაკრებს, მწვრთნელი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპისთვის საჭირო არ ვარ. მან იცის ჩემი შესაძლებლობები და თუ დავჭირდი, დამიძახებს.

# იმედაძემ ზარიაში ითამაშა

## გიგაური ისევ ძირითადში...

"ზესტაფონის" თავდამსხმელი **გია იმედაძე** იმერულ გუნდს პირველი წრის დასრულებისთანავე დაემშვიდობა. მას შემდეგ, იმედაძეს ხან აზერბაიჯანულ კლუბში ვაწყდებოდით, ხან ყარაგანდის "შახტიორში", ახლა კი, აღმოვაჩინეთ, რომ მას და **ლევან მელქაძეს** ერთგვარი როქი გაუკეთეს. ანუ, მელქაძე ლუგანსკის "ზარიიდან" ყარაგანდაში წასულა, იმედაძეს კი იმავე ყარაგანდიდან ლუგანსკისკენ აუღია გეზი. 26 წლის ფორვარდმა 15 თებერვალს საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. "ზარიამ" ბულგარეთის "ბეროესთან" ფრედ (1:1) ითამაშა. იმედაძე თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო.

ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილსში" კი მეორე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა თბილისის "დინამოს" მცველმა **დავით გიგაურმა**. მან ძირითად შემადგენლობაში ითამაშა რუსული "მეტალურგ-კუზბასის" წინააღმდეგაც. ეს შეხვედრაც 1:1 დასრულდა. გიგაური ბოლო წუთებზე შეცვალეს.

**მერაბ მამულაშვილი**

### ერთად ანთალიაში

გუშინ დნეპროპეტროვსკის აეროპორტიდან ერთი რეისით ორი კლუბი გაფრინდა თურქეთის კურორტ ანთალიაში ბოლო საწვრთნელი შეკრების გასავლელად, "დნეპრი" და "კრივბასი". ამასთან "დნეპრი" თურქეთში ძირითადი და დუბლშემადგენლობით გაემგზავრა. გუნდთან ერთად ანთალიაში გაემგზავრნენ **ჯაბა კანკავა** და **რევაზ ბარაბაძეც**. სხვათა შორის, "დნეპრი" შეკრების დასრულების შემდეგ საქართველოში გამოემგზავრება და "ზესტაფონს" ესტუმრება. "კრივბასთან" ერთად ანთალიაში გაფრინდნენ **ვასილ გიგიაძე** და **ლადო ბურდული**.

### ქართული ტრიოთი თურქეთში

ლიტვის ჩემპიონი "კაუნასი" მოსამზადებლად თურქეთში გაემგზავრა, კლუბის ახალმა თავკაცმა თან 27 ფეხბურთელი იახლა. გუნდთან ერთად გაემგზავნენ ქართველებიც, მცველი **აკაკი ხუბუტია**, რომელმაც ახლახან თურქეთის ახალგაზრდული ნაკრების კარში გაიტანა გოლი და ნახევარმცველები, **ნუკრი მანჩხავა** და **გივი კვარაცხელია**. შეგახსენებთ, რომ "კაუნასმა" გასული სეზონი არნახული უპირატესობით მოიგო, კლუბმა 88 ქულა დააგროვა. ჩემპიონები კვარაცხელია და მანჩხავა გახდნენ, ხუბუტია კი ზამთრის პაუზისას გადავიდა "ვილნიუსიდან" "კაუნასში".

### ჯინჭარაძე კისლოვოდსკში

რუსეთის პირველი დივიზიონის ბრიანსკის "დინამო" შეკრებაზე ჩრდილოეთ კავკასიაში, კისლოვოდსკში იმყოფება. გუნდთან ერთადაა ვეტერანი ქართველი **პაატა ჯინჭარაძე**, რომელიც შარშანდელ სეზონშიც ბრიანსკის "დინამოში" ასპარეზობდა. კისლოვოდსკში "დინამომ" ორი საკონტროლო მატჩი გამართა, ჯერ "მაშუკთან" 3:4 წააგო, შემდეგ კი "შექსნას" დაუზავდა 1:1.

### სირაძე ბოლოს დაეხმარა

მეორე ბუნდესლიგაში დავით სირაძის "აუე" "ბურგჰაუზენს" მასპინძლობდა. 9 ათასი ერცგებირგელი გულშემატკივრის გასახარად მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ იოლად იმარჯვეს - 3:0. ჩვენი თანამემამულე, თურქეთის ნაკრების კარში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორი, მოედანზე მხოლოდ 72-ე წუთზე შევიდა. სირაძემ ვეტერანი პოლონელი ფორვარდი იუსკოვიაკი შეცვალა. მანამდე, 34-ე წუთზე იუსკოვიაკმა პენალტი ვერ გაიტანა, თუმცა პოლონელის შეცდომა რანგელოვმა (41) და კლინკამ (63) გამოასწორეს. მატჩის ბოლო წუთზე გოლი დოსტალეკმა გაიტანა თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან. ამ მოგებით "აუეს" 36 ქულა დაუგროვდა, სირაძის გუნდი კვლავ მეხუთეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| გუნდი | მიდიან | მოდიან | მზადება |
| --- | --- | --- | --- |
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყებია (ამერი), სირბილაძე, ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა (?), ე. კვარაცხელია (?) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ბურნაძე (ნაფტანი, ბელარუსი), ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო) | თბილისი |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო), | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი) | თბილისი, თურქეთი |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი, სილაგავა, სევასტოპულო | მესხი (ჩიხურა), ნაჭყებია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) | ორი შეკრება ანთალიაში, იანვარი, თებერვალი |
| ზესტაფონი | იმედაძე (შახტიორი, ყარაღანდა), თურმანიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი | თბილისი, თურქეთი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ბობოხიძე (ზარია), ახალაია, ბაბუნაშვილი, სტურუა (?), გრიგალაშვილი, მახარაძე (?) ნავალოვსკი, ნერგაძე, გიგაური | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ყილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე | ბაკურიანი, ორი შეკრება ანთალიაში |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, | ქუთაისი, თბილისი |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი | მამალაძე, სილაგაძე, დარასელია, ბაბუნაშვილი, ექონია, კორღალიძე, სანიკიძე | დსთ-ის თასი, თბილისი |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა, მალიჩავა, სამხარაძე | ურეკი |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა) | ბორჯომი |
| მერანი | ბესარაშვილი (ბათუმი) | ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, ა. ნოზაძე | თბილისი, გურჯაანი |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | სტურუა, დვალი, ქუცურუა, ჩარგეიშვილი | — |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი, ლობჟანიძე, ნაჭყებია | ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე) | ბათუმი |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ზ. ჩიტაია, გ. ჩიტაია | გორი, თბილისი |
| კახეთი | ბიძინაშვილი, იმერლიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ცინაძე, კევლიშვილი, სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), კევლიშვილი (მერანი), | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი, | თელავი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# რიიკაარდი სეზონის ბოლოს წავა

## ვინ გახდება მისი მემკვიდრე? კატალონიურ პრესაში ვან ბასტენზე, შუსტერსა და ლიპიზე საუბრობენ...



ფრანკ რიიკაარდი

ოთხი თვე და ცამეტი დღე. ზუსტად ამდენი დრო დარჩა **ფრანკ რიიკაარდს** "ბარსელონაში". 2007 წლის 30 ივნისს ის კატალონიურ გრანდს დატოვებს და ამით მრავალ პრობლემას მოაგვარებს. **ხოან ლაპორტამ** და **ჩიკი ბეგირისტაინმა** ჰოლანდიელი სპეციალისტის გადაწყვეტილების შესახებ პირველებმა შეიტყვეს.

**სამუელ ეტოოსთან** დაკავშირებული სკანდალის შემდეგ, სენიორ რიიკაარდმა უკვე კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს. მისთვის ჯერჯერობით უცნობია, რომელ გუნდს ჩაიბარებს (აქამდე არც ერთი კლუბის ხელმძღვანელს დალაპარაკებია), თუმცა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ კატალონიურ გრანდს უნდა გაერიდოს. მისი ბარსელონური კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ რიიკაარდი დროებითი მწვრთნელია. მოტივები? ეტოოზე უკვე ვთქვით. გარდა ამისა, "დიარიო ასს" კარგად ინფორმირებულმა ადამიანებმა აცნობეს, რომ "კამპ ნოუდან" აბარგებით, ჰოლანდიელი პირად ცხოვრებაში დაგროვებულ უამრავ პრობლემასაც ხელის ერთი მოსმით მოაგვარებს.

სენიორ ფრანკი კონტრაქტს ყოველი სეზონის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე მხოლოდ ერთი წლით ახანგრძლივებდა. ტრადიცია გასულ შემოდგომაზე დაირღვა და მან "ბარსას" 2009 წლის 30 ივნისამდე დაუკავშირა ბედი, თუმცა დოკუმენტში ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტიც ჩააწერინა. კერძოდ, მას სრული უფლება აქვს, ხელშეკრულება მაშინ გაწყვიტოს, როცა ამას თავად მოისურვებს. ასეც მოიქცევა, რადგან ბოლოდროინდელმა მოვლენებმა უკიდურესად ატკინა გული. მართალია, დაძაბულობას გარეგნულად არ იმჩნევდა და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ "ბარსელონისთვის" პრობლემები არ შეექმნა, ვითარება მაინც დღესავით ნათელია. ეტოომ მთავარ მწვრთნელს ცუდი პიროვნება უწოდა, პრეზიდენტმა კი ფეხბურთელი გაამართლა...

რიიკაარდისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, თუ რა იმიჯით სარგებლობს თავად კლუბსა და საზოგადოებაში. უდავოა, ახალგაზრდა სპეციალისტს თავმოყვარეობა შეულახეს. აღსანიშნავია, რომ გულშემატკივრები მისი მუშაობის სტილს აღმერთებენ. ხალხს მოსწონს გაწონასწორებული, მშვიდი და კორექტული მწვრთნელის ყურება. ფრანკი არ დაუშვებს, რომ კინკლაობაში ჩაებას, ინტრიგებში გაეხლართოს და საზოგადოებას სრულიად ახალი კუთხით წარუდგინოს საკუთარი პერსონა. "ბარსას" თავკაცი საკმაოდ ჭკვიანია იმისთვის, რომ მიხვდეს, კატალონიაში მისი ერა დასასრულს მიუახლოვდა. წინა წლებში გუნდმა უამრავი ტიტული მოიპოვა. ეს უკვე ისტორიაში მოხვედრის გარანტიაა. ახლა კი წინა პლანზე ამბიციებმა წამოიწია. ასეთ ბრძოლაში ჩაბმა კი უმადური საქმეა. აუცილებლად გაითხვრები. კატალონიაში ყველამ იცის, ლაპორტა და ბეგირისტაინი ხვეწნას არ დაიწყებენ.

რიიკაარდისთვის **ჰენკ ტენ კეიტის** "აიაქსში" წასვლა უდიდესი დარტყმა იყო. გასულ ზაფხულს მისმა ყოფილმა თანაშემწემ ამსტერდამული კლუბიდან ის წინადადება მიიღო, რომელზე უარის თქმაც უახლოესი წლების სინანულში გატარების გარანტია გახდებოდა. კეიტმა და რიიკაარდმა მთელი ღამე საუბარში გაატარეს. მხარეებმა აბსოლუტურად ყველა დეტალი განიხილეს და ბოლოს ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ფრანკმა ჰენკს გულდაწყვეტილი გამომეტყველებით დაულოცა გზა. მაინც, რატომ იყო კეიტი ამდენად მნიშვნელოვანი? სწორედ იმიტომ, რომ მის დროს "ბარსელონაში" ამბიციებსა და ამპარტავნებას გასაქანი არ ეძლეოდა. ის ერთგვარი პოლიციელის როლს თამაშობდა. ტენ კეიტი ყველა პრობლემას ისე აგვარებდა, რომ რიიკაარდს სიტყვის ამოღებაც კი არ სჭირდებოდა. ამასთან ხაზგასასმელია, რომ "აიაქსში" წასული სპეციალისტი ფეხბურთელებთან თუნდაც ხმამაღლა საუბარს ყოველგვარი გართულების გარეშე ახერხებდა. არავის ახსოვს, სენიორ ჰენკისთვის ვინმეს ენა დაებრუნებინოს. და ეს მაშინ, როცა **დეკუს** ამპარტავნება ღამით მშვიდად ძილის საშუალებას არ აძლევს. როცა ეტოო სულ იმას ამტკიცებს, რომ მისი სათადარიგოთა სკამზე დასმა, თამაშიდან საფინალო სასტვენამდე თუნდაც ერთი წამით ადრე გაყვანა არ შეიძლება. კეიტი წავიდა და მისი თანამდებობა **იოჰან ნეესკენსმა** დაიკავა. შესანიშნავმა პიროვნებამ და პროგრესული იდეებით გამსჭვალულმა მწვრთნელმა, მაგრამ ის პოლიციელად არ გამოდგება. ამ საქმეში ნეესკენსის ფასი ნულის ტოლია. მარტოდ დარჩენილი რიიკაარდი კი ვარსკვლავების პატივმოყვარეობას შუბლით შეეჯახა. ტკივილი კედელზე შეჯახებისას გამოწვეულ ტანჯვაზე გაცილებით დიდი აღმოჩნდა.

კატალონიაში ყველამ იცის, რომ რიიკაარდი წავა. ისინი თადარიგს აქედანვე იჭერენ და მემკვიდრეს ეძებენ. **იოჰან კრუიფის** ავტორიტეტი, გნებავთ, გავლენა წლების გასვლას არ ენირება. მისი სიტყვა დღესაც ძვირად ფასობს. მფრინავი ჰოლანდიელი **მარკო ვან ბასტენის** კანდიდატურას ლობირებს. კი მაგრამ, მას ხომ კლუბში მუშაობის გამოცდილება არ აქვს? რა თქმა უნდა, თუმცა ამ გამოცდილებით რიიკაარდიც ვერ იწონებდა თავს. ის ხომ მხოლოდ ჰოლანდიურ "სპარტაში" მუშაობდა.

კიდევ ერთ კანდიდატად **ბერნდ შუსტერი** განიხილება. **რამონ კალდერონი** შავ დღეშია, მან არ იცის, რა შედეგს გამოიღებს **კაპელოს** მუშაობა. "რეალის" პრეზიდენტი ორმაგ თამაშს ვერ დაიწყებს. კაპელო აუცილებლად განაწყენდება და სამეფო კლუბს ქაოსი მოიცავს. ეს ყოველივე ჩიკი ბეგირისტაინს მშვიდად მუშაობის შესაძლებლობას აძლევს. მას შეუძლია, აუღელვებლად იმოქმედოს და შუსტერი დაითანხმოს.

საუბარია, **მარჩელო ლიპიზეც**, მაგრამ თითქმის წარმოუდგენელია, რომ იტალიელი რიიკაარდის მემკვიდრე გახდეს. "კამპ ნოუს" ბინადრები ლიპის სტილს ვერ შეეგუებიან. ესთეტიკა ბარსელონური ფეხბურთის სულია.

თუ რიიკაარდი სიტუაციას ერიდება და ფარ-ხმალს ყრის, წესით სამუელ ეტოოს პრობლემა აღარ უნდა შეექმნას... მართლაც ლოგიკური მოსაზრებაა, მაგრამ ჭორები მაინც არ წყდება. გუშინ გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, "ბარსას" ხელმძღვანელობა სამუს გასაყიდად ამზადებს და მის ნაცვლად **ფერნანდო ტორესის** გადაბირებას აპირებს. ეს ყველაფერი ჭორია თუ სინამდვილე, დრო დაგვანახებს. მანამდე კი "ბარსელონას" მიმდინარე საკითხების გადაჭრა მართებს. რიიკაარდი წასვლას კი გეგმავს, მაგრამ პროფესიონალის ნატურა უფლებას არ მისცემს, დღევანდელობა ფეხებზე დაიკიდოს და კატალონიური გიგანტის ჩაძირვას ნიშნის მოგებით უყუროს. ბატონი ფრანკი მზადაა, წყენა დაივიწყოს და ეტოო ძირითად შემადგენლობაში დააბრუნოს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ კამერუნელი ფორვარდი "ლივერპულთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირებას მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

რეალი

# ჰიტცფელდი რაულს ბაიერნში იწვევს

## ამასობაში, რობინიო მადრიდიდან წასასვლელად ემზადება



რაული

ესპანური გრანდის ხელმძღვანელებმა საინტერესო ამბავი შეიტყვეს. "რეალის" ოფისმა მიუნხენს საკლუბო ტელევიზიის გადამღები ჯგუფი მიავლინა. მოახლოვებული საჩემპიონთალიგო დაპირისპირების წინ ჟურნალისტებმა გერმანულ კლუბზე ვრცელი სიუჟეტი მოამზადეს. გარდა ამისა, მათ **ოტმარ ჰიტცფელდის** ინტერვიუც ჩაწერეს. "ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა მადრიდელი ინჩასებისთვის შოკისმომგვრელი დაინტერესება გაახმაურა: *"ხელმძღვანელობას რაულის შეძენა ვთხოვე. მხოლოდ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, გონსალეს ბლანკოს დღესვე გადმოვიბირებდი. ამ ფეხბურთელისადმი უდიდეს სიმპათიებს არასოდეს ვმალავდი. რაული უზომოდ მომწონს და მიმაჩნია, რომ ის თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოთამაშეა. ყველაფერი მომწონს, რასაც "რეალის" კაპიტანი აკეთებს. ნამდვილი პროფესიონალია, კაცი, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში ბოლომდე იბრძვის და გუნდის ინტერესებზე წინ არაფერს აყენებს. ხელმძღვანელობა შემპირდა, რომ პირენეელ კოლეგებთან მოლაპარაკებებს დაიწყებენ. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დასრულდება და მომავალი სეზონიდან რაული "ბაიერნის" ღირსებას დაიცავს."*

ბუნებრივია, ჰიტცფელდი სჩემპიონთალიგო დუელსაც შეეხო. გერმანელი მწვრთნელი სამეფო კლუბთან შეხვედრას უდიდესი ენთუზიაზმითა და პასუხისმგებლობით ეკიდება: *"დღეს ბევრი ამბობს, რომ მადრიდელები კრიზისში იმყოფებიან და მათი დამარცხება სერიოზულ სირთულეებთან არ იქნება დამოკიდებული. ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვეთანხმები. შანსები აბსოლუტურად თანაბარია. ეჭვი არ მეპარება, რომ საზოგადოება უშელავათო ბრძოლას იხილავს. "სანტიაგო ბერნაბეუზე" დაბრუნებას წარმოუდგენელი ენთუზიაზმით ველი. ვოცნებობ, რომ გავიმარჯვოთ. "ბაიერნს" შური აქვს საძიებელი. სამი წლის წინათ ჩვენ დავმარცხდით. იმისთვის, რომ დასახულ მიზანს მივაღწიოთ, არნახული პასუხისმგებლობა და პრაგმატიზმი გვმართებს. რა თქმა უნდა, იღბალსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მახსენდება, ჩვენს წინა დაპირისპირებაში უკეთ გამოვიყურებოდით, მაგრამ მაშინ ესპანელებს უფრო მეტად გაუმართლათ. იმედია, ამჯერად ასე აღარ იქნება."*

**რაულს** ჰერ ოტმარის ინტერვიუზე კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ მას ხელმძღვანელობა არ გაუშვებს, თავად კლუბის გამოცვლას არ მოინდომებს. ყველამ იცის, რომ კაპიტანს კარიერის "სანტიაგო ბერნაბეუზე" დასრულების სურვილი კლავს.

გავაგრძელოთ "რეალზე" საუბარი. რამდენიმე დღის წინათ **რობინიომ** ხმაურიანი განცხადება გააკეთა. ახალგაზრდა ფორვარდმა საზოგადოებას გაუმხილა, რომ მადრიდის "რეალში" თავს მეტისმეტად უბედურად გრძნობს. ამ უბედურების მიზეზი კი ის არის, რომ **ფაბიო კაპელო** მას არ ენდობა და არ ათამაშებს. სამხრეთამერიკელის ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით მთელ საფეხბურთო სამყაროში გავრცელდა. შედეგმაც არ დააყოვნა. რობინიოს მთხოვნელი გამოუჩნდა.

"დიარიო მარკას" გუშინდელ ნომერში დაიწერა, რომ სამეფო კლუბის ახალგაზრდა ფორვარდს "ტოტენჰემი" ეპატიჟება. ინგლისელები მზად არიან, ესპანელ კოლეგებთან დღესვე დაიწყონ მოლაპარაკებები. ცნობილია, რომ **რამონ კალდერონმა** ფეხბურთელი 30 მილიონ ევროდ შეაფასა. მართალია, "ტოტენჰემი" ღარიბ კლუბთა კატეგორიას არ განეკუთვნება, მაგრამ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ლონდონელები ამხელა თანხას არ გადაიხდიან. მხარეები ალბათ, დიდ ვაჭრობას გამართავენ.

როგორც ჩანს, საქმე სერიოზულადაა. თავად განსაჯეთ, "რეალის" მესვეურებისთვის სრულიად მოულოდნელად, ბრაზილიიდან მადრიდში რობინიოს აგენტი ჩაფრინდა. **ვაგნერ რიბეირომ პრედრაგ მიატოვიჩთან** შეხვედრა მოითხოვა. გენერალურმა დირექტორმა ოკეანისგაღმელ სტუმარს შეუთვალა, რომ სასწრაფო საქმეებს მოითავებს და აუცილებლად მიიღებს. მანამდე კი სეუ რიბეირომ ესპანელი ჟურნალისტებისთვის საგანგებო პრესკონფერენცია გამართა: *"ბუნებრივია, მადრიდში ტყუილად არ ჩამოვიდოდი. არც ტურისტული სააგენტოს საგზური ამიღია. ჩამოვედი, რათა ჩემს კლიენტს მაქსიმალური დახმარება გავუწიო. "რეალს" უახლოეს პერიოდში უმნიშვნელოვანესი მატჩების ჩატარება მოუწევს. ბედნიერი ვიქნები, თუ რობინიოს ასპარეზობის შესაძლებლობა მიეცემა. გულწრფელად გეტყვით, რომ სამეფო კლუბს ის დიდად აფასებს და პლანეტის საუკეთესო კოლექტივად მიიჩნევს. გუშინდელ სატელეფონო საუბარში მითხრა, აქედან წასვლა არ მინდა, მაგრამ პროფესიონალი ვარ და სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მაცოფებსო. რობინიოს აბსოლუტურად ვეთანხმები. ჩვენ არ ვაპირებთ, ფაბიო კაპელო, ან გუნდის რომელიმე სხვა მაღალჩინოსანი წნეხში მოვაქციოთ. უბრალოდ, თავს ვალდებულად მივიჩნევ, ჩემს კლიენტს დავეხმარო. რობინიომ თქვა, რომ აქ ბედნიერად ვერ გრძნობს თავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, წასვლას არ ჩქარობს. ვფიქრობ, ის შესაშურ პატიოსნებას ამჟღავნებს, თუმცა თუ მომავალშიც ვერ ითამაშებს, აუცილებლად რონალდოს გამოცდილებას გაიზიარებს. რობინიო ახალგაზრდაა. უნარების გასავითარებლად და ისტორიაში შესასვლელად სათადარიგოთა სკამი ცხადია, ვერ დაეხმარება. მოკლედ, აქ იმისთვის ვარ, რომ ყველაფერი გავარკვიო. პრედრაგ მიატოვიჩთან სერიოზული საუბარი მექნება. მჯერა, გენერალური დირექტორი გარკვევით მეტყვის, რა გეგმები აქვს გუნდს ჩემს კლიენტთან მიმართებაში. თუ დაგვარწმუნებენ, რომ შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს ხშირად მისცემენ, არსადაც არ წავალთ. სხვა შემთხვევაში კი მიღებული წინადადებების განხილვას შევუდგებით."*

მოგვიანებით, ჟურნალისტებს თავად რობინიოც გაესაუბრა. ბრაზილიელმა, ფაქტობრივად, იგივე გაიმეორა. ასე რომ, ყველაფერი სამეფო კლუბის შეფებზეა დამოკიდებული. ეს მათ უნდა გაარკვიონ, სჭირდება თუ არა, "რეალს" რობინიო...

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# რომანი დაბრუნდა

## წლიური სახელფასო ფონდი 125 მილიონს აჭარბებს. არისტოკრატები ბილეთების გაიაფების საფუძველს ვერ ხედავენ

"ჩელსიმ" გულშემატკივრებს სამწუხარო ამბავი ამცნო. "სტემფორდ ბრიჯის" ბილეთები ვერ გაიაფდება. პოპულარულმა ტაბლოიდმა "სანმა" საინტერესო კამპანია წამოიწყო. მან პრემიერლიგის ყველა კლუბს ბილეთების გაიაფებისკენ მოუწოდა. "სანმა" ზუსტად გათვალა. მისი მოწოდება ფანებმაც აიტაცეს და საყვარელ კოლექტივებს ღარიბი ქომაგებისთვის შეღავათების გაკეთება სთხოვეს. "ჩელსის " ფანებმა პასუხი უკვე მიიღეს. მათი თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია. "არისტოკრატების" აღმასრულებელმა დირექტორმა **პიტერ კენიონმა** განაცხადა, რომ მას მერე, რაც პრემიერლიგამ ახალი სატელევიზიო კონტრაქტები გააფორმა და 625 მილიონი გირვანქა დაიბევა, ფეხბურთელებს დაუყოვნებლივ გაეზარდათ მადა. ლიგის სარფიანი გარიგება იმას ნიშნავს, რომ კლუბები პრემიების სახით უფრო მეტ ფულს მიიღებენ. და თუ კლუბს მეტი ფული აქვს, ვარსკვლავებსაც მეტი ანაზღაურების სურვილი უჩნდებათ. სახელფასო ფონდები ყოველწლიურად იზრდება. სწორედ ამიტომ "ჩელსი" ბილეთების გაიაფების საშუალებას ვერ ხედავს. მისთვის თითოეულ გირვანქას ოქროს ფასი აქვს.

**ფრენკ ლემპარდმა** და **ჯონ ტერიმ** ახალი კონტრაქტების სანაცვლოდ წლიურად 6.3 მილიონი გირვანქა მოითხოვეს. მათ უსამართლოდ ეჩვენებათ, ჰქონდეთ იმაზე ნაკლები ხელფასი, ვიდრე **ანდრეი შევჩენკოსა** და **მიხაელ ბალაკს** აქვთ. ამ ფეხბურთელების ხელიდან გაშვება არ შეიძლება და რა თქმა უნდა, კლუბმა ჯიბეზე ხელი უნდა გაიკრას. მაგრამ ფანები ბილეთების სიმბოლურ გაიაფებას ითხოვენ და არა ფასების განახევრებას. მაგალითად, "ჩელსის" ფანკლუბებმა დაიანგარიშეს, რომ თუ ლონდონური გრანდი ბილეთს 5 გირვანქას დააკლებს, წლის განმავლობაში მხოლოდ 4 მილიონ გირვანქას იზარალებს. ამ თანხის ამოღება კი სარფიანი სატელევიზიო კონტრაქტებით შეიძლება.

ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე პრემიერლიგის ყველა კლუბი გარანტირებულად მიიღებს წლიურად 30 მილიონ გირვანქას. ჩემპიონს სულ მთლად 50 მილიონი გირვანქა შეხვდება. "მიდლსბროსთან" ერთი კვირის წინანდელ მატჩამდე კენიონი ოფიციალური ფანკლუბის 15 წარმომადგენელს შეხვდა და ბილეთების საკითხი განიხილა. შეხვედრას ესწრებოდნენ "ჩელსის" ოპერაციების დირექტორი **რონ გურლეი** და ბილეთების მენეჯერი **გრემ სმიტი**. ამ ჯენტლმენებმა დეტალურად ახსნეს, თუ რატომ ვერ დაუშვებდნენ ბილეთების გაიაფება. ამავე დროს, მათ ფანებს შეახსენეს, რომ "ჩელსის" ბილეთები სულაც არ არის უძვირესი ინგლისის უმაღლეს დივიზიონში. ისინი მართლები არიან. გულშემატკივრებს "ჩელსიზე" მეტს ახდევინებს "არსენალი". "არისტოკრატების" საშინაო მატჩებზე დასწრება მეორე უძვირესი სიამოვნებაა "მეთოფეების" შემდეგ.

"სტემფორდ ბრიჯზე" უიაფესი ბილეთი 35 გირვანქა ღირს. სეზონური აბონემენტი 1 150 გირვანქად იყიდება, რაც ჩვეულებრივი ბრიტანელისთვის ძალიან დიდი ფულია. მართალია, "ჩელსის" უმდიდრესი მეპატრონის წყალობით ფინანსური პრობლემები არ აქვს, მაგრამ კლუბი თავის შენახვას საკუთარი სახსრებით ცდილობს. 2005-06 წელი ზედიზედ მესამე იქნება, რომელსაც ის საბიუჯეტო დეფიციტით დაასრულებს. კენიონი დიდი წნეხის ქვეშაა. მას ბიუჯეტის დაბალანსებას სთხოვენ. 2005 წელს "ჩელსიმ" 88 გირვანქით იზარალა, 2006 წელს - სარეკორდო 140 მილიონი გირვანქით. აღმასრულებელი დირექტორისთვის მიცემული დავალება, ფაქტობრივად, შეუსრულებელი მისიაა, რადგან კლუბის სახელფასო ფონდი 125 მილიონ გირვანქას შეადგენს და განუხრელად იზრდება.

ამასობაში, ლონდონში დაბრუნდა **რომან აბრამოვიჩი**. ის ბრიტანეთის დედაქალაქში ერთთვიანი პაუზის შემდეგ ჩავიდა და **ჟოზე მოურინიოსთან** შესახვედრად ემზადება. "ჩელსის" ბოსი "ნორვიჩთან" ასოციაციის თასის დღევანდელ მატჩს დაესწრება. მოურინიოს ის 13 იანვრის შემდეგ არ უნახავს. იმ დღეს "ჩელსიმ" "ვიგანი" 4:0 გაანადგურა. იმავე საღამოს მწვრთნელისა და პრეზიდენტის დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. "ვიგანის" შემდეგ რომანმა გუნდის ექვსი თამაში გააცდინა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ის მწვრთნელთან შერიგებას აღარც კი აპირებდა.

"ნორვიჩის" შემდეგ 40 წლის მილიარდერი პორტუში გაემგზავრება და ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ თამაშს ნახავს, ხოლო ოთხ დღეში კარდიფში ინგლისის ლიგის თასის ფინალსაც დაესწრება, რომელშიც "ჩელსის" მეტოქე "არსენალი" იქნება.



რომან აბრამოვიჩი ლონდონში დაბრუნდა



ბაიერნი

# ოტმარის შემცვლელს მარტში იტყვიან

## ჰიონესი: ბაიერნის მწვრთნელი გერმანულად უნდა ლაპარაკობდეს, ეს აქსიომაა

მან ისევ არ დაასახელა კონკრეტული გვარები და საერთოდაც არაფერი დააკონკრეტა, სამაგიეროდ დათქვა დრო: "ბაიერნის" მენეჯერ **ული ჰიონესის** თქმით, ის, თუ ვინ უთავკაცებს რეკორდმაისტერს მომდევნო სეზონში, მარტში გაირკვევა. მიუნხენური კლუბის ბოსი არ გამორიცხავს, რომ **ოტმარ ჰიტცფელდის** შემცვლელი თვითონ ოტმარ ჰიტცფელდიც იყოს.

*"საბოლოო გადაწყვეტილებას მარტში მივიღებთ და სწორედ მაშინ გაიგებთ, ვინ უთავკაცებს "ბაიერნს" მომდევნო სეზონში,"* - განაცხადა ჰიონესმა "მიუნხენერ თაგესცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძინა, - *"მიუხედავად იმისა, რომ ოტმარმა უკვე ათასჯერ გაიმეორა, "ბაიერნში" მხოლოდ ზაფხულამდე დავბრუნდიო, ჩვენ მაინც არ ვკარგავთ იმედს, რომ გადაიფიქრებს. იქნებ ამ სამ თვეში ისეთი რამ მოხდეს, რაც ოტმარს გადაწყვეტილების შეცვლისკენ უბიძგებს. ჰოდა, ჩვენი მხრიდან გაუმართლებელი იქნებოდა იმის თქმა, რომ ზაფხულიდან "ბაიერნს" სხვა მწვრთნელი ეყოლება."*

და მაინც, რა მოხდება თუკი "გენერალი" რეკორდმაისტერში დარჩენაზე უარს იტყვის? რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს "ბაიერნის" ახალი მწვრთნელი? ამ კითხვაზე ჰიონესმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს ასეთი პასუხი გასცა: *"ერთადერთი კრიტერიუმი, რომლის გამხელაც შემიძლია, ის გახლავთ, რომ ის მწვრთნელი გერმანულად უნდა საუბრობდეს. ეს, უბრალოდ, აუცილებელია."* ული ხაზს უსვამს იმასაც, რომ საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, სავარაუდო მწვრთნელების შესახებ, რომელთა გვარებიც პრესაში ვრცელდება, არაფერს იტყვის. *"არცერთ სპეკულაციაზე კომენტარს არ გავაკეთებ. იგივე ეხება სავარაუდო ტრანსფერებსაც. სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, არაფერს ვიტყვი,"* - ამბობს ული.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინათ (გუშინდელ ნომერში ვწერდით) **ლოთარ მათეუსმა** ფაქტობრივად თქვა, მზად ვარ "ბაიერნი" ჩავიბაროო და ამ განცხადებით ახალ სპეკულაციებს დაუდო სათავე. უფრო ადრე კი "ბაიერნის" პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** ესპანური "ხეტაფეს" თავკაცი **ბერნდ შუსტერი** აქო, რომელიც ასევე სიამოვნებით იმუშავებდა მიუნხენურ გიგანტში. შუსტერის შესახებ ახალი მხოლოდ ის არის, რომ მადრიდის "რეალის" ექს-დამრიგებელმა **ვისენტე დელ ბოსკემ** განაცხადა, თუ "რეალის" ბოსებს მართლა კარგი მწვრთნელი სურთ, ბერნდი უნდა მიიწვიონო. ბარემ, აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ რაუნდში "ბაიერნი" სწორედ "რეალს" სტუმრობს.

# დროგბა ოქროს ბუცს უმიზნებს

## ჩელსის ბოსები ახალი მინდვრის დაგებას ითხოვენ

"მიდლსბროსთან" ბოლო ტურის მატჩში (3:0) **დიდიე დროგბამ** ორი გოლი შეაგდო. მას პრემიერლიგაში უკვე 17 ბურთი დაუგროვდა და "ოქროს ბუცის" ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტია. შეგახსენებთ, ეს ჯილდო ევროპის სპორტული გაზეთების ასოციაციამ დააწესა და მას კონტინენტის საუკეთესო ბომბარდირს გადასცემს. ბომბარდირის გამოვლენისას ასეთი სქემით ხელმძღვანელობენ: პირველი დონის ჩემპიონატებში ერთი გოლი 2 ქულით ფასდება, მეორე დონის ჩემპიონატებში - 1.5 ქულით, ხოლო ყველაზე სუსტ ევროპულ ჩემპიონატებში ერთი ქულა სულ რაღაც ერთ ქულას უდრის. დროგბას უკვე 34 ქულა აქვს. ბომბარდირთა დავაში მას ჰერენვენელი **ალფონსო ალვეში** (22 გოლი, 33 ქულა), სევილიელი **ფრედერიკ კანუტე** (16 გოლი, 32 ქულა) და ესტონელი **მაქსიმ გრუზნოვი** (31 გოლი, 31 ქულა) მიჰყვებიან. მეექვსე ადგილზე ორი ვარსკვლავია მოკალათებული - "მანჩესტერ იუნაიტედის" ლიდერი **კრისტიანო რონალდო** და ბარსელონელი **რონალდინიო**. მათ აქტივში 15 გოლი და 30 ქულა უწერიათ.

დავუბრუნდეთ "ჩელსის". კლუბის ხელმძღვანელობა იმ კომპანიას უჩივის, რომელმაც დეკემბრის შუა რიცხვებში "სტემფორდ ბრიჯზე" ახალი მინდორი დააგო. "არისტოკრატებმა" ამ სამუშაოში 130 ათასი გირვანქა გადაიხადეს. შედეგი კი შემაშფოთებელია. "ჩელსის" პრემიერლიგაში ყველაზე ცუდი მინდორი აქვს. საკმარისია, ოდნავ წამოწვიმოს, რომ "სტემფორდ ბრიჯის" საფარი ბოსტანს ემსგავსება. მის ატალახებასთან ერთად, მატულობს ფეხბურთელების ტრავმების ალბათობაც. სხვათა შორის, **ეშლი კოულის** ტრავმას მინდვრის ამაზრზენ ხარისხს აბრალებენ. "ჩელსის" თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** განაცხადა, რომ მშობლიური არენა მათ მტრად გადაიქცა. კომპანია "ინტარფის" ხელმძღვანელობა თავს იმით იმართლებს, რომ "ჩელსის" არენაზე პირველი თამაში 26 დეკემბერს თავსხმა წვიმაში გაიმართა. ბალახი რამდენიმე დღის გაკეთებული იყო და ფესვი ჯერ არ ჰქონდა გადგმული. რა თქმა უნდა, ის უმალ დაზიანდა. "ჩელსი" "ინტარფს" ახალი საფარის დაგებას საკუთარი ხარჯებით სთხოვს.

"არისტოკრატების" ბანაკიდან მიღებული მეორე ცნობა ამერიკას უკავშირდება. "ჩელსიმ" თანამშრომლობა შესთავაზა "ვაშინგტონ იუნაიტედს". შეთანხმების შემთხვევაში, კლუბები ამხანაგურ თამაშებს ჩაატარებენ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იქნება ის მარკეტინგული სვლები, რომლებსაც ლონდონელები ამერიკული ბაზრის დასაპყრობად გააკეთებენ - რა თქმა უნდა, ვაშინგტონელებთან ერთად. გასული კვირის მიწურულს ანალოგიური ხელშეკრულება "არსენალსა" და MLS-ის კიდევ ერთ კლუბ "კოლორადო რეპიდსს" შორის გაფორმდა.



დიდიე დროგბა ოქროს ბუცის მოსაპოვებლად იბრძოლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



შალკეს ფანები ჩემპიონობის მოლოდინში

გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტურის წინ

# მგლები შალკეს გასინჯავენ

## ჰიტცფელდი ალემანიას რეალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს...

| გუშინ |
|---|
| ანტრახტი-შტუტგარტი იხ. მე-15 გვ. |
| **დღეს** |
| ალემანია-ბაიერნი |
| ვერდერი-ჰამბურგი |
| ვოლფსბურგი-შალკე |
| ბორუსია (დ)-ბორუსია (მ) |
| ჰერთა-მაინცი |
| ლევერკუზენი-ჰანოვერი |
| **ხვალ** |
| არმინია-ბოხუმი |
| ნიურნბერგი-კოტბუსი |

ორი უმნიშვნელოვანესი თამაშის მოგების შემდეგ (ბრემენში 2:0 და "ჰერტასთან" 2:0), რამაც "შალკე" სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულ ლიდერად აქცია და 6 ქულით დააწინაურა, გელზენკირხენული კლუბი ვოლფსბურგში ჩადის და ხვდება გუნდს, რომელიც ბოლო დროს ძალიან კარგად თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ გასულ კვირაში **კობიაშვილის** გამოჯანმრთელების შესახებ გაცნობეთ, ჯერ მაინც საკითხავია, იასპარეზებს თუ არა ლევანი "მგლების" წინააღმდეგ. "კიკერის" ცნობით, თუკი კობის თამაში შეეძლება, მაშინ მას **დარიო როდრიგესის** ნაცვლად, დაცვის მარცხენა ფლანგზე ვიხილავთ. თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, მაშინ ეს შეხვედრა 0:0 უნდა დასრულდეს, რადგან "შალკემ" ვოლფსბურგში ბოლო 4 სტუმრობისას, ოთხივეჯერ უგოლო ფრე დააფიქსირა. ორივე გუნდის ქომაგები იმედოვნებენ, რომ ტრადიცია ამჯერად მაინც დაირღვევა და "ფოლკსვაგენარენაზე" გოლები გავა. ამ მხრივ ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ორივე გუნდის თავდამსხმელები (**კლიმოვიჩი, ჰანკე - კურანი, ჰალილ ალთინთოპი, ლოვენკრანდსი**) ჩინებულ ფორმაში არიან. კარგად გამოიყურებიან **მარსელინიო** და **ლინკოლნიც**, რომლებსაც ფორვარდების საგოლე გადაცემებით მომარაგება ევალებათ. ერთი სიტყვით, "შალკეს" ერთობ რთული მატჩი ელის. არადა, კობის გუნდს ქულების დაკარგვის უფლება არ აქვს. შეგახსენებთ, რომ **მირკო სლომკას გუსტავო ვარელა** დაუშავდა, რომელიც სეზონის ბოლომდე ველარ იასპარეზებს. ამ უკანასკნელის ნაცვლად გელზენკირხენელთა სასტარტო შემადგენლობაში ჰალილ ალთინთოპი ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სლომკა ისევ 4-3-3-ზე გადაერთვება.

თუ "შალკემ" წაიფორხილა, "ვერდერს" მიეცემა იმის შანსი, რომ ლიდერს მიუახლოვდეს. ბრემენელები, რომლებმაც ოთხშაბათს უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის პირველ რაუნდში "აიაქსი" ჯანდაბის გზას გაუყენეს (3:0) და ამით ბუნდესლიგაში ზედიზედ ორი წაგების გამო მოცხებული ჩირქი მოიწმინდეს, დღეს "ჰამბურგს" მასპინძლობენ, გუნდს, რომელმაც **ჰუუბ სტევენსის** დანიშვნის შემდეგ წინა ტურში პირველი გამარჯვება იზეიმა (დორტმუნდთან 3:0). ვერავინ იტყვის, რომ "ვერდერს" იოლი მატჩი ელის, რადგან HSV ნელ-ნელა ფეხზე დგება. სტევენსს "ბორუსიასთან" ახალმა ტაქტიკამ (4-4-1-1) წარმატება მოუტანა, ამრიგად, ჰამბურგელები ჩრდილოურ დერბიში, "ვერდერთანაც" იმავე სტრატეგიით შეეცდებიან მინიმუმ 1 ქულის მოპოვებას. "მუსიკოსთა" თავკაც **თომას შააფს** საკადრო პრობლემა აქვს - მარცხენა მცველი **პიერ ვომე** დისკვალიფიცირებულია. ამ უკანასკნელს **შულცი** შეცვლის. *"არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენი მეტოქე მრისხანე "ვერდერია". ბრემენში მოგებაც შეიძლება. ამაში დარწმუნებული ვარ,"* - ამბობს სტევენსი.

"ბაიერნი" "ალემანიას" სტუმრობს და არცაა გასაკვირი, აახენელი გულშემატკივრები გასული წლის 20 დეკემბერზე რომ ფიქრობენ. შეგახსენებთ, რომ იმ დღეს გერმანიის თასზე "ალემანიამ" რეკორდმაისტერს 4:2 მოუგო და ხსენებული ტურნირიდან დაიფრინა. მაშინ აახენელთა ლიდერმა **იან შლაუდრაფმა** შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა, რის გამოც "ბაიერნის" ბოსებმა წინასწარი კონტრაქტი გაუფორმეს - როგორც იცით, შლაუდრაფი მომავალი სეზონიდან მიუნხენურ გიგანტში ითამაშებს. ამრიგად, იანს დღეს მომავალი გუნდის წინააღმდეგ მოუწევს თამაში. ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი ამბობს, რომ ბავარიაში გადასვლამდე კიდევ ერთხელ, ამჯერად უკანასკნელად, სურს "ბაიერნის" ფანების დამწუხრება. ცხადია, შლაუდრაფზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ **ფრონტცეკის** გუნდმა ბოლო ოთხი თამაშიდან სამი წააგო და ერთი ფრედ დაასრულა. რაც შეეხება "ბაიერნს" - რეკორდმაისტერის ფანები "რეალთან" მომავალ მატჩზე (სამშაბათს) უფრო ფიქრობენ, მაგრამ ბავარიელთა თავკაც **ოტმარ ჰიტცფელდს** განსხვავებული აზრი აქვს: *"პირადად მე "ალემანიასთან" მატჩს უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ!"* - აცხადებს გენერალი.

მიონხენგლადბახის "ბორუსია პარკზე" "ბორუსიების" ჯახი გაიმართება. ალბათ შეხსენებას ალარ საჭიროებს ის ფაქტი, თუ როგორ ვერ იტანენ ერთმანეთს დორტმუნდული და მიონხენგლადბახური "სეხნიების" გულშემატკივრები. აღსანიშნავია, რომ ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში "გლადბახს" ყველაზე ცოტა, სულ რაღაც 16 გოლი (21 თამაშში) აქვს გატანილი. მწვრთნელი **იოს ლუჰუკაი** იმედოვნებს, რომ ნავსი გატყდება და რომ მისი შეგირდები გოლების გატანას დაიწყებენ. მიონხენგლადბახურ კლუბს ფორვარდი **ვესლი სონკიც** უბრუნდება. მძიმე დროება უდგას "დორტმუნდსაც". "ბაიერნის" დამარცხების შემდეგ (3:2), BVB-მ ზედიზედ 3 მატჩი წააგო და თანაც ვერცერთ მათგანში ვერ შეძლო გოლის გატანა. "დორტმუნდის" ფორვარდებს 301-წუთიანი მშრალი სერია აქვთ. დღესვე ბერლინის "ჰერტა" "მაინცს" მიიღებს, უეფას თასზე "ბლექბერნის" დამამარცხებელი "ლევერკუზენი" კი "ჰანოვერს". ხვალ, ტრადიციისამებრ, ორი მატჩია: "არმინია"-"ბოხუმი" და "ნიურნბერგი"-"კოტბუსი".

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 21 | 15 | 3 | 3 | 38-19 | 48 |
| 2. ვერდერი | 21 | 13 | 3 | 5 | 53-28 | 42 |
| 3. შტუტგარტი | 21 | 12 | 5 | 4 | 37-26 | 41 |
| 4. ბაიერნი | 21 | 11 | 4 | 6 | 33-25 | 37 |
| 5. ნიურნბერგი | 21 | 7 | 12 | 2 | 30-17 | 33 |
| 6. ჰერტა | 21 | 9 | 6 | 6 | 32-33 | 33 |
| 7. ლევერკუზენი | 21 | 8 | 5 | 8 | 35-33 | 29 |
| 8. ჰანოვერი | 21 | 7 | 6 | 8 | 27-32 | 27 |
| 9. ბორუსია (დ) | 21 | 6 | 7 | 8 | 24-28 | 25 |
| 10. ვოლფსბურგი | 21 | 5 | 9 | 7 | 20-24 | 24 |
| 11. არმინია | 21 | 5 | 8 | 8 | 26-26 | 23 |
| 12. აინტრახტი | 21 | 4 | 11 | 6 | 27-35 | 23 |
| 13. კოტბუსი | 21 | 5 | 7 | 9 | 23-30 | 22 |
| 14. მაინცი | 21 | 4 | 9 | 8 | 17-31 | 21 |
| 15. ბორუსია (მ) | 21 | 5 | 5 | 11 | 16-26 | 20 |
| 16. ბოხუმი | 21 | 5 | 5 | 11 | 22-33 | 20 |
| 17. ალემანია | 21 | 5 | 5 | 11 | 32-42 | 20 |
| 18. ჰამბურგი | 21 | 2 | 12 | 7 | 22-26 | 18 |

ექსპერტის მოსაზრება

# სლომკას წინაშე ქედს ვიხრი

## ბეკენბაუერი: შალკე ჩემპიონობას იმსახურებს




ნახევარი საუკუნეა, "შალკე" გერმანიის ჩემპიონის ტიტულს ელოდება. იმის გათვალისწინებით, რომ გელზენკირხენელებს ყოველთვის ანგარიშგასაწევი გუნდი ჰყავდათ, ეს ძალიან დიდი დროა. 6 წლის წინათ "შალკე" ძალიან ახლოს იყო "ვერცხლის სინთან" და ჩემპიონობამდე რამდენიმე წამი დააკლდა. მაშინ გელზენკირხენული კლუბი ყველამ "გულის ჩემპიონად" მონათლა. დღესდღეობით ჩემპიონობასთან ყველაზე ახლოს ისევ "შალკეა" და თუკი "ხუმარები" "ვერცხლის სინს" დაეუფლებიან, თამამად შეგვეძლება იმის თქმა, რომ მათ ეს დაიმსახურეს.

ქედს ვიხრი "შალკეს" მწვრთნელის, **მირკო სლომკას** წინაშე. ამ კაცმა კრიზისში მყოფი გუნდი ჩაიბარა და ერთ წელიწადში ბუნდესლიგის უმთავრეს ფავორიტად აქცია. ყველას კარგად გვახსოვს, თუ რას ფიქრობდა ხალხი თავიდან მირკოზე. თითქმის ყველა თანხმდებოდა, ეს კაცი მთავარ მწვრთნელად ვერ ივარგებსო და აბსოლუტურად ყველას უკვირდა გელზენკირხენული გუნდის შეფების გადაწყვეტილება, რომლებიც მართლაც უდიდეს რისკზე წავიდნენ, როცა **რალფ რანგნიკი** გაათავისუფლეს, მის ნაცვლად კი ყველასთვის უცნობი სლომკა დანიშნეს. მაგრამ რისკმა გაამართლა, ეს უკვე დღესავით ნათელია.

"შალკეს" შემადგენლობა ბოლო წლებში თითქმის არაფრით ჩამოუვარდებოდა "ბაიერნისა" და "ვერდერის" შემადგენლობებს. ჩემი აზრით, ამ გუნდს შარშან და შარშანწინაც ჰქონდა იმის პოტენციალი, რომ "ვერცხლის სინისთვის" ებრძოლა. მაგრამ ეს ვერ მოახერხა და მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ უდიდესი პოტენციალის მქონე ფეხბურთელები ვერცერთმა მწვრთნელმა ვერ აათამაშა. გნებავთ ჰაინკესის ხანა აიღეთ და გნებავთ რანგნიკისა - "შალკეში" ყოველთვის ქაოსი იყო და მუდმივად გაუგებრობებს ჰქონდა ადგილი.

და ის, რომ ამ გუნდში ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა და თავის ადგილზე დადგა, პირველ რიგში, სწორედ მირკოს დამსახურებაა. სწორედ მან, ყველასთვის უცნობმა კაცმა შეძლო და სიმშვიდე დაუბრუნა გუნდს, რომელიც ყოველთვის უკულმართობებითა და არეულობებით იყო ცნობილი. ამბობენ, "შალკეს" ადრე არ უმართლებდა, ახლა კი უმართლებსო. მე ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვეთანხმები - მხოლოდ ძლიერებსა და წარმატების ღირსებს უმართლებთ ხოლმე. მაინც, რით მოახერხა სკლომკამ გაუწვრთნელი გუნდის გაწვრთნა და დაუმორჩილებელი კოლექტივის დამორჩილება? მე ამ კითხვაზე ასეთი პასუხი მაქვს: ღიმილით!

ხომ იცით, ჩემი დევიზი ასეთია: გაუღიმე ადამიანს, თუ გინდა, რომ მანაც გაგიღიმოს და ის აუცილებლად გაგიღიმებს. და იცით რატომ? იმიტომ, რომ მას სხვა გზა აღარ ექნება. ნებისმიერი ყინული მხოლოდ ასეთი გზით დნება. და თუ დამიჯერებთ, ვფიქრობ, რომ მირკო სლომკას ჩემპიონური ღიმილი აქვს.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე "შალკე" ჯგუფებად იყო დაყოფილი, სხვადასხვა ფეხბურთელები ერთმანეთს მტრობდნენ და ერთი სიტყვით, გუნდში სრული ქაოსი სუფევდა. როგორც ჩანს, სლომკამ ეს პრობლემა საბოლოოდ მოაგვარა და დანაწევრებული გუნდისგან ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი ჩამოაყალიბა, რომელიც ერთი მიზნისთვის იბრძვის. მიზნისთვის, რომელსაც მხოლოდ ასეთი შემართებით თუ მიაღწევს. ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ "შალკე" უმძიმეს ზეწოლას ძალიან თავისუფლად უძლებს. ამას კი ბოლო დროს თვით "ბაიერნიც" კი ველარ ახერხებს ხოლმე.

რანგნიკის გათავისუფლების შემდეგ მას არ სჯეროდა, რომ მთავარ მწვრთნელად დანიშნავდნენ, რადგან რალფის ასისტენტი იყო. და როცა დანიშნეს, მედიამ და გულშემატკივრებმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. სლომკამ მათ ღიმილით უპასუხა და ყველაფერზე თვალები დახუჭა. "მისტერ არავინ" უწოდეს და ამით უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენეს, მაგრამ მირკომ ისევ გაიღიმა და ესეც გადაიტანა. ერთხელ აშშ-ის ერთმა პრეზიდენტმა თქვა, ვინც სიცხეს ვერ იტანს, სამზარეულოში არ უნდა მუშაობდესო. და ალბათ შეხსენებას ალარ საჭიროებს ის ფაქტი, თუ როგორი აუტანელი სიცხეა "შალკეში".


მირკო სლომკა

ცხადია, მირკოს ცოტათი გაუმართლა და უმართლებს კიდეც. მაგრამ ვიმეორებ: მხოლოდ ძლიერებსა და ღირსეულებს უმართლებთ. ყველაზე მეტად გაუმართლა იმაში, რომ **ფრანკ როსტის**, ამ მართლაც "ყოვლისშემძლე" პიროვნების პრობლემა სწრაფად მოგვარდა. გამართლება იყო ის, რომ "ჰამბურგს" მეკარე დასჭირდა და როსტიც, სლომკას პირველი მტერი "შალკეს" მოშორდა. გამართლება იყო ისიც, რომ ფრანკის შემცვლელი **მანუელ ნოიერი** შესანიშნავი გოლკიპერი აღმოჩნდა და ხშირად აუღებელ ბურთებს იგერიებს. მოკლედ, ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა.

"შალკე" ჩემპიონი? ერთ რამეს ვაღიარებ: გელზენკირხენულ კლუბს "ბაიერნისა" აღარ უნდა ეშინოდეს. ჩვენ 11 ქულით ჩამოვრჩებით ლიდერს და ფაქტია, რომ ამ ჩამორჩენას ველარ გავაბათილებთ. "ბაიერნი" ახლა მხოლოდ მესამე ადგილისთვის და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. "ვერდერი" კი... "ვერდერი" ამ სეზონში კიდევ იტყვის თავის სიტყვას...

### სტატისტიკა: სლომკა მწვრთნელებში პირველია

ქვემოთ ბუნდესლიგის მწვრთნელების რეიტინგს გაეცნობით. შეჯამებულია ბოლო ორი სეზონის შედეგები. რეიტინგი იმ ქულების მიხედვითაა შედგენილი, რაც მწვრთნელებმა ამ ხნის მანძილზე მოიპოვეს. როგორც ხედავთ, პირველ ადგილზე სწორედ მირკო სლომკაა.

| მწვრთნელი | თ | ქ |
|---|---|---|
| 1. მირკო სლომკა (შალკე) | 38 | 78 |
| 2. თომას შააფი (ვერდერი) | 38 | 76 |
| 3. ფელიქს მაგათი (ბაიერნი)* | 36 | 65 |
| 4. ჰანს მაიერი (ნიურნბერგი) | 38 | 63 |
| 5. მიხაელ სკიბე (ლევერკუზენი) | 38 | 62 |
| 6. არმინ ფეჰი (შტუტგარტი) | 35 | 57 |
| 7. ფალკო გიოტცი (ჰერტა) | 38 | 55 |
| 8. ბერტ ვან მარვიიკი (დორტ.)* | 34 | 47 |
| 9. თომას დოლი (ჰამბურგი)* | 36 | 45 |
| 10. იურგენ კლოპი (მაინცი) | 38 | 43 |

*შენიშვნა: * - მწვრთნელები, რომლებიც გაათავისუფლეს.*

ფრანც ბეკენბაუერი
ბილდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



რონალდო სრულფასოვანი მილანური დერბისთვის ემზადება

 იტალია. სერია A. XXIV ტურის წინ

# რონალდო სტარტზეა: მილანი ბრაზილიურად შეუტევს

**დღეს**

ინტერი-კალიარი
სიენა-მილანი
ემპოლი-რომა

**ხვალ**

ლაციო-ტორინო
პალერმო-კიევო
პარმა-სამპდორია
რეჯინა-ატალანტა
ასკოლი-უდინეზე
(უმაყურებლოდ)
ლივორნო-მესინა
(უმაყურებლოდ)
კატანია-ფიორენტინა
(უმაყურებლოდ)

მოახლოვდა ჩემპიონთა ლიგა და ამ ტურნირში მონაწილე გუნდებს, „ინტერს", „მილანსა" და „რომას", იტალიის ფედერაციამ შაბათს თამაშის უფლება დართო. საერთოდ, სერია A ნელ-ნელა უბრუნდება ნორმალურ რეჟიმს, ანუ ხალხი, მართალია, შეზღუდული რაოდენობით, მაგრამ მაინც უბრუნდება სტადიონებს. მაგალითისთვის, „რეჯინას" სტადიონს, რომელიც უსაფრთხოების ახალ ნორმებს ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს, მაინც დართეს უფლება, რომ ტრიბუნებზე სეზონური აბონემენტების მფლობელები დაუშვას. სავარაუდოდ, იგივე უფლებას მისცემენ დღეს „ემპოლის" სტადიონსაც, „სან სირომ" კი ასეთი ნებართვა ერთი კვირის წინათ მიიღო. ასე რომ, მაყურებლის გარეშე ამ ტურში სამი შეხვედრა შედგება: „ასკოლი"-„უდინეზე", „ლივორნო"-„მესინა" და „კატანია"-"ფიორენტინა". ეს უკანასკნელი სულაც ნეიტრალურ მოედანზე, რიმინიში გაიმართება, იმის გამო, რომ კატანიურ „მასიმინოს" დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლოს მისცეს. ქალაქი რიმინი ფლორენციასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე კატანიასთან, ასე რომ, ძნელად თუ შეიძლება, „კატანიას" მასპინძელი ეწოდოს. ტურის ყველა მატჩი ამ უქმეებზეც 15 საათზე გაიმართება, მომავალი ტურიდან კი ღამის თამაშებიც განახლდება.

ჩემპიონთა ლიგის მოახლოებასთან ერთად, შემადგენლობების როტაციებიც იწყება. დაუმარცხებელი „ინტერი", რომელიც ჩემპიონატში ზედიზედ მე-16 გამარჯვებას უმიზნებს, წინა ტურის მეგოლეებს, **ადრიანოსა** და **კრესპოს** დაასვენებს. **იბრაჰიმოვიჩმა** თავის ტრავმა მოიშუშა და ძირითადში ბრუნდება, მისი მეწყვილე კი **ხულიო კრუსი** იქნება. ამ ორ ფორვარდს ჩემპიონატში ერთად ჯერ არ უთამაშიათ, პრეცედენტი მხოლოდ ერთხელ ჩემპიონატში იყო, როცა შვედის გოლით „ინტერმა" „სპარტაკს" მოსკოვში 1:0 მოუგო. „კალიარი" იყო ერთ-ერთი იმ სამი გუნდიდან, ვისი დამარცხებაც „ნერაძურიმ" ამ ჩემპიონატში ვერ შეძლო. ის შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა, შარშან კი „სან სიროზე" მასპინძლებმა 3:2 გაიმარჯვეს.

„მილანი" სიენაში ბრაზილიური თავდასხმის ტრიოთი წარსდგება. სასტარტო შემადგენლობაში პირველად გამოვა **რონალდო**, მისი მეწყვილე **ოლივეირა** იქნება, მათ ზურგსუკან კი **კაკა** ითამაშებს. რონალდოს ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლება არა აქვს და მოსალოდნელიც იყო, რომ **ანჩელოტი** მას პირველი წუთიდან დააყენებდა, **ჯილარდინოს** კი დასვენების საშუალებას მისცემდა. 20 დეკემბრის შემდეგ მოედანს უბრუნდება გამოჯანმრთელებული **კახა კალაძე**, რომელიც დაცვის ცენტრში, სავარაუდოდ, **ბონერასთან** ერთად ითამაშებს. კარში დაშავებულ **დიდას** ისევ **სტორარი** შეცვლის. „მილანმა" ბოლოს ზედიზედ ორი საშინაო შეხვედრა მოიგო, მაგრამ ორივე დიდი გაჭირვებით (1:0 „პარმასთან", 2:1 „ლივორნოსთან") და ამასთან დაკავშირებით ვიცე-პრეზიდენტმა **გალიანიმ** თქვა, შედეგი კარგია, მაგრამ იმედია, ახლა თამაშის ხარისხსაც გამოვასწორებთო. „სიენამ" შინ ბოლოს „კიევოს" 2:1 მოუგო, რასაც წინ ერთთვიანი მოუგებელი სერია უძღოდა. პირველ წრეში ამ გუნდების დაპირისპირება „სან სიროზე" 0:0 დასრულდა, შარშან კი „მილანმა" სიენაში 3:0 მოიგო.

რთული გასვლა ელის „რომას" ემპოლიში, სადაც შარშან **სპალეტიმ** 1:0 წააგო და კინაღამ პოსტსაც გამოეთხოვა. გასულ ტურში „ემპოლიმ" მოულოდნელად მოუგო სტუმრად „პალერმოს" (1:0), ბოლო ორ საშინაო შეხვედრაში კი ქულათა მაქსიმუმი აიღო. საერთოდ, ტოსკანელებს კარგად აწყობილი გუნდი ჰყავთ და შემთხვევითი არაა, რომ მეოთხე ადგილს იკავებენ. „რომას" 2007-ში სტუმრად ჯერ არ გაუმარჯვია, ბოლო ორი გასვლითი შეხვედრა ერთი და იმავე ანგარიშით 1:1 დაასრულა. რომაელებს იმედი აქვთ, რომ ცენტრალური მცველები **კივუ** და **მექსე** გამოჯანმრთელებას მოასწრებენ და ძირითადში თამაშს შეძლებენ. „ფიორენტინამ" ზედიზედ ორი საშინაო შეხვედრა მოიგო, ბოლოს ლიდერების **ტონისა** და **მუტუს** გარეშე. ხვალ ორივე ფორვარდს ძირითად შემადგენლობაში ელიან. „ვიოლას" მხოლოდ ფორმალურად ექნება სტუმრის სტატუსი, რადგან „კატანიას" ნეიტრალურ მოედანზე და ცარიელი ტრიბუნების წინ დაუპირისპირდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 22 | 19 | 3 | 0 | 48-17 | 60 |
| 2. რომა | 22 | 15 | 4 | 3 | 46-17 | 49 |
| 3. პალერმო | 23 | 13 | 3 | 7 | 39-28 | 42 |
| 4. ემპოლი | 22 | 8 | 8 | 6 | 20-19 | 32 |
| 5. ლაციო | 22 | 9 | 7 | 6 | 33-18 | 31 |
| 6. კატანია | 23 | 8 | 7 | 8 | 31-39 | 31 |
| 7. მილანი | 22 | 10 | 8 | 4 | 28-18 | 30 |
| 8. ატალანტა | 22 | 7 | 8 | 7 | 36-32 | 29 |
| 9. უდინეზე | 22 | 8 | 5 | 9 | 23-27 | 29 |
| 10. სამპდორია | 22 | 7 | 6 | 9 | 30-30 | 27 |
| 11. ფიორენტინა | 22 | 12 | 4 | 6 | 35-21 | 25 |
| 12. სიენა | 22 | 5 | 11 | 6 | 20-24 | 25 |
| 13. კალიარი | 22 | 4 | 11 | 7 | 18-25 | 23 |
| 14. ლივორნო | 22 | 5 | 8 | 9 | 22-34 | 23 |
| 15. ტორინო | 22 | 5 | 7 | 10 | 18-29 | 22 |
| 16. რეჯინა | 22 | 8 | 6 | 8 | 28-29 | 19 |
| 17. კიევო | 22 | 4 | 6 | 12 | 21-32 | 18 |
| 18. მესინა | 22 | 3 | 8 | 11 | 22-37 | 17 |
| 19. პარმა | 22 | 3 | 6 | 13 | 17-39 | 15 |
| 20. ასკოლი | 22 | 2 | 6 | 14 | 16-35 | 12 |

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ინტერმა დე როსი ისურვა

ერთი შეხედვით, შეუძლებელი ტრანსფერია: „რომას" მეორე სიმბოლო, **დანიელე დე როსი** „ინტერში". მაგრამ ფინანსურად ცოტა შეჭირვებულ „რომას," შეიძლება, ძალიან დააინტერსოს ის, რასაც „შავ-ლურჯები" სთავაზობენ. „ტუტოსპორტის" თანახმად, „ინტერმა" 23 წლის ნახევარმცველი სამიზნეში ამოიღო და მზადაა, დედაქალაქელების წინაშე საინტერესო წინადადებით წარსდგეს. წინადადება კი ასეთია: **ფაბიო გროსო, ვალტერ სამუელი** და **დავიდ პისაროს** სატრანსფერო უფლებების მეორე ნახევარი, რომელიც კვლავაც „ინტერს" ეკუთვნის. ეს ყველაფერი დე როსის სანაცვლოდ. „ნერაძურისა" და „რომას" დირექტორებს შორის შეხვედრა უახლოესი მომავლისთვის არის დაგეგმილი: მხარეებმა პისაროს თანამფლობელობის საკითხი უნდა განიხილონ. „ტუტოსპორტის" მტკიცებით, ამ შეხვედრის გამოყენებას ეცდებიან მილანელები, რომ სიტყვა დე როსის თაობაზე ჩამოაგდონ და ზემოთნახსენები გაცვლის შესაძლებლობაზე იმსჯელონ.

თუმცა, „ტუტოსპორტის" თანახმად, „ინტერის" სურვილები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება: მილანელები ასევე სერიოზულად ყოფილან დაინტერესებულები კიდევ ორი რომაელის, **ფილიპ მექსესა** და **ამანტინო მანსინის** გადაბირებით. ფრანგ მცველს ხელშეკრულება 2008 წლამდე აქვს გაფორმებული, თუმცა მის კონტრაქტში ჩადებულია ერთი პუნქტი, რომელიც საშუალებას აძლევს, რომ 10 მილიონი ევროს საფასურად სხვა კლუბში გადავიდეს. მანსინის რაც შეეხება, მისი აგენტი **ჟილმარ ველოუი** მომავალ კვირაში იტალიაში ჩავა და „რომას" ხელმძღვანელობას მისი კლიენტის მომავალზე დაელაპარაკება. უკვე ორი წელი სრულდება, რაც კლუბი მანსინის ხელფასის მომატებას დაპირდა, მაგრამ სიტყვა დღემდე არ შეუსრულებია.

მანჩესტერ იუნაიტედი

# რა აპირებს ლარსონი?

## ჰელსინგბორგი კონტრაქტის გაგრძელებაზე თანახმაა, ჰოვარდი ევერტონის საკუთრება გახდება

**ჰენრიკ ლარსონის** თაობაზე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. "დეილი მეილმა" გვაუწყა, რომ "ჰელსინგბორგი" თანახმაა, თავდამსხმელი "მანჩესტერ იუნაიტედში" სეზონის ბოლომდე დარჩეს. საამისოდ კლუბებს საიჯარო კონტრაქტის გაგრძელება მოუწევთ. დღევანდელი შეთანხმება 12 მარტს იწურება. შვედმა ვეტერანმა "მენიუს" შემადგენლობაში შვიდი თამაში ჩაატარა და ორი გოლი შეაგდო. მაგრამ ვნახოთ, რას წერს "დეილი მირორი" - ჩვენთან საუბარში ლარსონმა დაადასტურა, რომ პირობის დარღვევას არ აპირებს და მარტის შუა რიცხვებში ჰელსინგბორგში დაბრუნდებაო. რამდენიმე დღის წინათ **სერ ალექს ფერგიუსონმა** განაცხადა, ჰენრიკს სიამოვნებით დავიტოვებდი, მაგრამ შვედების ინტერესებს უყურადღებოდ არ უნდა მოვეკიდოთო. კლუბებს ფეხბურთელის ტრანსფერზე მოლაპარაკებები ჯერ არ გაუმართავთ.

გადაწყდა, რომ **ტიმ ჰოვარდი** "მანჩესტერ იუნაიტედს" გამოეთხოვება. ამერიკელი მეკარე ამ სეზონს იჯარით "ევერტონში" ატარებს. სეზონის ბოლოს მხარეები კიდევ ერთხელ მიუსხდებიან მოლაპარაკებათა მაგიდას და ხანგრძლივ კონტრაქტს გააფორმებენ. საუბარია ხუთწლიან შეთანხმებაზე, რომელიც ჰოვარდს "გუდისონ პარკზე" 2012 წლამდე დატოვებს. გოლკიპერმა ლივერპულელთა შემადგენლობაში 27 მატჩი ჩაატარა და ამათგან 11-ში კარი მშრალად შეინახა. ის ინგლისში 2003 წელს "ნიუ ჯერსი მეტროსტარზიდან" გადავიდა და "იუნაიტედის" მაისურით 77 მატჩის გამართვა მოასწრო. 2005 წელს, როცა "მენიუმ" ვეტერანი ჰოლანდიელი **ედვინ ვარ დერ სარი** გადაიყვანა, ტიმი თადარიგში გაამწესეს და მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ შვიდი თამაში აკმარეს - ამათგან, მხოლოდ ერთი პრემიერლიგაში. სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო, ჰოვარდს არც მუნდიალზე უასპარეზია. მართალია, ის განაცხადში შეიყვანეს, მაგრამ მინდორზე ერთი წუთითაც კი არ გაუყვანიათ. მის სანაკრებო აქტივში 16 მატჩია, ამათგან უკანასკნელი - მექსიკასთან წინა კვირაში, რომელიც ამერიკელებმა 2:0 მოიგეს.



სამუელ ეტოო

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXIII ტურის წინ

# ეტოო, ალბათ, ძირითადში ითამაშებს

**დღეს**

რეალი-ბეტისი
სარაგოსა-ვილიარეალი

**ხვალ**

ესპანიოლი-მალიორკა
დეპორტივო-ლევანტე
რეკრეატივო-სოსიედადი
ბილბაო-ხეტაფე
რასინგი-ხიმნასტიკი
ოსასუნა-სელტა
ვალენსია-ბარსელონა
სევილია-ატლეტიკო

გუშინ სალამოს **ფაბიო კაპელომ** დაუგეგმავი პრესკონფერენცია გამართა და საინტერესო რამ გვითხრა: *"ძალიან მინდა, ეს სეზონი "რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დავასრულო. შემდეგ კი ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. უახლოეს კვირეებში გადამწყვეტი ორთაბრძოლების გამართვა მოგვიწევს. უნდა გავუძლოთ და ღირსეულად ვითამაშოთ. აქვე არ შემიძლია, რობინიოს არ ვუპასუხო. მან თქვა, რომ ბედნიერად ვერ გრძნობს თავს. რას ნიშნავს ეს? იმდენად პატარა აღარ არის, არ ესმოდეს, რომ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 11 კაცისთვის მომენახება ადგილი. ითამაშებს ის, ვინც საუკეთესო ფორმაში იქნება."*

ამასობაში, ბატონ კაპელოს ტრავმამოშუშებულ **რობერტო კარლოსსა** და **მარსელოსთან** მუშაობის შესაძლებლობა მიეცა. გამორიცხული არ არის, ვეტერანი ბრაზილიელი ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდეს, მისმა ახალგაზრდა თანამემამულემ კი შეცვლაზე ითამაშოს. ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ **მაჰამადუ დიარაც** გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ მალიელი ნახევარმცველი ლაზარეთიდან ვერ გამოეწერა. **დევიდ ბექჰემი** ძირითადში ზედიზედ მეორედ მოხვდება. კაპელო მას ინტენსიურად ამზადებს. "რეალის" განაცხადში შემდეგი ფეხბურთელები მოხვდებიან: **კასილიასი, დიეგო ლოპესი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, სერხიო რამოსი, კანავარო, ელგერა, მარსელო, ტორესი, მეხია, პავონი, გახო, ემერსონი, გუტი, ბექჰემი, რობინიო, რეიესი, რაული, იგუაინი, ვან ნისტელროი.**

"ბეტისს" რაც შეეხება, **ლუის ფერნანდესი** შეგირდებს დახურულ კარს მიღმა ავარჯიშებს. მან ბოლო სამ ვარჯიშზე ჟურნალისტები არ შეუშვა. ფრანგმა სპეციალისტმა მხოლოდ ფოტორეპორტიორებს დართო მუშაობის უფლება, ისიც 15 წუთით. ფერნანდესი ამბიციურად აცხადებს, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" სევილიური კლუბი მოსაგებად იბრძოლებს.

ტურის ცენტრალური შეხვედრა "მესტალიაზე" გაიმართება. "ვალენსიისა" და "ბარსელონის" დაპირისპირებას უდიდესი ინტერესი ახლავს. მოგეხსენებათ, **სამუელ ეტოოს** სკანდალური განცხადების შემდეგ კატალონიურ გრანდში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ესპანურ პრესაში დაიწერა, რომ **ფრანკ რიიკაარდი** სეზონის ბოლოს "კამპ ნოუს" დატოვებს. საზოგადოებას აინტერესებს, ჰოლანდიელი სპეციალისტი კამერუნელ ფორვარდთან დაკავშირებით როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს. სპეციალისტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბატონი ფრანკი სიტუაციის განმუხტვას შეეცდება და ეტოოს ძირითად შემადგენლობაში დააბრუნებს. ყოველ შემთხვევაში, მთავარმა მწვრთნელმა **რონალდინიო-მესი-ეტოოს** ტრიო ძირითად გუნდთან ერთად ავარჯიშა. ბარსელონელები პრესის წარმომადგენლებთან საუბარს ერიდებიან. ისინი ფიქრობენ, რომ ბოლო დღეების განმავლობაში ბევრი უარყოფითი ემოცია დაიხარჯა და გუნდს ახლა სიმშვიდე სჭირდება.

ვალენსიელები შეეცდებიან, სკანდალით შეწუხებული "ბარსა" ქულის გარეშე გაისტუმრონ. **კიკე სანჩეს ფლორესი** ოპტიმისტურადაა განწყობილი, თუმცა იმასაც ამბობს, რომ კატალონიელთა დამარცხება უდიდეს სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 22 | 13 | 7 | 2 | 45-18 | 46 |
| 2. სევილია | 22 | 13 | 4 | 5 | 41-21 | 43 |
| 3. რეალი | 22 | 13 | 2 | 7 | 30-19 | 41 |
| 4. ვალენსია | 22 | 12 | 3 | 7 | 32-21 | 39 |
| 5. ატლეტიკო | 22 | 11 | 6 | 5 | 28-17 | 39 |
| 6. სარაგოსა | 22 | 10 | 5 | 7 | 34-24 | 35 |
| 7. ხეტაფე | 22 | 10 | 5 | 7 | 21-14 | 35 |
| 8. რეკრეატივო | 22 | 10 | 3 | 9 | 32-30 | 33 |
| 9. ოსასუნა | 22 | 9 | 3 | 10 | 30-28 | 30 |
| 10. ესპანიოლი | 22 | 7 | 8 | 7 | 21-24 | 29 |
| 11. რასინგი | 22 | 7 | 8 | 7 | 20-26 | 29 |
| 12. დეპორტივო | 22 | 7 | 8 | 7 | 18-25 | 29 |
| 13. ვილიარეალი | 22 | 8 | 5 | 9 | 20-28 | 29 |
| 14. მალიორკა | 22 | 7 | 5 | 10 | 20-30 | 26 |
| 15. ბეტისი | 22 | 6 | 7 | 9 | 23-28 | 25 |
| 16. ლევანტე | 22 | 6 | 7 | 9 | 21-31 | 25 |
| 17. ბილბაო | 22 | 5 | 7 | 10 | 24-31 | 22 |
| 18. სელტა | 22 | 5 | 7 | 10 | 23-32 | 22 |
| 19. სოსიედადი | 22 | 2 | 8 | 12 | 13-29 | 14 |
| 20. ხიმნასტიკი | 22 | 3 | 4 | 15 | 23-43 | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლუკა ტონი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ქალბატონმა ტონის დაუმიზნა

## ეს ოპერაცია იუვენტუსს 50 მილიონი ევრო დაუჯდება

„იუვენტუსმა" **ლუკა ტონის** შეძენა გადაწყვიტაო, წერს „გაძეტა დელო სპორტი". „ფიორენტინა" თავს იცავს და კონტრზომის სახით, ფორვარდთან კონტრაქტის გაგრძელებას ცდილობს, მაგრამ ტურინელებს ეს არ აშინებთ და ხანგრძლივი მოლაპარაკებების დასაწყებად ემზადებიან. „ქალბატონის" გეგმის მიხედვით, ტონიმ **ტრეზეგე** უნდა შეცვალოს. წინასწარი გათვლებით, ოპერაციატონი „იუვეს" მთლიანად 50 მილიონი ევრო უნდა დაუჯდეს. აქ იგულისხმება სატრანსფერო ფასი და ის თანხა, რომელიც კლუბმა ფორვარდს ხელფასის სახით უნდა უხადოს. „გაძეტა დელო სპორტი" ასე წერს: „შთაბეჭდილება ისეთია, რომ ტონის ძალიან იზიდავს „იუვენტუსში" ახალი წარმატებული ციკლის დაწყების პერსპექტივა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ტურინელები 4-წლიან კონტრაქტს შესთავაზებენ. ლუკას აგენტი ტულიო ტინტი ახლა შვებულებაშია, მაგრამ ძნელად წარმოსადგენია, რომ ფეხბურთელმა და მისმა მენეჯერმა სერიოზულად განიხილონ „ვიოლას" წინადადება იმ ფონზე, როცა ფორვარდს „იუვენტუსი" ბევრად უკეთეს პირობებს სთავაზობს". „ფიორენტინის" პირობა კი ასეთია: კონტრაქტის გაგრძელება 2010 წლამდე და სეზონში 2 მილიონი ევრო.

ჯილარდინო. ალტერნატივის სახით „ბიანკონერი" **ალბერტო ჯილარდინოზე** ფიქრობს. ტურინელებმა უკვე შესთავაზეს „მილანს" მისი **ტრეზეგეში** გაცვლა და უარის მიღების მიუხედავად, იმედს მაინც არ კარგავენ, მით უმეტეს ახლა, როცა „როსონერიმ" **რონალდო** დაიმატა. **დიდიე დეშამს მიროსლავ კლოზეც** მოსწონს, მაგრამ ხელმძღვანელობას ძალიან ეძვირება 20 მილიონი ევროს გადახდა იმ ფორვარდში, რომელიც მომავალ სეზონში 29 წლის იქნება და თან „ვერდერთან" კონტრაქტით მხოლოდ ერთი წელი რჩება. გარდა ამისა, უცნობია, შეძლებს თუ არა იტალიის ჩემპიონატთან ადაპტაციას, მაშინ როცა, ჯილარდინოზე ასეთი კითხვის ნიშანი მოხსნილია.

აგუერო. ესპანური გაზეთები წერენ, რომ 18 წლის **სერხიო ლეონელ აგუეროს** მსურველ კლუბებს შორის „იუვენტუსიც" არის, მაგრამ რეალურად, ფეხბურთელის ფასი („ატლეტიკოდან" გამოსასყიდი თანხა 36 მილიონი ევროა) და მისი ამპლუა, ამ ვარიანტს გამორიცხავს. აშკარაა, რომ პატარა არგენტინელი ტრეზეგეს შემცვლელად არ გამოდგება. „იუვენტუსის" სატრანსფერო აქტივობა ამ მომენტისთვის გაჩერებულია: დეშამს, რომელიც ფეხბურთელების ყიდვაში უშუალოდ მონაწილეობს (ამის დასტურია **ბუმსონგის** ტრანსფერი), პოსტის დაკარგვის საფრთხე ახლო მომავალში არ ემუქრება, მაგრამ მისი დარჩენა შეიძლება, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, თუკი გუნდის სერია A-ში გადაყვანას ფლეი-ოფის გარეშე ვერ მოახერხებს. „იუვეს" ბოლო გამოსვლების მიხედვით კი, ამ მიზნის მიღწევა ისეთი გარანტირებული აღარ ჩანს, როგორც ორი თვის წინ მოჩანდა. ამიტომ ხელმძღვანელობა ფრთხილ პოლიტიკას ირჩევს: სანამ არ დარწმუნდება, რომ გუნდი კარგად ათამაშდა და შედეგებს აღწევს, მანამდე დეშამის მითითებებით ფულს არ დახარჯავს. თორემ, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ფრანგი გაუშვან და მისი მოწონებული ფეხბურთელები ახალ მწვრთნელს თვალში არ მოუვიდეს.

სხვა ტრანსფერები. **ჯონათან ძებინას** ბოლო ორ სეზონში უამრავი პრობლემა ჰქონდა: გამუდმებულ ტრავმებთან ერთად, ხელმძღვანელობასთან ფინანსურ საკითხებზეც ვერ თანხმდებოდა. ამის მიუხედავად, იტალიური პრესა ფრანგი მცველის ტურინში დარჩენას წინასწარმეტყველებს. სეზონის ბოლოს „ვილიარელიდან" დაბრუნდება **ალესიო ტაკინარდი**, რომელსაც ესპანეთში საიჯარო ხელშეკრულების ვადა გასდის, „იუვესთან" კი კონტრაქტი კიდევ ერთი სეზონით აკავშირებს. დაცვის გაძლიერების მიზნით, „ბიანკონერი" **გაელ ჟივეს** ტრანსფერზე მუშაობდა, მაგრამ ფრანგმა „მონაკოსთან" კონტრაქტი გააგრძელა და ტურინშიც ამ ვარიანტზე ხელი საბოლოოდ აიღეს. „პალერმო" **ანდრეა ბარძალის** სანაცვლოდ 12 მილიონ ევროსა და ერთი ფეხბურთელის დამატებას ითხოვს. სპორტული დირექტორი **ალესიო სეკოც** სწორედ „პალერმოში" გასაშვები ფეხბურთელის გამონახვაზე მუშაობს. ნახევარდაცვასთან დაკავშირებით, ამ კვირაში „ქალბატონის" სამიზნეში ორი ახალგაზრდა მოხვდა: „გრემიოში" მოთამაშე **ლუკასი**, რომელიც ცოტა ხნის წინ ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად სამხრეთი ამერიკის ჩემპიონი გახდა, და **სიმონე პადოინი**, რომლის სიძლიერეც „იუვენტუსმა" გასულ შაბათს ვიჩენცაში გამოცადა. დაბოლოს, ხუთშაბათს ბუქარესტში „იუვეს" სელექციონერები უეფას თასზე „სტიაუა"-„სევილიის" შეხვედრას დაესწრნენ. მათი მიზანი სევილიელთა მეგოლის **ფრედი კანუტეს** თამაშზე დაკვირვება იყო.

**გოგა ახალაძე**

ისტორიული ვიზიტი

# არსენალი სტუმრად დედოფალთან

## პირველი კლუბი, რომელიც ბრიტანელმა მონარქმა სასახლეში მიიწვია. ამასობაში, ლემანზე გერმანულმა კლუბებმაც უარი თქვეს

"არსენალის" ფეხბურთელებმა ოცნება აიხდინეს. ისინი დიდი ბრიტანეთის დედოფალს ბუკინგემის სასახლეში ეწვივნენ და მასთან ერთად ჩაი მიირთვეს. ამ ვიზიტის მზადებაზე წინა ნომერში ვიუწყებოდით. **დედოფალი ელისაბედი**, რომელიც "მეთოფეებთან" შეხვედრას ოთხი თვის წინ აპირებდა, პირადად შეხვდა თითოეულ მოთამაშეს და თბილად მიესალმა. ამ ცერემონიისას მას გვერდიდან არ მოშორებია "არსენალის" კაპიტანი **ტიერი ანრი**. ფრანგი ვარსკვლავი აღფრთოვანებას ვერ მალავდა: *"დღეს უდიდესი პატივი გვხვდა წილად. ვამაყობ, რომ აქ მოსვლისა და დედოფლის გაცნობის საშუალება მომეცა. როგორც კი შინ დავბრუნდები, ჩემს პატარა გოგონას მოვუყვები, რომ ბუკინგემის სასახლეში ვიყავი."*

ფეხბურთელებმა დაახლოებით 40 წუთი დაუთმეს სამეფო პალატების დათვალიერებას. შემდეგ კი მათ ტრადიციული ინგლისური ჩაით გაუმასპინძლდნენ. ბრიტანური მონარქიის ისტორიაში ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, როცა საფეხბურთო კლუბი მთელი შემადგენლობით სასახლეში მიიწვიეს. არსენ ვენგერმა მიმომხილველებს განუცხადა: *"მისმა აღმატებულებამ გასაოცარი ყურადღება გამოიჩინა. ვამაყობთ, რომ ასეთი პატივის ღირსად ჩაგვთვალეს."*

■ ■ ■

"არსენალის" თემას **იენს ლემანით** გავაგრძელებთ. გერმანელი ლონდონიდან აბარგებას უნისანგარიშებდეთ. მას კონტრაქტი უმთავრდება. ახალი ხელშეკრულების ხანგრძლივობაზე კი შეთანხმება ვერ ხერხდება. "ბილდმა" საგანგებო გამოკითხვა ჩაატარა. ტაბლოიდის მიმომხილველებმა ბუნდესლიგის 18-ვე კლუბის ჩამორეკეს და ჰკითხეს, გაუფორმებდნენ თუ არა ბუნდესნაკრების მეკარეს ორწლიან კონტრაქტს. ამ კითხვას უკლებლივ ყველამ უარყოფითად უპასუხა. აი, პასუხები:

"შტუტგარტის" მწვრთნელი **არმინ ფეჰი**: *"მომავალი სეზონისთვის რაფაელ შეფერის სახით ძალიან კარგი მეკარე დავიბევეთ. გოლკიპერი არ გვჭირდება!"*

"ჰამბურგის" სპორტული დირექტორი **დიტმარ ბაიერსდორფერი**: *"იენს ლემანი მსოფლიო დონის მეკარეა. მაგრამ იმავეს ვიტყოდი ფრანკ როსტზეც, რომელიც ახლა სწორედ ჩვენი გუნდის კარს იცავს. როსტით კმაყოფილები ვართ."*

"ჰერტას" მწვრთნელი **ფალკო გიოტცი**: *"ლემანი კიდევ ერთ წელიწადს ითამაშებს უმაღლეს დონეზე."*

"დორტმუნდის" მენეჯერი **მიხაელ ცორკი**: *"ჩვენ ხომ რომან ვაიდენფელერი გვყავს."*

"შალკეს" მენეჯერი **ანდრეას მიულერი**: *"იენსი შესანისნავი მეკარეა, მაგრამ გოლკიპერი არ გვჭირდება. მანუელ ნოიერს დიდი მომავალი აქვს."*

"ბოხუმის" მწვრთნელი **მარსელ კოლერი**: *"სიამოვნებით მოვიწვევდი, მაგრამ ლემანი დიდ ხელფასს მოითხოვს."*

"მაინცის" მენეჯერი **კრისტიან ჰაიდელი**: *"ლემანი შესანიშნავი მეკარეა, მაგრამ იმდენი ფული არ გვაქვს, რომ მას დიდი ხელფასი ვუხადოთ."*

მეკარე არც "ლევერკუზენს", "არმინიას", "ალემანიას", "გლადბახს", "ჰანოვერს", "კოტბუსს" და "ანტრახტს" სჭირდებათ. "ნიურნბერგის" (**შეფერის** შემცვლელს ეძებენ), "ვერდერის" და "ბაიერნის" (მათ ხომ **კანი** ჰყავთ) ბოსებმა კი კომენტარის გაკეთება საერთოდ არ ისურვეს.



არსენალი დედოფალთან ისტორიული ვიზიტისას




რაფაელ ვან დერ ვაარტი

ჰამბურგი

# რაფაელის ერთგულების ფიცი

## ჰოლანდიელი ფლეიმეიქერი ჰამბურგს მეორე ბუნდესლიგაში ჩაჰყვება!

"ჰამბურგის" ლიდერი და კაპიტანი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** აცხადებს, რომ მზადაა, გუნდს მეორე ბუნდესლიგაში ჩაჰყვეს, თუკი HSV ელიტიდან გავარდება. *"ჩემს კონტრაქტში არ არის ჩადებული პუნქტი, რომლის მიხედვითაც მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის შემთხვევაში ხელშეკრულების გაწყვეტა შემეძლება. სიმართლე ვთქვა, სულაც არ ვნაღვლობ, რომ კლუბის ხელმძღვანელებს თავის დროზე კონტრაქტში ეს პუნქტი არ ჩავადებინე. ფეხბურთი ჩემთვის პირველ რიგში იმ გუნდისადმი ნდობა და ერთგულებაა, სადაც ვთამაშობ. ერთი სიტყვით, ჩემი კონტრაქტი მეორე ბუნდესლიგაზეც ვრცელდება. ასე რომ, თუ მაინც ისე მოხდა, რომ ქვედა ლიგაში დავქვეითდით, სიამოვნებით დავრჩები და "ჰამბურგს" ისევ ელიტაში დავაბრუნებ,"* - განუცხადა ვან დერ ვაარტმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს და იქვე დასძინა, - *"მორჩა, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებაზე მეტს აღარაფერს ვიტყვი, რადგან ეს ჩემთვის მეტად მტკივნეული თემაა."*

ჰოლანდიელმა ფლეიმეიქერმა ახალი მწვრთნელის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ **ჰუუბ სტევენსი** მის წინამორბედ **თომას დოლს** არ ჰგავს. *"სტევენსი გაცილებით მკაცრი მწვრთნელი და დისციპლინის ფანატიკოსია. მოკლედ, ჰუუბი ტიპური ჰოლანდიელი მწვრთნელია და მერწმუნეთ, მე ვიცი, როგორებიც არიან ჰოლანდიელი სპეციალისტები. სტევენსი ყოველთვის ზუსტ სიტყვებს პოულობს და ყველაფერს მარტივად გვიხსნის. თუმცა ამით დოლის დაკნინება სულაც არ მსურს, თომასიც შესანიშნავი მოტივატორი და ძალიან კარგი მწვრთნელია. უბრალოდ, დოლი და სტევენსი ერთმანეთისგან განსხვავდებიან,"* - ამბობს ვან დერ ვაარტი.

## სანიოლმა ოჯახი დაანგრია

"ბაიერნისა" და საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავი **ვილი სანიოლი** ბოლო დროს კარგად ვეღარ თამაშობს. ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ 29 წლის მარჯვენა მცველს პირად ცხოვრებაში სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ორი დღის წინ სანიოლმა ეს ინფორმაცია თვითონვე დაადასტურა და ჩვენს გერმანელ კოლეგებს უთხრა, რომ ცოლს გაშორდა. ამრიგად, **ლოთარ მათეუსის, შტეფან ეფენბერგის, მეჰმეთ შოლის, ფრანც ბეკენბაუერისა** და **ოლივერ კანის** შემდეგ კიდევ ერთი "ბაიერნული ოჯახი" დაინგრა.

*"დიახ, ეს მართალია. ლეტიციას უკვე საბოლოოდ გავშორდი. ახალი მეგობარი გოგონა მყავს, რომელთანაც ძალიან ბედნიერი ვარ. კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ ეს ურთიერთობა საკმაოდ სერიოზულია. ის "ბაიერნის" თანამშრომელია. დიდი ხანია, რაც ერთმანეთი გვიყვარს."* - უთხრა სანიოლმა "ბილდს". ცოლთან ერთად ვილიმ ორი შვილიც მიატოვა. ქალიშვილი **ხიარა** 5 წლისაა, ვაჟი **სანდრო** კი ცოტა ხნის წინ დაიბადა და მხოლოდ სამთვენახევრისაა.

ლეტიცია და ვილი 7 წლის წინ დაქორწინდნენ. 2005 წლის მიწურულს სანიოლს "იუვენტუსი" ეპატიჟებოდა და მაშინ ლეტიცია მას იტალიაში გადასვლას აიძულებდა. როგორც ჩანს, ამით ქმართან ურთიერთობის გადარჩენა სურდა. მაგრამ "ბაიერნმა" ფრანგ მცველს წელიწადში 5 მილიონი ევრო შესთავაზა და ვილიც მიუნხენში დარჩა. ლეტიცია ბავშვებთან ერთად ახლა პარიზში ცხოვრობს.

## დუნგა რონალდინიოს პასუხს ელის

გუშინ ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დუნგამ** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მან რამდენიმე საჭირბოროტო საკითხზე ისაუბრა. საზოგადოების ყველაზე დიდი ინტერესი პრესკონფერენციის იმ მონაკვეთმა გამოიწვია, რომელიც **რონალდინიოს** ეხებოდა: *"ნებისმიერმა ფეხბურთელმა პირადად ჩემთან, შუამავლების გარეშე უნდა ისაუბროს. მათ შორის რონალდინიომაც. აუცილებელია, რომ "სელესაოსთვის" გლობალური და სასიცოცხლო საკითხები გავარკვიოთ. ჯერჯერობით უცნობია, რას აპირებს "ბარსელონის" ვარსკვლავი. რონალდინიოს არ უთქვამს, ითამაშებს, თუ არა კოპა ამერიკაზე. დროა, შემეხმიანოს და საქმის კურსში ჩამაყენოს. შესაძლოა, ხვალ უკვე გვიან იყოს."*

მოარული ხმების თანახმად დუნგასა და რონალდინიოს ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბათ. აღნიშნულ ინფორმაციას არც ერთი მხარე არ ადასტურებს, მაგრამ ბრაზილიელ ჟურნალისტებს ამ ცნობის უტყუარობაში ეჭვი არ ეპარებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ინტერვიუ ავთანდილ შოშიაშვილთან

# შანსი მარტო ჩემპიონებს არ მიეცემათ

**ახლახან დასრულებულ მოკრივეთა ეროვნულ ჩემპიონატზე გამოიკვეთა იმ გუნდის კონტურები, რომელიც შემოდგომით, მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება და პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის იბრძოლებს. პრინციპში, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც ველოდით, ანუ ფავორიტებმა იოლად იმარჯვეს ნაკრებში პოზიციები და კიდევ უფრო გაიმყარეს.**

**ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, საქართველოს ნაკრების ახლად დანიშნულ მწვრთნელ ავთანდილ შოშიაშვილს გავესაუბრეთ. ახალი მწვრთნელი მთელ შეჯიბრებას დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს და გამოცდილი სპეციალისტის თვალს, ჩემპიონების გარდა, არც ოქროს მედლების გარეშე დარჩენილი პერსპექტიული მოკრივეები გამოპარვია.**

- უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო ჩემპიონატის საკმაოდ კარგი დონე და ორგანიზაციული მხარე. ჩემთვის, როგორც ნაკრების მწვრთნელისთვის ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ გამოჩნდა რამდენიმე ახალი სახე – 51 კილოგრამში მერაბ თურქაძე, 60-ში – ამირან ჯანჯღავა, 75-ში – გიორგი ნაკანი, 91 კილოში - კი იაგო კილაძე. ისე არ გამიგოთ, თითქოს რახან ჩემი მოსწავლეა, იმიტომ ვაქებ, მაგრამ 60 კილოგრამში, ვასილ ყაზიშვილიც ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. მან გატეხილი ნეკნით იასპარეზა და მიუხედავად ამისა, თავისი პირველობა წამითაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ.

რაც შეეხება უფრო გამოცდილ მოკრივეებს, მათზე ისედაც ვიცოდით, რომ ფავორიტები იყვნენ და დაამტკიცეს კიდეც. მხოლოდ იმას დავძენ, რომ ყველა ლიდერი მშვენივრად იყო მომზადებული და მათი სადღეისო ფორმით კმაყოფილი ვარ.

**- 64 კილოგრამში, საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია კუპატაძე-ღვამიჩავას ბრძოლამ, რომელიც კუპატაძემ მხოლოდ გაფრთხილების წყალობით წააგო. თქვენ როგორ ფიქრობთ, ამ მომენტისთვის ვინ უფრო ძლიერია?**

- ალბათ მაინც ღვამიჩავა. კუპატაძემ ის გაფრთხილება დამსახურებულად მიიღო არასწორი დარტყმისთვის.

**- მაგრამ გაცილებით აშკარა დარღვევებისთვის არ გააფრთხილეს დავით ნიკლაური, რომელიც თორნიკე იველაშვილთან ბოლო წამებზე დამარცხდა...**

- მსაჯების კომპეტენციაში ვერ ჩავერევი. მე ნაკრების მწვრთნელი ვარ და ამის გამო, ჩემი პირადი შეგირდების ორთაბრძოლების დროსაც კი არ მივდიოდი რინგთან. ისე, კუპატაძისა და ნიკლაურის დამარცხება არ ნიშნავს იმას, რომ ნაკრებში ადგილები დაკარგეს. წინ შეკრებები და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირია, სადაც ჩემპიონთა გარდა, სხვა მოკრივეებსაც მოვცემთ თავის გამოჩენის შანსს. გუნდის დაკომპლექტებას ახლა ვიწყებთ და ამ პროცესში, საქართველოს ჩემპიონატი მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მთლიანობაში, ჩვენი მთავარი მიზანია, რომ საქართველოს ნაკრები ღირსეულად მოვამზადოთ სექტემბერში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, სადაც პეკინის ოლიმპიადის საგზურებისთვის ვიბრძოლებთ. დაგეგმილი გვაქვს ორი-სამი ლიცენზიის მოპოვება.

**- ბექა ლობჟანიძე მძიმე წონაში დარჩება თუ 91 კილოგრამს დაუბრუნდება?**

- მძიმეში დარჩება. როგორც გავიგე, ამ წონაში საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი იუზა გულორდავა საბერძნეთში გადადის და ბექა ლობჟანიძით ვაპირებთ ამ წონის შევსებას. ბექამ აქაც მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა, ქვემძიმეში კი ძალიან მომეწონა იაგო კილაძე, რომელზე დაყრდნობაც შეიძლება.

**- თერთმეტიდან 5 წონით კატეგორიაში 8 კაციც ვერ მოგროვდა მეოთხედფინალების ჩასატარებლად, სხვა წონებიდან კი უმეტესობაში ერთი მოკრივე მთელი თავით ჯობდა მეტოქეებს. ასეთი დაბალი კონკურენცია რამდენად დამაბრკოლებელია ნაკრების დაკომპლექტებაში?**

- რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ უფრო ფართო არჩევანი გვქონოდა, მაგრამ არა უშავს, ამ შემადგენლობითაც შეიძლება ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება. მთავარია საქმისადმი სწორად მიდგომა. ამას გარდა, გვექნება შეკრებები საქართველოშიც და, საზღვარგარეთაც, ვიასპარეზებთ საერთაშორისო ტურნირებზე და მოკრივეებს რაც შეიძლება დიდი პრაქტიკას მივცემთ.

**- პირველ შეკრებას როდის ჩაატარებთ?**

- 22 თებერვლიდან ბორჯომში გავემგზავრებით საქართველოს თერთმეტივე ჩემპიონით და პირველ შეკრებას გავმართავთ. ამის შემდეგ, თბილისში დავბრუნდებით, სადაც მეორე-მესამე ნომრებიც შემოგვიერთდებიან და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის დარბაზში გავაგრძელებთ სამზადისს. 26 მარტს წლის პირველი უცხოური შეჯიბრება გვეწყება – ანვარ ჩაუდრის სახელობის ტრადიციული ტურნირი ბაქოში. როგორც იცით, ეს ტურნირი უმაღლესი კატეგორიისაა და გაისად იქ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გათამაშდება. ამას გარდა, გვინდა ვიასპარეზოთ პრაღის, ჰელსინკის, კიევისა და მინსკის ტურნირებზე. მთლიანობაში, მსოფლიო ჩემპიონატამდე, მინიმუმ, ოთხ ტურნირზე უნდა გამოვიდეთ. ყველაფერი, რა თქმა უნდა, ფინანსებზეა დამოკიდებული. გვინდა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა მოკრივეს მივცეთ თავის გამოჩენის შანსი და არავინ იგრძნოს თავი დაჩაგრულად.

რაც შეეხება შეკრებებს, საქართველოს გარდა, გვექნება ერთობლივი შეკრებები ყაზახეთსა და აზერბაიჯანში იქაურ ნაკრებებთან. მსოფლიო ჩემპიონატამდე კი რუსეთში ცოტა ადრე ჩავალთ და იქვე დავასრულებთ სამზადისს მასპინძლებთან ერთად.

**კობა ხატისაშვილი**

## მძლეოსნობა

საქართველოს ჩემპიონატი

# ბილიკს აუქმებენ, ფული იკარგება...

## რა დროს სირბილი და ხტომაა?

**დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში გუშინ დაიწყო საქართველოს ჭერქვეშა ჩემპიონატი. შეჯიბრებაში საქართველოს სხვადასხვა კუთხის 16 გუნდის 300-მდე სპორტსმენი ასპარეზობს. მედლები გათამაშდება 15 სახეობაში, როგორც პირად, ასევე გუნდურ ჩათვლაში. ჩემპიონატი დღეს დამთავრდება და შედეგებს ორშაბათს გაგაცნობთ. დღეს კი...**

**ჩვენს მძლეოსნობას რომ დიდად არ ულხინს და რეგიონებში მთლად კატასტროფული მდგომარეობაა, ეს კი ვიცოდით, მაგრამ თურმე, უარესიც ხდება. და თუ რა არის იმაზე უარესი, რომ რეგიონებში, ფაქტობრივად, ყველა მძლეოსნური ბაზა გაპარტახებული, ამაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი რეზო ბუკია საკუთარ მაგალითზე გვესაუბრება.**

- რომ გითხრათ, ფინანსურადაც და ბაზების მხრივაც ძალიან გვიჭირს მეთქი, ამით ახალს ვერაფერს ვიტყვი. თუმცა რაც ჩვენს რეგიონში ბოლო ხანს ხდება, ყოველგვარ საზღვარს სცილდება. დავიწყოთ საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატით. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მძლეოსნობა არ გადაშენდეს, ადგილობრივი გამგეობაც გაგებით ეკიდება ჩვენს თხოვნას და შესაძლებლობების ფარგლებში, ყველანაირად გვიდგას მხარში. რამდენიმე რაიონში გავხსენით მძლეოსნობის სექციებიც.

დანამდვილებით ვიცით, რომ ჩვენს მძლეოსნობის სკოლებს სამეგრელო-ზემო სვანეთის ხელმძღვანელობამ გარკვეული დაფინანსება გამოუყო. ამ ფულით ვაპირებდით საქართველოს ჩემპიონატზე ჩამოსვლასაც. თუმცა როდესაც სამეგრელოს სპორტისა და კულტურის სამმართველოს მივაკითხეთ, იქ გვითხრეს, რომ არავითარი ფული არ არის ჩვენზე გამოყოფილი. აბა, სად წავიდა ის თანხა, გაქრა?

სამწუხაროდ, დავამ ვერაფერი მოგვცა. შესაბამისად, აბაშელი და ზუგდიდელი სპორტსმენები და მწვრთნელები იძულებულები გახდნენ, რომ თბილისში საკუთარი ხარჯით ჩამოსულიყვნენ. სულ 14 სპორტსმენი და ორი მწვრთნელია. კიდევ ორ მძლეოსანს ველოდებოდით, მაგრამ გვითხრეს, რომ ფული ვერ იშოვნეს. ანალოგიური მიზეზის გამო ტოვებენ ჩემპიონატს წალენჯიხელები. ჩვენც ფული რომ არ გვყოფნის, ერთ ნაქირავებ ოთახში 6-7 სპორტსმენს ვაცხოვრებთ. როგორ გინდა ამის შემდეგ სპორტსმენს კარგი შედეგი მოსთხოვო? კიდევ კარგი, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ კვების პრობლემა მაინც მოგვიხსნა...

სხვათა შორის, ანალოგიური რამ მოხდა შარშან გაზაფხულზე, როდესაც ქუთაისში ასევე საკუთარი ხარჯით, ნასესხები ფულით მოგვიწია ჩასვლა. ამაზე მთელი თვეები ვირბინეთ, ჩხუბიც კი დაგვჭირდა და ბოლოს წლეულს, იანვარში რის ვაივაგლახით აგვინაზღაურეს თანხა. თუ ასე გაგრძელდა, მარტში მოსწავლეთა ჩემპიონატზე ველარ ჩამოვალთ და ამას ვინ ჩივის, ჩვენს რეგიონში მძლეოსნობას საერთოდ გადაშენება ემუქრება.

ჩვენი კიდევ ერთი დიდი გულისტკივილი ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციაა. სტადიონის განახლება, რაღა თქმა უნდა, ძალიან გვახარებს, მაგრამ გააჩნია განახლებასაც! მთავარი უბედურება ის არის, რომ სტადიონი რეკონსტრუქციის შემდეგ, წმინდა საფეხბურთო იქნება და მძლეოსნობის ბილიკები აღარ ექნება. არადა, საბჭოთა კავშირის დროს, თბილისური "დინამოს" შემდეგ, მთელ საქართველოში ყველაზე კარგი მძლეოსნური ბილიკი სწორედ ზუგდიდს ჰქონდა, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ტარდებოდა. კი გვეუბნებიან, სტადიონის კერძო პირებზე გაყიდვა და მისი რეკონსტრუქცია საქართველოს მთავრობის ინიციატივაა, პრეზიდენტიც საქმის კურსშიაო, მაგრამ გვეეჭვება, ბატონი მიხეილ სააკაშვილი ბოლომდე იყოს ყველაფერში გარკვეული. მას ალბათ ატყუებენ, თორემ როგორ დათანხმდებოდა იმაზე, რომ ამხელა სტადიონს მძლეოსნობის ბილიკი მოუშალონ და მხოლოდ ფეხბურთს ემსახუროს?

მოკლედ, ჩვენ არ ვითხოვთ ოქროს მთებს. უბრალოდ, ელემენტარული ყურადღება მაინც მოგვაქციონ. მიუხედავად ამგვარი დუხჭირი ყოფისა, მაინც ვახერხებთ იმას, რომ გვყავდეს კარგი გუნდი და საქართველოს ჩემპიონატზე მოწინავეთა შორის ვიყოთ. ჰოდა, ხელს თუ არ შეგვიწყობენ, ნულა შეგვიშლიან მაინც.

**კობა ხატისაშვილი**



გუშინ დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ინტერვიუ ვახტანგ ნაცვლიშვილთან

## არაფერია, ერთ კვირაში ვითამაშებ

**საქართველოს ნაკრებისა და "დიჟონის" ფორვარდი ვახტანგ ნაცვლიშვილი იანვარს ოპტიმალურ ფორმაში შეხვდა - რამდენჯერმე დააგროვა 20 ქულა. ბოლო შეხვედრაში ბოლონიის "ვირტუსს" 17 ქულა ჩაუგდო, მაგრამ მას შემდეგ მოედანზე არ გამოჩენილა. "დიჟონმა" მის გარეშე ორი მატჩი ჩაატარა: ერთი - ასების თასზე, მეორე - ევროთასზე. ვატოს უთამაშებლობის მიზეზი, ალბათ, მკითხველსაც აინტერესებს. ნაცვლიშვილს მოვუსმინოთ.**



ვახტანგ ნაცვლიშვილი

- "ასების თასზე" "რუანთან" მატჩის წინა დღეს ვარჯიშზე ფეხის კუნთი გამეჭიმა და მას შემდეგ ვისვენებ. თუმცა, ტრავმა სერიოზული არ არის და მოედანს მალე დავუბრუნდები.

**- როდის ითამაშებ?**

- ამ უიქენდზეც დავისვენებ, შემდეგ შაბათს კი ვითამაშებ. ჩემთვის რომ ეთქვათ, ახლაც შემიძლია მოედანზე გასვლა, მაგრამ ექიმები მირჩევენ ტრავმა ბოლომდე მოვიშუშო და ამის შემდეგ გავიდე მოედანზე, რათა სერიოზული გართულებები თავიდან ავიცილო.

**- არადა, "დიჟონის" ოფიციალურ ვებგვერდზე "ასების თასის" წინასწარ მიმოხილვაში გაიხსენეს ორი წლის წინათ გუნდს ეს თასი როგორ მოაგებინე...**

- მას შემდეგ დიჟონელთათვის ეს თასი გარკვეულწილად ჩემს თამაშთან ასოცირდება. თავის ქებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ როცა შეიტყვეს, რომ "რუანთან" ვერ ვითამაშებდი, ფავორიტთა სიიდან ამოგვშალეს. სამწუხაროდ, ის მატჩი წავაგეთ და ტურნირს გამოვემშვიდობეთ. თუმცა, რომც მეთამაშა, ძლიერი "რუანის" ძლევა მაინც გაგვიჭირდებოდა. ეს გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატს უდგას სათავეში.

**- ბოლო დროს ქულათა მონაგარი გააუმჯობესე, ოპტიმალურ ფორმას მიაღწიე?**

- ტრავმის მიღებამდე მართლა კარგ ფორმაში ვიყავი. სხვათა შორის, ამჯერადაც ისე მოხდა, რომ საუკეთესო მატჩის შემდეგ დავშავდი. ასე იყო სამი წლის წინათ, როცა "ლემანთან" ეფექტურად ჩატარებულ შეხვედრაში ფილტვის მძიმე ტრავმა მივიღე. ქულების შესახებ კი ჩემი მოსაზრება მაქვს. ძნელია თამაშზე მხოლოდ სტატისტიკით მსჯელობა. შეიძლება ზოგ მატჩში 5 ქულა ჩავაგდო, მაგრამ 17-ქულიანთან შედარებით უკეთ ვითამაშო. ახლაც შემიძლია მხოლოდ სტატისტიკაზე თამაში და ცუდად ნამდვილად არ გამომივა, მაგრამ ასე არ ვაკეთებ - გუნდზე უფრო მეტს ვმუშაობ.

**- ევროთასზე "დიჟონის" გამოსვლას როგორ შეაფასებდი?**

- მომდევნო ეტაპზე რომ ვერ გავიდოდით, წინა ტურშივე ცნობილი იყო, ამიტომ ესპანეთში "ხირონასთან" მატჩისთვის შესუსტებული შემადგენლობით ჩავედით. ჰოდა, მეტოქემ ჩვენზე ჯავრი იყარა და დიდი სხვაობით დაგვამარცხა.

**- ჯავრი რატომ უნდა ჰქონოდა, საფრანგეთშიც ხომ დაგამარცხათ?**

- დიჟონში 89:90 წავაგეთ. არადა, ხირონელებს ჩვენზე ძლიერი გუნდი ჰყავთ და ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდნენ. ისინი, ბოლო წამებზე გადაურჩნენ დამარცხებას. ევროთასზე "დიჟონის" გამოსვლას რაც შეეხება, მინდა აღვნიშნო, რომ ტურნირის მოგებას არავინ გვთხოვდა და მთელი შეჯიბრება ლაღად ჩავატარეთ. პირველი ეტაპის ბარიერი სანიკიძის "ესტუდიანტესთან" ერთად იოლად გადავლახეთ და არც მეორე ჯგუფში შეგვირცხვენია თავი.

**- უშუალოდ მატჩებიდან როგორ ჩანდა - ვიქტორ სანიკიძემ მოახერხა "ესტუდიანტესის" სქემებთან მორგება?**

- ვიქტორი გუნდის ნაწილია, მაგრამ სათამაშო დროის ნაკლებობას განიცდის. ეს არცაა გასაკვირი, რადგან "ესტუში" ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი და ისეთი მაღალი დონის ჩემპიონატში თამაშობს, როგორიც ესპანეთის პირველობაა. ვიქტორის თანაგუნდელები ევროთასზე წარმატებით კი ასპარეზობენ, მაგრამ შიდა ჩემპიონატში დიდი ხანია მატჩი არ მოუგიათ. ამას მთავარი მწვრთნელობა შეეწირა. თუმცა, ახალი სპეციალისტი იმედიანად მივიდა და მეც იმედი მაქვს, რომ სანიკიძეს სათამაშო დრო მცირედით მაინც გაეზრდება.

**- საფრანგეთში მომუშავე ეროვნული ნაკრების თავკაც გორდონ ჰერბერტთან თუ გაქვს ურთიერთობა?**

- მიუხედავად იმისა, რომ ნაკრების კაპიტანი ვარ და გორდონიც საფრანგეთში მუშაობს, მასთან ურთიერთობა არ მაქვს. სამაგიეროდ, ეროვნულში მის თანაშემწე კენი ატკინსონთან მაქვს ინტენსიური კონტაქტი. იგი პარიზის "რასინგის" მეორე მწვრთნელია და საქართველოში ჩამოსასვლელად იმედიანად ემზადება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ზამთრის ბავშვთა ოლიმპიადა




## ხუთნი ხაკაში

გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ევროპის ბავშვთა ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილე დელეგაციას შეხვედრა მოუწყვეს. შეგახსენებთ, რომ ეს თამაშები 18-23 თებერვალს ესპანურ ხაკაში ჩატარდება. სწორედ იმ ქალაქში, რომელიც 2014 წლის „თეთრი ოლიმპიადის" მასპინძლობისთვის ბრძოლაში ბაკურიანის კონკურენტი იყო, მაგრამ საარჩევნო მარათონს მასთან ერთად დაემშვიდობა პირველივე წრეში. ფესტივალზე საქართველოს ბიატლონისტები - **გიორგი ავაქიანი, ეკატერინე მურადიანი** (მწვრთნელი **ალექსანდრე ბუძიშვილი**) და სამთო მოთხილამურეები - **ნინო ნინუა, კონსტანტინე ვახტანგიშვილი და ირაკლი ჩხეიძე** (მწვრთნელი - **დავით ჯაფარიძე**) წარადგენენ.

„*მთავარია, თქვენივე საუკეთესო შედეგი აჩვენოთ, ხოლო თუ გააუმჯობესებთ, მთლად უკეთესი. ორივე შემთხვევაში, ეს უკვე გამარჯვება იქნება.*" - მიმართა სპორტსმენებს სეოკის გენერალურმა მდივანმა **ემზარ ზენაიშვილმა**. თურმე სეოკში დიდხანს ფიქრობდნენ, გამოსულიყვნენ თუ არა ამ ფესტივალზე, რადგან ტურისტად მონაწილეობა არ სურდათ. მართალია, დიდ წარმატებებს არ ელოდებიან, მაგრამ საბოლოოდ მაინც ასპარეზობა არჩიეს, რადგან ამით პერსპექტიულ ათლეტებს სტიმულს აძლევენ.

ცხადია, მასპინძლებმა ყურადღება საგანგებოდ შეაჩერეს დისციპლინაზე, რადგან მსგავსი შეჯიბრებები, უპირველესად, საკუთარი ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენის შანსია, ხოლო ამ ფესტივალს უმრავი საპატიო სტუმარი ესწრება. მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგი**, ხოლო საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე თვით ესპანეთის მეფე **ხუან კარლოსია**. შედეგებით თუ არა, ქცევით მაინც იყავით მოწინავენიო, სთხოვეს მასპინძლებმა სპორტსმენებს.

სეოკის ხელმძღვანელებმა დელეგაციისთვის ნორმალური პირობების შექმნაზეც იზრუნეს და ნორმალური სასტუმროები დაჯავშნეს, მაგრამ ბოლოს მასპინძლებს გეგმები შეუცვლიათ და ამათთვის სხვები შეუთავაზებიათ. იმედოვნებენ, რომ ნორმალურ პირობებს დაახვედრებენ. სპორტსმენებს გუშინ სპორტული ეკიპირებაც დაურიგეს, ხოლო ჯიბის ფულს - დღიურ 20-20 ევროს ადგილზე მისცემენ.

საქართველოსთვის ეს ზამთრის მეოთხე ოლიმპიური ფესტივალია. მსგავს შეჯიბრებებში ჩვენს ასპარეზობას სათავე 1995 წელს ანდორაში დაედო. 1997 წელს შვედურ სუნდსვალში გამართული ფესტივალი ყველაზე წარმატებული გამოდგა - **ვახტანგ მურვანიძემ** ფიგურულ ციგურაობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, რაც ჩვენთვის დღემდე ერთადერთი ჯილდოა. ამის შემდეგ ჩვენები ფესტივალში კარგა ხანს არ გამოსულან, ვიდრე 2005-ში შვეიცარიულ მანტეიში არ იასპარეზეს.

ჩვენი დელეგაცია სულ 13 კაცისგან შედგება. მისი ხელმძღვანელი ზენაიშვილია, ხოლო ოლიმპიურ სოფელში მისიის თავკაცი სეოკის სპორტული დირექტორის მოადგილე - **გიორგი ესაკია**. დელეგაცია გამთენიისას, დილის 6 საათზე სტამბოლში გაფრინდება, სადაც 3-საათიანი ლოდინის შემდეგ ბარსელონაში გადაფრინდება, იქიდან ხაკამდე ავტობუსით 5-კილომეტრიანი გზაა.

18 თებერვალს გახსნის ცერემონიალია, 20-ში კი სტარტზე ბიატლონისტები (7.5-კილომეტრიან სპრინტში) და ნინუა გავლენ. მეორე დღეს ვახტანგიშვილი და ჩხეიძე გიგანტურ სლალომში ისრიალებენ. 22-ში მხოლოდ ნინუა გამოვა, ოღონდ ამჯერად სლალომში, ასპარეზობას კი 23-ში ისევ სლალომით ვახტანგიშვილი და ჩხეიძე დაასრულებენ.

ალსანიშნავია, რომ ევროპისთვის უჩვეულოდ თბილმა ზამთარმა პრობლემები მასპინძლებსაც შეუქმნა და ორი დისციპლინა - სუპერგიგანტური სლალომი და სნოუბორდი პროგრამიდანაც ამოიღეს. დელეგაცია თბილისში 25 თებერვალს, გამთენიისას დაბრუნდება.

**ირაკლი თავაძე**



ოლიმპიადის მონაწილენი სეოკში

ნუგზარ სუარიძის ფოტო



ნიკოლოზ დერიუგინი

## დერიუგინი ვირჯინიაში

**დავით ერქვანიას**, დავით საყვარელიძის, ლაშა ფარლალავასა და **გიორგი ჩავლეიშვილის** შემდეგ ამერიკის კოლეჯების ლიგაში **ნიკოლოზ დერიუგინიც** მოხვდა. იგი ვირჯინიის შტატის "ბლუ რიჩ სქულში" ოქტომბერში ჩაირიცხა და მას შემდეგ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. "ბლუ რიჩი" შტატის ჩემპიონატის გარდა სკოლების ("ჰაი სქულ") ლიგაშიც ასპარეზობს.

შეიძლება მაინც გაგიჩნდათ კითხვა - ეს ნიკოლოზ დერიუგინი იმ ნიკოლოზ დერიუგინისა ვინ არის? შვილის შესახებ უფროსმა დერიუგინმა ეს გვითხრა: "*ვირჯინიის კოლეჯში გადასვლაში არვიდას საბონისი დაგვეხმარა, რომელსაც ამერიკაში დიდ პატივს სცემენ. ნიკუშა "ბლუ რიჩის" ხუთეულშია და მაქვს ინფორმაცია, რომ თამაშს თანდათან აუმჯობესებს. მისი გუნდი არიზონაში საშუალო დონის კლუბად ითვლება. ჩემპიონატში მე-17 პოზიციაზეა*".

**ვაჟა სიმონიშვილი**

66 წლის ასაკში გარდაიცვალა ვეტერანი სპორტსმენი, ანტიკურ ჭიდაობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული

**ზურაბ (ბაჩა) მირიანაშვილი**

ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური და იმერეთის ჭიდაობის სახეობების რეგიონალური ფედერაცია

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ოლიმპიურ ჩემპონს თავისუფალ ჭიდაობაში, ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" აღმასრულებელ დირექტორს დავით გობეჯიშვილს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჭადრაკი

## ელიზაბეტ პეჰცი ქართულ ხუთშაბათობაზე


ელიზაბეტ პეჰცი

ყოველკვირეული ბლიცტურნირი, რომელმაც უკვე მოიკიდა ფეხი ქართულ საჭადრაკო სინამდვილეში, ამ ხუთშაბათსაც გაიმართა. წინ კვირის ამბები არ შემოგთავაზეთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მონაწილეთა რაოდენობა შედარებით მცირე იყო - მოჭადრაკეთა დიდი ნაწილი თურქეთში, იქაურ საკლუბო ჩემპიონატში თამაშობდა. ამჯერად რაოდენობა და, რაც მთავარია, მონაწილეთა კვალიფიკაცია იყო ძალიან რიგიანი...

მეტი იქნებოდა, მაგრამ ხვალ იწყება საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა და თურქეთიდან დაბრუნებულმა მოჭადრაკეთა ნაწილმა ძალების დაზოგვა არჩია - ავტობუსით ჩამოვედით, გზაში ორი დღე ვიყავით და ძალიან დავილალეთო.

ასეთთა რიგებში იყო დიდოსტატი **მერაბ გაგუნაშვილიც**. მერაბი ბლიცტურნირზე კი მოვიდა, მაგრამ სხვა ამპლუაში - ერთ-ერთ მონაწილეს გულშემატკივრობდა. ეს მოჭადრაკე ქალბატონია და თანაც საკმაოდ ცნობილი - გერმანელი **ელიზაბეტ პეჰცი**, გაგუნაშვილი კი მისი მწვრთნელ-კონსულტანტია.

ელიზაბეტი 9-დან 6 ქულით მეხუთე ადგილზე გავიდა, ქალთა შორის კი მეორე ადგილი ერგო. ქალბატონებში პირველ ადგილზე **სოფიკო ტერელაძე** გავიდა 6.5 ქულით, მას საერო ჩათვლაში მეოთხე ადგილი ერგო. ქალებში მესამე ადგილზე ბელა ხოტენაშვილი გავიდა (6).

ტურნირის გამარჯვებული კი 8 ქულით **მიხეილ მჭედლიშვილი** გახდა, მეორეზე **თორნიკე სანიკიძე** (7.5) გავიდა, მესამეზე **გიორგი ყაჭეიშვილი** (6.5) ქულით. ყაჭეიშვილს 6.5 ქულით საპრიზო თანხაში **დავით არუთინიანი** შეეცილა.

შეგახსენებთ, ბლიცტურნირისთვის საპრიზო ფონდი მონაწილეთა შენატანის (5 ლარი) - 75 პროცენტით განისაზღვრება. 16 წლამდელთა შორის - პირველობა **ზურაბ ჯავახაძემ** (5) მოიპოვა 5 ქულით, მეორეზე **ნოდარ დავარაშვილია** (5), ამდენივეთი მესამე იყო **ირაკლი ჯანიაშვილი**.

**ზვიად შათირიშვილი**

### მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის გველის

19-30 მაისს რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში პირველად გაიმართება ქალთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. ამის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ფიდე-ს პრეზიდენტმა **კირსან ილუმჟინოვმა** გამოიტანა. ჩემპიონატში 10 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას: საქართველო, რუსეთი, უკრაინა, აშშ, ჩინეთი, ვიეტნამი, ალჟირი, ჰოლანდია, პოლონეთი და უნგრეთი. ჩემპიონატის განმავლობაში ეკატერინბურგში საფუძველი ჩაეყრება ჭადრაკის აკადემიის შენობას.

### ჯოჯუა საერთაშორისო ოსტატია

ფიდემ გამოაქვეყნა იმ მოჭადრაკეთა სია, რომელთაც დიდოსტატობა და საერთაშორისო ოსტატობა მიენიჭათ. ქართველ დიდოსტატთა სიას არავინ შემატებია, თუმცა ერთით მეტი საერთაშორისო ოსტატი გვეყოლება - **დავით ჯოჯუა**. ჯოჯუა 18 წლისაა, მისი რეიტინგი 2437 ქულაა.

ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი

## სანამ დაქოქავ, დაფიქრდი!

გუშინ საქართველოს ავტოფედერაციის პრეზიდენტმა, **შალვა ოგბაიძემ** ახალი სარბოლო სეზონის წინ პრესკონფერენცია მოაწყო. მან შარშანდელი სეზონის ორი გმირი, **ზურაბ ბეჟაშვილი** და **არჩილ ბიძინაშვილი** გააცნო საზოგადოებას. სწორედ მათი დაძაბული პაექრობით დასრულდა 2006 წლის ჩემპიონატი.

ოგბაიძემ საუბარი ტრადიციული, თემით დაიწყო - უსაფრთხოების წესების დაცვა გზებსა და გზაჯვარედინებზე. ამ მოძრაობის დევიზია "Think before you start", ანუ "სანამ დაქოქავ, დაფიქრდი" - შეამოწმე, ყველაფერი თუ წესრიგშია, შემოირტყი დამცავი ღვედი, მოძრაობისას მობილურით ნუ ისაუბრებ, პატივი ეცი ქვეითებს, იმოძრავე დაშვებული სიჩქარით, ნუ შექმნი ავარიულ სიტუაციებს.

კვირას საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი კუს ტბის შემოგარენში სამთორბოლით გაიხსნება. მოსალოდნელია 15 ავტომრბოლის გამოსვლა, უმეტესობა "ჰონდა სივიკის" სარბოლო ვერსიით იასპარეზებს.

რაც შეეხება ავტოსპორტის სამყაროში ყველაზე პოპულარულ სახეობას, წრიულ რბოლას, აქ ალბათ 24 მონაწილე შეიკრიბება. ცოტა ხნის წინ რუსთავის ავტოდრომი შინაგან საქმეთა სამინისტროს მფარველობის ქვეშ მოექცა, მაგრამ, როგორც ამბობენ, პარასკევს, შაბათსა და კვირას კალენდრის გათვალისწინებულ შეჯიბრებებს წინ არაფერი დაუდგება.

ოგბაიძემ სიხარულით აღნიშნა, რომ საქართველოს ყველა მხარეში იქმნება ავტოკლუბები და განაცხადა, რომ მიესალმება მათ თანამშრომლობას ავტოფედერაციასთან. ეს ორგანიზაცია ცდილობს სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სახეობა ყველა მსურველისთვის მისაწვდომი გახდეს, ამიტომ ოგბაიძემ ის მიახლოებითი თანხაც დაასახელა, რომელიც მსურველებს ავტოსპორტში მონაწილეობისთვის დასჭირდებათ - 800-დან 3000 დოლარამდე. თუმცა, ავტომოყვარულმა მაინც უნდა გაიაროს სპეციალური კურსები და მიიღოს F ტიპის ლიცენზია, რასაც შემდეგ მოჰყვება ტექნიკისა და ეკიპირების შეძენა და ბოლოს შეჯიბრში მონაწილეობა.

მოკლედ, კვირას, 12 საათზე, კუს ტბის ასასვლელთან სამთო რბოლის სტარტია დანიშნული და 2007 წლის სეზონიც ოფიციალურად გაიხსნება. ჩემპიონატს სატიტულო სპონსორიც გამოუჩნდა - ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მწარმოებელი ფირმა "ეკო-ფუდი".

**დავით ჩუბინიძე**

კალათბურთი


ეკატერინა ზაიკინა
და ოთარ ჯაფარიძე

ინტერვიუ ირაკლი ჯაფარიძესთან

## ჩვენი ზამთრის გაზაფხული

### მარტო ელენე არ კმარა, გვჭირდება სტანდარტული მოედანი

**ამასწინათ პოლონეთის ქალაქ გდანსკში მოციგურავეებმა "ბალტიის თასი" გაითამაშეს. ტურნირში ქართულმა წყვილმა ეკატერინა ზაიკინამ და ოთარ ჯაფარიძემ იასპარეზა და სპორტულ ცეკვებში გაიმარჯვა კიდეც. ზაიკინა 16 წლისაა, ჯაფარიძე - 19, ამიტომ ჯერჯერობით ახალგაზრდებში გამოდიან. რამდენიმე დღის წინ თბილისში დაბრუნდა საციგურაო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი ირაკლი ჯაფარიძე, რომელსაც კომენტარი ვთხოვეთ.**

**- პირველ რიგში გილოცავთ წარმატებას - თქვენ ოთარის მამაც ბრძანდებით და გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა.**

- დიდი მადლობა. ოთარმა და ეკატერინამ მართლაც ძალიან კარგად ისრიალეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. მათი კარგი გამოსვლის იმედი კი მქონდა, მაგრამ გამარჯვების ნამდვილად არ ველოდეით. ჩანს, რომ წყვილი ყოველწლიურად უმატებს ოსტატობას და შედეგებიც უკეთესია.

**- ჩემი ინფორმაციით, მათ ქართული პროგრამა აქვთ, რაც ძალიან მოსწონთ სპეციალისტებსაც და მაყურებელსაც...**

- დიახ, ასეა - ერთი ნომერი ქართული გვაქვს, - წყვილს ქართული სტილის კოსტიუმები აცვია და მუსიკაც ქართულია - ანსამბლ "ივერიის" ყოფილმა სოლისტმა ზურაბ ლალიშვილმა დაამუშავა "სულიკო" და სხვა ქართული მოტივები. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, ბატონი ზურაბის დიდი დახმარება - ის გახლავთ ოთარის და ეკატერინას პროგრამების მუსიკალური ხელმძღვანელი და არანჟირების ავტორი. დარწმუნებული ვარ, ამ პროგრამით 26 თებერვალს, გერმანიის ობერსტდორფში ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებას მიაღწევენ.

**- ჩემპიონატზე შარშან მათ დებიუტი ჰქონდათ და 21-ე ადგილზე გავიდნენ. წელს რას გეგმავთ?**

- უკეთ გამოსვლას - დაახლოებით მე-15-ე-16-ე ადგილებს ვუმიზნებთ, შესაძლოა უკეთესადაც გამოვიდნენ. პროგნოზირება ძნელია - ციგურაობა სუბიექტური სახეობაა და თუ მსაჯთა კეთილგანწყობა არ გექნა, გამარჯვებები ძვირდება. სამწუხაროდ, ქართველი მსაჯი არა გვყავს, რომ გარკვეული შეღავათები მივიღოთ. - საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები კი არიან ქართველები, მაგრამ უმაღლესი რანგის - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშებზე მსაჯობისათვის სპეციალური გამოცდები არ აქვთ ჩაბარებული.

**- ზაიკინა და ჯაფარიძე მალე ახალგაზრდულ ტურნირებში გამოსვლასაც დაასრულებენ. როგორ ფიქრობთ, არიან მზად, უფროსებს შეეჯიბრონ?**

- საერთოდ, ფიგურულ ციგურაობაში 21 წლამდე ითვლებიან იუნიორებად. ოთარს კიდევ ორი წელი აქვს, მაგრამ უკვე გაისად, ხორვატიაში, ზაგრებში ევროპის ჩემპიონატზე წყვილი დიდებში მოსინჯავს ძალას. 2007 იქნება გარდამავალი და დიდი შეჯიბრებებისათვის მოსამზადებელი წელი...

**- ღმერთმა უშველოს, მაგრამ დაძაბული ქართულ-რუსული ურთიერთობების ფონზე მათ რუსეთში ვარჯიში საშიშროების წინაშე არ დგას?**

- დგას და ამაზე ძალიან ბევრს ვფიქრობ. 1 ივნისიდან ოთარის რუსულ ვიზას ვადა გასდის და არ ვიცი, როგორ მოხერხდება მისი გაგრძელება. წყვილი მოსკოვთან ახლოს, ქალაქ ოდინცოვოში, შესანიშნავ საციგურაო ცენტრში, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მწვრთნელთან ალექსეი გორშკოვთან ვარჯიშობს. ასეთ მწვრთნელს და თანაც შეღავათიანი პირობით ვერსად ვიშოვით. ან სად და რა ფულით უნდა წავიდეთ? მოსკოვში ასეთი საშიშროება კიდევ ერთ ძალიან ნიჭიერ ქართველ მოციგურავეს ემუქრება - 12 წლის ნუცა ხუბულავას დიდი მომავალი აქვს, მაგრამ უკვე მის მიმართაც შეინიშნება ცუდი დამოკიდებულება...

**- ლამის მარადიული პრობლემა - საქართველოში სტანდარტული საციგურაო დარბაზის აგება, კვლავაც მოუგვარებელია. ცხადია, სათანადო არენა რომ გვქონდეს, რუსთა მუქარები აღარ შეგვაშინებდა, მაგრამ... თქვენ ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი ხართ და, თქმა არ უნდა, ამ საკითხზე მუშაობთ. თითქოს ქვეყნის ხელისუფლებამაც გამოთქვა დახმარების სურვილი. როგორი ვითარებაა ამ მხრივ?**

- ძალიან კარგია, რომ სპორტის სასახლის წინ დაიდგა ყინულის სახლი, მაგრამ ის არ არის სტანდარტული - 30/20-მეტრზეა.ასევე გაკეთდა ყინულის მოედანი რიყეზე, თუმცა ესეც არასტანდარტული. ძალიან მიხარია ამ არენების აგება, მაგრამ დიდი სპორტისთვის ის ვერაფერს გაგვიკეთებს, - ჯანმრთელობისთვის, მასობრივად ციგურაობის სწავლებისთვის კი შესანიშნავია. თუკი ხელისუფლება დაინტერესებულია ყინულის მოედნების აგებით და, ჩანს, რომ ამის საშუალებაც აქვს, არც სტანდარტული დარბაზის აგება უნდა იყოს რთული. გარდა იმისა, რომ სპორტსმენებს დავაბრუნებთ საქართველოში, შეიქმნება ისეთი გარემო, რომ აქ ჩამოსვლას მთელი მსოფლიოდან ისურვებენ. დარბაზი ფინანსურადაც მომგებიანი იქნება, - ჩატარდება უამრავი საერთაშორისო ტურნირი - დიდებსა თუ ახალგაზრდებში და სხვა მრავალი ღონისძიება. ძალიან მწყდება გული, რომ უნიჭიერეს ქართველ ბავშვებს პროფესიული ზრდის საშუალება არ აქვთ. ამას წინათ სპეციალურად დავათვალიერე ციგურაობის სექციები და გაოცებული დავრჩი - 6-7 წლის უამრავი ნიჭიერი ბავშვი ვნახე - არ მოვიტყუები და ისეთი მონაცემები აქვთ, ამ ასაკში ასეთი ელენე გედევანიშვილიც არ ყოფილა. ეს ბავშვები, მაქსიმუმ, 10 წლამდე გავზარდოთ, მერე კი, აუცილებლად დიდი არენაა საჭირო.

ჩემი აზრით, უფრო შორს გახედვა გვმართებს. ძალიან კარგი იყო, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე განაცხადი გავაკეთეთ. საქართველო ბრძოლას აგრძელებს და 2018 წლისთვისაც გააკეთებს განაცხადს. მხარს ვუჭერ ამ ინიციატივას, მაგრამ მსურს ერთ გარემოებას გავუსვა ხაზი. როცა ქვეყანა ოლიმპიადის მასპინძლობისთვის განაცხადს აკეთებს, აუცილებელია მინიმუმ 25 ბაზა მაინც ჰქონდეს, ჩვენთან კი ჯერ ერთიც არ არის. თუკი დღეს არ დაიწყე საფუძვლის ჩაყრა, ხვალ გვიან იქნება. გარდა ბაზებისა, აუცილებელია გვყავდეს გარკვეული რაოდენობის სპორტსმენები, ანუ შესაბამისი სახეობის განვითარებაა საჭირო. სტანდარტული ყინულის დარბაზი ერთბაშად რამდენიმე სახეობის პრობლემა მოხსნის - ფიგურული ციგურაობის გარდა, განვითარდება ციგურებით სირბილი, ქერლინგი, შორტ-ტრეკი, ჰოკეი.

ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და მოციგურავეებმა, ვგონებ დავიმსახურეთ ყურადღება - ზამთრის სახეობებში ნამდვილად ლიდერები ვართ და ალბათ უახლოეს ოლიმპიადებზეც ასე იქნება. თუკი სათანადო მხარდაჭერა გვექნა, ბევრად უკეთეს შედეგებს ვაჩვენებთ და ოლიმპიურ მედლებსაც მოვიპოვებთ. დღეს მხოლოდ ელენე გედევანიშვილის იმედზე ვართ, რომელიც მომთაბარე სპორტულ ცხოვრებას ეწევა. მადლობა საქართველოს პრეზიდენტს, რომ ყურადღება გამოიჩინა ელენესადმი და შესაძლებელი გახდა 162 ათასი დოლარის გამოყოფა, რის შედეგადაც ელენემ ამერიკაში გააგრძელა ვარჯიში...

...მაგრამ, დამერწმუნეთ, მარტო ელენე ზამთრის სახეობებში გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

**ზვიად შათირიშვილი**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ბოლოს იყო ტერი...


კობი და ლებრონი

**ჰიუსტონი-დალასი 77:80**

23:21, 22:17, 12:20, 20:22

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (27 ქ. 10 მ), ჯუვან ჰოვარდი (14 ქ), ბეტიე (11 ქ), მუტომბო (4 ქ. 9 მ).

**დალასი:** ნოვიცკი (26 ქ. 8 მ. 2 დ), სტექჰაუზი (17 ქ. 4 მ. 3 პ), ჯოშ ჰოვარდი (15 ქ. 11 მ. 3 პ).

ეს იყო ამ ორი გუნდისთვის დამახასიათებელი მძიმე კალათბურთი. **იაო მინის** გარეშე მყოფმა "როკეტსმა" ბოლომდე იომა, ბოლო მეოთხედში რამდენჯერმე წინ გავიდა, მაგრამ საბოლოოდ, ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც ამ სეზონში "დალასის" მონაწილეობით გამართული მატჩებისას არაერთგზის მომხდარა – შეხვედრის დასკვნითი ნაწილი, **ეივერი ჯონსონის** გუნდმა მეტოქეზე ბევრად უკეთ ჩაატარა და მოიგო კიდეც.

**დირკ ნოვიცკის** მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთი საჯარიმოც კი არ შეუსრულებია, მაგრამ გერმანელი **ჯეისონ ტერისთან** ერთად მაინც მატჩის მთავარი გმირი გახდა.

დირკმა ბოლო მეოთხედში ზედიზედ ორი სამქულიანი მაშინ გამოიყენა, როდესაც "როკეტსი" 3 ქულით დაწინაურდა და თითქოსდა, მატჩის სადავეებიც მასპინძელთა ხელთ გადავიდა.

**ტრეისი მაკგრეიდიმ** (21-დან მხოლოდ 9 ზუსტი ტყორცნა) მასპინძლები ულამაზესი სროლით - 69:66 დააწინაურა, რის შემდეგაც, ერთი წუთის განმავლობაში გერმანელი სოლირებდა. ნოვიცკიმ ჯერ სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა, მერე დაცვაში **ჯუვან ჰოვარდს** გარბენი გააკეთებინა და შემდგომ შეტევაში კიდევ ერთხელ გაისროლა შორი დისტანციიდან – 72:69 "მავერიქსის" სასარგებლოდ.

ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. ტერიმ, რომელსაც უკანასკნელ წუთამდე აქტივში მხოლოდ 5 ქულა ჰქონდა, მაკგრეიდის ხელებს ზემოდან ურთულესი სროლით თავისიანები 1 ქულით დააწინაურა. მანვე (ტრეისის კიდევ ერთი არაზუსტი მცდელობის მერე) გამოიყენა ორი საჯარიმო ტყორცნა და შეხვედრას საბოლოო წერტილი დაუსვა.

მასპინძლებს შეხვედრის დამატებით დროში გადაყვანა შეეძლოთ, მაგრამ **ლუთერ ჰედის** სამქულიანის მერე, ბურთმა რკინის რკალზე იტრიალა, იტრიალა და...მატჩი "დალასის" გამარჯვებით დასრულდა. ეს ეივერი ჯონსონის გუნდის ზედიზედ მოგებული მეცხრე შეხვედრა იყო.

*"მავერიქსი" არაჩვეულებრივი გუნდია, რომელიც უკანასკნელ მეოთხედში სულ სხვა კალათბურთს თამაშობს. ასეთი გამართული, დამაჯერებელი თამაშის სტაბილურად დემონსტრირებას დღეს ვერავინ ახერხებს. აქედან გამომდინარე, საკუთარი გუნდის თამაშითაც თითქოსდა კმაყოფილიც უნდა ვიყო, მაგრამ წაგება მაინც წაგებაა. ველით იაოს"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე "როკეტსის" მთავარი მწვრთნელი **ჯეფ ვან განდი**, რომლის გუნდმაც 31 საჯარიმოდან მხოლოდ 20 შეასრულა ზუსტად.

**ლეიკერსი-კლივლენდი 108:114**

28:29, 26:27, 31:35, 23:23

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (34 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), ოდომი (20 ქ. 8 მ. 3 პ), ვუიაჩიჩი (14 ქ. 3 ჩ), ბინუმი (12 ქ. 9 მ), ს. პარკერი (12 ქ. 4 პ. 2 ჩ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (38 ქ. 4 მ. 3 პ. 3 ჩ), ვარეჟაო (15 ქ. 11 მ. 2 ჩ), ჰიუზი (14 ქ. 5 მ), სნოუ (13 ქ. 8 მ. 5 პ), გუდენი (12 ქ. 6 მ), დ. მარშალი (11 ქ. 6 მ. 2 დ), პავლოვიჩი (11 ქ).

თავისთავად, მოვლენაა ერთ შეხვედრაში იმ ორი მოთამაშის ხილვა, ვისაც უმრავლესობა თვით **მაიკლ ჯორდანის** მემკვიდრედ მიიჩნევს. დღეს ისეთი ვითარებაა, რომ "ლეიკერსი" ძირითადად **კობი ბრაიანტთან** ასოცირდება, "კავალიერსი" კი – **ლებრონ ჯეიმსთან**.

ერთიცა და მეორეც ლიგას აზანზარებს, მაგრამ მოდით ვიყოთ რეალისტები – ჯორდანამდე კობისაც და მის თანაამპლუელ ჯეიმსსაც ძალიან ბევრი უკლიათ. რამდენადაც არ უნდა მოგვწონდეს ბრაიანტის თამაში, ერთ მნიშვნელოვან ნიუანსს ნუ დავივიწყებთ – კობის ჯერჯერობით, ერთი ინდივიდუალური ჯილდოც არ მოუგია, ხოლო "ლეიკერსის" სამგზის ზედიზედ გაჩემპიონებაში, მასზე გაცილებით მეტი წვლილი **შაკილ ონილმა** შეიტანა. სწორედ დევკაცი დაასახელეს ზედიზედ სამჯერ სუპერსერიების უძვირფასესად.

იგივეა ლებრონთან მიმართებაშიც, თუმცა მას ბრაიანტზე გაცილებით ცოტა მატჩი აქვს ჩატარებული და რეგულარულის უძლიერესის ტიტულთან შარშან უფრო ახლოს იყო, ვიდრე კობი მთელი თავისი კარიერის განმავლობაში.

ამ გუნდების წლევანდელი პირველი დაპირისპირება ლებრონის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. მაშინ "კლივლენდის" სუპერვარსკვლავს თამაში არ წაუვიდა, ბრაიანტმა კი იბობოქრა, მაგრამ "ლეიკერსი" მაინც დამარცხდა - 90:99. ლებრონმა ის თამაში მხოლოდ 18 ქულითა და 16-დან 11 არაზუსტი ტყორცნით დაასრულა, კობის ანგარიშზე კი 36 ქულა, 7 მოხსნა და 6 შედეგიანი გადაცემა იყო. ბრაიანტმა ასევე 11-დან უკლებლივ ყველა საჯარიმოც გამოიყენა.

ალნიშნულ მატჩში კი, როგორც კი სტუმართა სამწვრთნელო შტაბი ლებრონს სათადარიგოთა სკამზე სვამდა, "ლეიკერსი" მაშინვე დიდ გაქცევას აკეთებდა. ბოლო მეოთხედის საწყისი ნუთნახევარი ჯეიმსმა დაისვენა, კალიფორნიელებმა კი ეს მონაკვეთი 9:2 მოიგეს. **ლამარ ოდომმა** ამ დროში, ზედიზედ 5 ქულა დააგროვა და ორი ზუსტი პასიც გააკეთა.

ბოლო მეოთხედის პირველ შვიდ წუთში სტუმრებმა მხოლოდ 7 ქულა დააგროვეს. საბოლოოდ, ყველაფერი ლებრონმა გადაწყვიტა, რომელმაც უკანასკნელ 2 წუთში კობის ორჯერ აართვა ბურთი, 5 ქულა დააგროვა და "ლეიკერსმაც" ზედიზედ მეხუთე მარცხი იწვნია.

საგულისხმოა ისიც, რომ გუნდებმა ჯამში 97 (!) საჯარიმო სროლა შეასრულეს, **ლარი ჰიუზმა** კი 10 ერთქულიანიდან მხოლოდ 3 გამოიყენა.

**ზურაბ თალაკვაძე**

## ევროლიგა. II ჯგუფური ტურნირი. I ტური

**D ჯგუფი**

**რომა-პო ორტეზი 78:68**

25:19, 17:12, 18:19, 18:18

**რომა:** რიგეტი (16 ქ. 6 მ), დ. ჰოკინსი (15 ქ. 3 ჩ), ჩეტმენი (12 ქ. 5 მ. 5 პ), სტეფანსონი (11 ქ).

**პო-ორტეზი:** ჯონსენი (16 ქ. 6 მ), მ. რაიტი (10 ქ. 10 მ), სანდერსი (10 ქ. 7 მ. 3 ჩ).

**მაკაბი-ტაუ 68:79**

24:30, 13:8, 17:19, 14:22

**მაკაბი:** ელიაჰუ (17 ქ. 7 მ. 3 პ), ბერშტაინი (13 ქ. 5 მ), ვუიჩიჩი (12 ქ. 10 მ. 8 პ. 2 ჩ).

**ტაუ:** რაკოჩევიჩი (19 ქ), ერდოგანი (14 ქ), სპლიტერი (12 ქ. 5 მ).

**E ჯგუფი**

**ცსკა-ხუვენტუდი 81:69**

22:23, 23:22, 20:6, 16:18

**ცსკა:** სმოდიში (24 ქ. 3 პ), ლენგდონი (13 ქ. 3 ჩ), პაპალუკასი (11 ქ. 6 პ. 5 ჩ).

**ხუვენტუდი:** რ. ფერნანდესი (20 ქ. 4 მ. 4 პ), ბარტონი (14 ქ. 5 მ. 2 დ), არჩიბალდი (11 ქ. 5 მ).

**პარტიზანი-ოლიმპიაკოსი 84:92**

19:30, 15:22, 19:18, 31:22

**პარტიზანი:** ვ. კამინგსი (25 ქ. 5 მ), პ. დრობნიაკი (21 ქ. 5 მ. 2 ჩ), ტეპიჩი (11 ქ), კეჩმანი (10 ქ. 6 მ).

**ოლიმპიაკოსი:** ჯ. პენი (27 ქ. 3 ჩ), შორცანიდისი (18 ქ. 5 მ), აკერი (14 ქ. 4 მ. 3 პ), ჟიჟიჩი (10 ქ. 8 მ).

**F ჯგუფი**

**პანათინაიკოსი-ეფესი 84:57**

19:12, 21:10, 19:22, 25:13

**პანათინაიკოსი:** დიკუდისი (20 ქ), შიშკაუსკასი (12 ქ), დელკი (12 ქ), ცარცარისი (11 ქ. 9 მ).

**ეფეს პილზენი:** ჯენკინსი (21 ქ. 3 პ), გონლუმი (4 ქ. 9 მ. 3 დ).

**ბარსელონა-პროკომი 92:73**

24:17, 21:12, 23:17, 24:27

**ბარსელონა:** ბაზილე (18 ქ. 5 მ), ტრიასი (15 ქ. 7 მ), ვასკესი (15 ქ. 6 მ), კაკიუზისი (11 ქ. 4 მ), ნავარო (4 ქ. 8 პ).

**პროკომი:** რ. ეტკინსი (19 ქ. 4 პ), ბეშოქი (16 ქ), დალმაუ (11 ქ).

**G ჯგუფი**

**უნიკახა-ბენეტონი 75:61**

27:10, 12:16, 21:17, 15:18

**უნიკახა:** ხიმენესი (14 ქ. 3 მ. 3 პ), სანტიაგო (13 ქ. 7 მ. 4 პ), ბ. როდრიგესი (12 ქ. 6 მ. 3 პ), ველში (8 ქ. 8 მ. 3 პ. 3 ჩ).

**ბენეტონი:** გორე (24 ქ. 7 მ. 4 ჩ), მორდენტე (11 ქ. 4 მ).

**არისი-დინამო 74:86**

22:23, 21:20, 18:18, 13:25

**არისი:** სკეილსი (20 ქ. 3 მ), მ. უილკინსონი (15 ქ), ცალდარისი (13 ქ), მასეი (12 ქ. 7 მ. 3 პ).

**დინამო:** პაპადოპულოსი (18 ქ. 7 მ. 2 დ), ფოცისი (16 ქ. 5 მ), ბ. პოპოვიჩი (14 ქ. 4 ჩ), დინი (12 ქ), ვასილიევი (10 ქ).


მაკაბი-ტაუ

სენსაცია

# პიპენი ბრუნდება?


სკოტი პიპენი

გუშინ, სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა ამერიკულ პრესაში. ლეგენდარული კალათბურთელი **სკოტი პიპენი** NBA-ში დაბრუნებას აპირებს, რათა ჩემპიონობისთვის მებრძოლ რომელიმე გუნდს შეუერთდეს.

41 წლის პიპენმა გაზეთ Chicago Tribune-ის ჟურნალისტთან ისაუბრა და განაცხადა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საუკეთესო ფიზიკურ ფორმაში იმყოფება. *"ვგრძნობ, რომ სწრაფად სირბილი შემიძლია, კალათბურთის თამაშიც არ დამვიწყებია. დღევანდელ ლიგაში ბევრ ისეთ კალათბურთელს ვხედავ, რომლებსაც არ შეუძლიათ ლიდერის ფუნქციების შესრულება. ამიტომაც მგონია, რომ კიდევ შემიძლია რომელიმე გუნდისთვის დახმარების გაწევა"*, - ამბობს პიპენი.

ამ კალათბურთელის ფიზიკური ფორმის შემოწმების საშუალება "ყველა ვარსკვლავის" უიქ ენდზე იქნება შესაძლებელი, სადაც პიპენი Shooting Stars-ის კონკურსში მიიღებს მონაწილეობას.

## სხვადასხვა

ველოსპორტი

### ულრიხს ლიცენზიას აღირსებენ

შვეიცარიის ველოფედერაცია მზად არის, 2007 წლის სეზონისთვის პროტურის ლიცენზია მისცეს ცნობილ გერმანელ ველომრბოლ **იან ულრიხს**.

ფედერაციის ხელმძღვანელებმა ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ, ვერ აღმოაჩინეს 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის კავშირი **ეუფემიანო ფუენტესის** გახმაურებულ საქმესთან.

ასე რომ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და "ტურ დე ფრანსის" ყოფილი გამარჯვებული იან ულრიხი, სავარაუდოდ წელს დაუბრუნდება ველოსპორტს.

ფორმულა 1

### კიმი ფერარით კმაყოფილია

იტალიურმა "გაძეტა დელო სპორტმა" "ფერარის" ახალწვეულის - ფინელი **კიმი რაიკონენის** ინტერვიუ დაბეჭდა. ჟურნალისტთან საუბარში კიმი აცხადებს, რომ იტალიურ გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლის კარგი შანსები აქვს.

*"ჯერჯერობით, ახალ ბოლიდს დასრულებული სახე არ მიუღია და მის შესაძლებლობებზე ამომწურავი მსჯელობა შეუძლებელია, თუმცა ვგრძნობ, რომ ძალიან სწრაფი მანქანა გვეყოლება. ახლა მთავარია, ჩემპიონატში გასამარჯვებლად აბსოლუტურად ყველაფერი, ყოველი ელემენტი სრულყოფილებამდე იყოს მიყვანილი. მართალია, ჩემზე ზეწოლას არავინ ახდენს და მაქსიმალურად დახარჯვასაც არ მთხოვენ, მაგრამ ძალიან მინდა ტიტულის მოგება - ჩემთვის და ჩემი ახალი გუნდისთვის"*, - ამბობს კიმი რაიკონენი.

"გაძეტა დელო სპორტი" იმასაც წერს, რომ ოთხშაბათს, ტესტების დროს ბარსელონას ტრასაზე **მიხაელ შუმახერი** გამოჩნდა.

კრივი

### პაკიაო ამერიკელი ჟურნალისტების რჩეულია

ამერიკის ჟურნალისტთა ასოციაციის იმ ნაწილმა, რომელიც კრივზე არის სპეციალიზირებული, 2006 წლის საუკეთესო მოკრივედ ფილიპინელი **მენი პაკიაო** აღიარა.

სპორტსმენს პრესტიჟული პრიზით ამა წლის ივნისში, ასოციაციის პრიზების გადაცემის რიგით 82-ე ცერემონიალზე დააჯილდოვებენ. წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული პაკიაოს დამრიგებელმა - **ფრედი როუჩმა** მიიღო.

2006 წელს, 59 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოასპარეზე ფილიპინელმა სამი ბრძოლა გამართა. მან ორჯერ ნოკაუტით მოუგო ცნობილ მექსიკელ **ერიკ მორალესს** და ქულებით დაამარცხა ასევე მექსიკელი - **ოსკარ ლარიოსა**.

ასოციაციამ წლის საუკეთესო ბრძოლად 55.4 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, **სომსაკ სიტჩატჩავალის** (ტაილანდი) და **მაჰიარ მონშიპურის** (ირანული წარმოშობის ფრანგი მოკრივე) დაპირისპირება აღიარა. ეს ორთაბრძოლა 18 მარტს საფრანგეთში გაიმართა და მეათე რაუნდში ტაილანდელის ვადამდელი გამარჯვებით დასრულდა.

ჩოგბურთი

### დავიდენკო პრესაზე ნაწყენი ყოფილა

დევისის თასის მოქმედ ჩემპიონ რუსეთის ნაკრებს, ამ სეზონში ზედიზედ მეორედ მოუწევს თავისი ყველაზე რეიტინგული ჩოგბურთელის - **ნიკოლაი დავიდენკოს** გარეშე ფონს გასვლა.

როგორც ადრე იტყობინებოდნენ, დავიდენკომ ჩილესთან მერვედფინალური შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა. მაგრამ, როგორც ირკვევა, რუსი ჩოგბურთელი იმაზე გაბრაზებულა, რომ რუსეთის ნაკრების შარშანდელი ტრიუმფი სათანადოდ არ გაშუქებულა პრესაში.

მეოთხედფინალში რუსების მეტოქე საფრანგეთის ნაკრები იქნება და დავიდენკოს კვლავ **იგორ ანდრეევი** შეცვლის.

ჰოკეი

### ჰაშეკი ყინულს უბრუნდება

"დეტროიტის" ძირითადმა მეკარემ, ლეგენდარულმა ჩეხმა **დომინიკ ჰაშეკმა** მაჯის ტრავმა მოირჩინა და კვირას, "ფინიქსთან" მატჩში "რედ უინგზის" შემადგენლობაში დაბრუნდება.

ბოლო 10 დღის განმავლობაში, "დეტროიტში" მეკარის პრობლემა აქტუალური იყო. გარდა ჰაშეკისა, ტრავმა ჰქონდა კიდევ ერთ ვეტერანს - **კრის ოსგუდს**, რომელიც ასევე გამოჯანმრთელდა და "დალასთან" ბოლო ტურის შეხვედრისას, დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის გამარჯვებაში. ასე რომ, რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა მეკარის პრობლემა საბოლოოდ მოაგვარა.

### ფინიქსმა კაპიტანი გაიფორმა

"ფინიქს კოიოტზის" ხელმძღვანელობამ ახალი, 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა გუნდის კაპიტან **შეინ დოუნთან**.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ამ ხუთი წლის განმავლობაში, დოუნი ხელფასის სახით 22.75 მილიონ დოლარს მიიღებს, ანუ წელიწადში - 4.55 მილიონ დოლარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




პიტერ ფორსბერგი

ტრანსფერი

# ფორსბერგი მტაცებელი გახდა

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დიდი ტრეიდი განხორციელდა. თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი, შვედი **პიტერ ფორსბერგი** "ფილადელფია ფლაიერზიდან" "ნეშვილ პრედატორზში" გადავიდა.

"ფილადელფიას" ბოსები შვედი ჰოკეისტის გაშვებისას, ორი მიზეზით ხელმძღვანელობდნენ. ერთი ის, რომ ფორსბერგს ტრავმებისკენ აქვს მიდრეკილება და ხშირად ტოვებს მატჩებს. ამიტომაც, წელს მან "მფრინავებს" ნაკლები სარგებელი მოუტანა და ეს კლუბი რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი უიმედო აუტსაიდერია. ფორსბერგის გასხვისების მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ამ სეზონის შემდეგ, ფორვარდი თავისუფალი აგენტი გახდება და "ფლაიერზის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მის მასში სულ არაფრის ნაცვლად, რაღაც მაინც მიელო.

ეს "რაღაც" გახლავთ ორი ახალგაზრდა ჰოკეისტი - 20 წლის **რაიან პარენტი** და 23 წლის **სკოტი აპშოლი**. ამათ გარდა, "ნეშვილმა" ფორსბერგის სანაცვლოდ, მომავალი დრაფტის პირველ და მესამე რაუნდებში მოთამაშეების არჩევის უფლებაც დათმო.

როგორც ზემოთ გითხარით, "ფილადელფიას" ფლეი ოფში მოხვედრის პერსპექტივა არ გააჩნია, "ნეშვილი" კი პირიქით, რეგულარული ჩემპიონატის ლიდერია და წელს, დიდი ამბიციებიც გააჩნია. ასე რომ, თუ შვედმა ფორვარდმა ტრავმები თავიდან აიცილა, მისი სახით "მტაცებლებს" დიდი ძალა შეემატება.

პიტერ ფორსბერგი საკმაოდ ტიტულოვანი ჰოკეისტი გახლავთ. 2003 წელს, ის ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და სეზონის საუკეთესო მოთამაშედაც დასახელდა. შვედმა 1996 და 2001 წლებში, "კოლორადოსთან" ერთად ორჯერ სტენლის თასი მოიგო. დიდ წარმატებებს მიაღწია შვედეთის ნაკრებში თამაშის დროსაც - ამ გუნდთან ერთად ორჯერ მოიგო ოლიმპიური თამაშები (1994 და 2006 წლებში).

სულ ფორსბერგს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 680 მატჩი აქვს ჩატარებული. მის ანგარიშზეა 246 გოლი და 610 შედეგიანი გადაცემა. ამ სეზონში, შვედმა 40 მატჩში 11 გოლი გაიტანა და 29 საგოლე პასი გააკეთა. ტრავმების გამო, ფორვარდს 16 მატჩის გამოტოვება მოუწია.

რაც შეეხებათ "ფილადელფიაში" გადასულ აპშოლსა და პარენტს, პირველ მათგანს 14 მატჩში ორი გოლი და ერთი საგოლე გადაცემა აქვს, პარენტი კი, 32 შეხვედრაში 3 გოლითა და 6 პასით იწონებს თავს.

■ ■ ■

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა 28 თებერვალს იხურება და თუ ამერიკულ პრესას დავუჯერებთ, ამ დღეებში კიდევ ერთი დიდი გაცვლის მოწმენი გავხდებით.

"ტამპა ბეი" მაღალი კლასის მეკარეს ეძებს და შესაძლოა, "ჩიკაგოდან" რუსი **ნიკოლაი ხაბიბულინი** გადაიბიროს. "ლაითნინგს" სანაცვლოდ რომელიმე თავისი ლიდერის დათმობა მოუწევს. ვარაუდობენ, რომ ეს იქნება ჩეხი **ვაცლავ პროსპალი**, რომელსაც "ტამპა ბეის" შეფობასთან კონფლიქტი ჰქონია.

გარდა ამისა, სახელდება **ბრედ რიჩარდსისა** და **მარტინ სენტ ლუისის** სახელები. თუმცა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ორი ჰოკეისტიდან "ტამპა" რომელიმეს შეელიოს. რიჩარდსი ლიდერის თვისებებით არის დაჯილდოებული, ხოლო სენტ ლუისი კი, თავის კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს.

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ტამპა ბეი-ვაშინგტონი 3:2 (ბ)**

**0:1, 2:0, 0:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 სიომინი-30 (ზუბრუსი-32), 1:1 ლეკავალიე-38 (ბოილი-33, ბ. რიჩარდსი-30), 2:1 ლეკავალიე-39 (სენტ ლუისი-44), 2:2 ზუბრუსი-20.

**ბულიტები გაიტანეს:** სენტ ლუისი (ტამპა ბეი).

**ბაფალო-ედმონტონი 2:1 (ო)**

**0:1, 1:0, 0:0, 1:0**

**გოლები:** 0:1 ჰორკოფი-13 (ჰემსკი-36, რ. სმიტი-20), 1:1 აფინოგენოვი-23 (ვანეკი-27, ტალინდერი-5), 2:1 ბრიერი-25 (ჰეხტი-19, კალინინი-15).

**კაროლინა-რეინჯერსი 1:4**

**1:1, 0:2, 0:1**

**გოლები:** 0:1 ნიულანდერი-19 (იაგრი-49, სტრაკა-37), 1:1 ლედი-6 (ე. სტაალი-30, ს. უოკერი-22), 1:2 რახუნეკი-4 (ნიულანდერი-43, ეივერი-20), 1:3 ლუპუი-11 (კულენი-16, ორტმაიერი-6), 1:4 შენეპანი-28 (ეივერი-21, რახუნეკი-18).

**ფილადელფია-ტორონტო 2:4**

**0:3, 1:0, 1:1**

**გოლები:** 0:1 ო'ნილი-19 (სტაიანი, სტინი), 0:2 ანტროპოვი-10 (სუნდინი-30, მაკეიბი-30), 0:3 კალაიაკოვო-4 (კუბინა-10), 1:3 განიე-30 (ჟიტნიკი-18, პიტკანენი-27), 1:4 სუნდინი-23 (მაკეიბი-31, პონიკაროვსკი-18), 2:4 ნუბლი-22 (ჯ. კარტერი-14, განიე-17).

**ფინიქსი-ანაჰაიმი 4:5 (ო)**

**2:1, 2:1, 0:2, 0:1**

**გოლები:** 0:1 სელიანე-33 (ე. მაკდონალდი-36, კუნიტცი-25), 1:1 ნოლანი-14 (ტიარნკვისტი-4, კ. ადამსი-5), 2:1 ბალარდი-4 (რაინპრეხტი-13, დოენი-17), 3:1 ტიარნკვისტი-2 (ლარაკი-17, რიონიკი-12), 4:1 საპრიკინი-12 (როჩი-9, ზიგომანისი-7), 4:2 პრონგერი-8 (ს. ნიდერმაიერი-36, სელიანე-32), 4:3 პენერი-19 (შენონი-8, ს. ნიდერმაიერი-37), 4:4 პრონგერი-9 (გეტცლაფი-16, პერი-18), 4:5 სელიანე-34 (გეტცლაფი-17, ე. მაკდონალდი-37).

**აილენდერსი-ბოსტონი 4:1**

**1:0, 0:1, 3:0**

**გოლები:** 1:0 ტამბელინი-1 (სილინჯერი-26), 1:1 გ. მიურეი-27 (სავარი-53, კესელი-7), 2:1 სილინჯერი-19 (ჰილბერტი-15), 3:1 რ. რობიტაილი-9 (ჯ. ბლეიკი-22, ჰილი-20), 4:1 რ. რობიტაილი-10 (ჰილბერტი-16, ჯ. ბლეიკი-23).

**კალგარი-კოლორადო 5:7**

**2:1, 2:3, 1:3**

**გოლები:** 1:0 იგინლა-26 (ტანგეი-39, კონროი-17), 2:0 კონროი-8 (ტანგეი-40, ჰამრლიკი-18), 2:1 საკიკი-25 (ბრუნეტი-31, ლაილსი-21), 2:2 ბრუნეტი-20 (საკიკი-40, რიჩარდსონი-5), 3:2 ლომბარდი-17 (ჰამრლიკი-19), 4:2 იგინლა-27 (ტანგეი-41, კონროი-18), 4:3 ჰეიდუკი-19 (ბრუნეტი-32, საკიკი-41), 4:4 ჰეიდუკი-20 (სკრასტინსი-7, მეი-2), 4:5 ბ. კლარკი-6 (რიჩარდსონი-6, სკრასტინსი-8), 5:5 ლომბარდი-18 (პრიმო-9), 5:6 ჰეიდუკი-21 (კლი-12, საკიკი-42), 5:7 საკიკი-26 (ვ. შჩასტნი-30, მეი-3).

ამ შეხვედრის ერთ-ერთი გმირი "კოლორადოს" ვეტერანი ფორვარდი **ჯო საკიკი** გახდა. გარდა იმისა, რომ მან 5 ქულა (2 გოლი+3 პასი) დააგროვა, საკიკმა კარიერაში 600-ე შაიბის გატანა მოახერხა. "კოლორადოს" კაპიტანი ლიგის ისტორიაში მე-17 ჰოკეისტი გახდა, ვინც ამ ზღვარის გადალახვა შეძლო.

## TV სპორტი

**17 თებერვალი. შაბათი**

**I არხი**

**15:45** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-თსუ (LIVE).

**SPORT 1**

**08:00** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ბოლივარი (ბოლივია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
**09:45** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**10:00** სპორტინფორმი.
**10:10** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ვაშინგტონი.
**11:55** სპორტინფორმი.
**12:05** მძლეოსნობა.
**12:20** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-შტუტგარტი.
**14:05** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**14:35** სინქრონული ცურვა. მსოფლიო თასი. რუსეთი.
**16:11** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-სან ხოსე.
**17:45** სპორტ-დოსიე
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-მილანი (LIVE).
**19:55** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**20:25** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ემპოლი-რომა.
**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**23:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბეტისი (LIVE).
**01:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვილიარეალი (LIVE).
**02:55** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ფერეირა-სპორტინგი.
**02:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ლიონი-რეალი.
**06:30** მძლეოსნობა.
**06:45** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-სან ხოსე.
**08:30** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**08:59** სპორტ-დოსიე.

**EUROSPORT**

**11:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნორვეგია.
**12:00** ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. I ცდა. სიგულდა. ლატვია (LIVE).
**12:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სლალომი. II ცდა. არე. შვედეთი.
**13:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სლალომი. I ცდა. არე. შვედეთი (LIVE).
**14:00** ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. II ცდა. სიგულდა. ლატვია.
**14:30** ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. I ცდა. სიგულდა. ლატვია (LIVE).
**15:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სლალომი. I ცდა. არე. შვედეთი.
**15:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სლალომი. II ცდა. არე. შვედეთი (LIVE).
**17:00** ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. II ცდა. სიგულდა. ლატვია.
**17:15** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ნიუპორტი (LIVE).
**20:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ანტვერპენი. ბელგია.
**21:00** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ქალები. 1/2 ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
**22:15** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
**23:30** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ნიუპორტი (LIVE).
**02:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნორვეგია.
**03:00** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ნიუპორტი.
**04:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნორვეგია.

**EUROSPORT 2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**13:30** საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
**14:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი.
**15:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ბლექბერნი.
**15:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ჰაპოელი-რეინჯერსი.
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ანტვერპენი. ბელგია.
**17:45** მულტისპორტი.
**18:15** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ქალები. 1/2 ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
**19:15** სნოუბორდი.
**20:30** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლიუბლიანა (სლოვენია)-ოლბორგი (დანია) (LIVE).
**22:00** ახალი ამბები.
**22:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
**00:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. არე. შვედეთი (LIVE).
**01:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. სან ხოსე. აშშ (LIVE).
**03:00** ახალი ამბები.

**18 თებერვალი. კვირა**

**I არხი**

**14:00** ფეხბურთი. საქართველოს თასი. 1/8 ფინალი. ამერი-დინამო (თბ) (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა (LIVE).

**SPORT 1**

**09:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**12:20** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**12:50** ფიტნესი.
**13:15** მძლეოსნობა. ბირმინგემის გრან-პრი. ინგლისი.
**16:15** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ფერეირა-სპორტინგი.
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-კიევო (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ხეტაფე (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ატლეტიკო (LIVE).
**01:55** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**03:30** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**04:00** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**04:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**05:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერ იუნ-სელტიკი.
**06:50** ფიტნესი.
**07:15** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**07:45** მძლეოსნობა.

**EUROSPORT**

**11:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნორვეგია.
**12:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. არე. შვედეთი (LIVE).
**12:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური. არე. შვედეთი (LIVE).
**14:30** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ქალები. მე-3 ადგილისთვის. ვენა. ავსტრია (LIVE).
**15:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური. არე. შვედეთი (LIVE).
**17:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
**18:45** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ნიუპორტი (LIVE).
**20:30** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ქალები. ფინალი. ვენა. ავსტრია.
**21:15** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ფინალი. ვენა. ავსტრია.
**22:15** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
**22:45** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ნიუპორტი.
**23:30** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ნიუპორტი (LIVE).
**02:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნორვეგია.
**03:00** კრივი. WBA. ზემძიმე წონა. ნ. ვალუევი (რუსეთი)-ჯ. მაკლეინი (აშშ). ბაზელი. შვეიცარია.
**04:00** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT 2**

**10:30** ახალი ამბები.
**12:00** ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური. I ცდა. სიგულდა. ლატვია (LIVE).
**12:30** ახალი ამბები.
**13:00** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნორვეგია (LIVE).
**14:00** ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური. II ცდა. სიგულდა. ლატვია.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. სან ხოსე. აშშ.
**15:30** ახალი ამბები.
**16:00** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მე-3 ადგილისთვის. ვენა. ავსტრია (LIVE).
**17:00** ახალი ამბები.
**17:15** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ქალები. ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
**18:15** ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური. II ცდა. სიგულდა. ლატვია.
**18:45** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
**19:45** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლიუბლიანა (სლოვენია)-ოლბორგი (დანია).
**20:45** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. უნიკახა-რეალი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** ლაკროსი.
**00:30** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ქალები. ფინალი. ვენა. ავსტრია.
**01:15** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ფინალი. ვენა. ავსტრია.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. სან ხოსე. აშშ.
**03:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. სან ხოსე. აშშ (LIVE).
**04:45** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ნორთჰემპტონი-ჯილინგემი | 1:1 |
| **II ლიგა** | |
| ჰოლსოლი-ლინკოლნი | 1:2 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| გალიპოლი-კავეზე | 0:3 |
| **გერმანია** | |
| აინტრახტი-შტუტგარტი | 0:4 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუე-ბურგჰაუზენი | 3:0 |
| კობლენცი-კაიზერი | 0:0 |
| უნტერჰახინგი-ოფენბახი | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ლევერკუზენი II-ვერდა II | 2:1 |
| კილი-ვუპერტალი | 1:1 |
| ოსნაბრიუკი-ერფურტი | 4:0 |
| ვილჰელმშავენი-უნიონი | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| ლილი-ლიონი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ამიენი-რეიმსი | 2:1 |
| კრეტეი-გრენობლი | 1:1 |
| ლიეონი-ბასტია | 0:0 |
| გინგამი-ისტრი | 3:0 |
| ჰავრი-აიაჩო | 4:1 |
| მონპელიე-ბრესტი | 0:0 |
| ნიორი-ლიბურნი | 2:0 |
| ტური-გენიონი | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| ვილემი-დენ ჰააგი | 2:1 |
| ბრედა-სპარტა | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ცვოლე | 1:2 |
| კამბური-ეინდჰოვენი A | 0:0 |
| გრაფსხაპი-ფორტუნა | 4:1 |
| ემენი-მაასტრიხტი | 0:0 |
| დორდრეხტი-დენ ბოში | 0:4 |
| იგლზი-ჰელმონდი | 1:2 |
| ჰაარლემი-ვენლო | 0:1 |
| როსენდალი-ვეენდამი | 1:1 |
| ტოპ ოსი-ომნივორლდი | 4:5 |
| **ბელგია** | |
| მონსი-ბრიუგე | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ-ნავალი | 4:0 |
| **ფინეთის ლიგის თასი** | |
| ვიკინგიტი-კტპ | 2:1 |
| ჰონკა-მიუპა | 0:1 |
| ვაასა-ტპს | 2:0 |
| **თურქეთი** | |
| ქონიასპორი-ბეშიქთაში | 2:1 |
| **არგენტინა** | |
| ლანუსი-ბანფილდი | 2:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ბეჟანსონი-გრაველენი | 97:91 |
| რუანი-ვილერბანი | 87:84 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| დინამო-სკა | 3:1 |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-დუისბურგი | 6:1 |
| დიუსელდორფი-კიოლნი | 1:0 |
| ისერლონი-ჰამბურგი | 6:3 |
| მანჰაიმი-ინგოლშტადტი | 4:2 |
| ნიურნბერგი-ჰანოვერი | 3:5 |
| ფრანკფურტი-აისბარენი | 4:3 |
| შტრაუბინგი-კრეფელდი | 5:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| მიკულაში-ტრენჩინი | 0:3 |
| პოპრადი-ნიტრა | 4:0 |
| ჟილინა-სკალიცა | 0:8 |
| კოშიცე-მარტინი | 4:3 |
| სლოვანი-ზვოლენი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე ვსეტინი | 5:2 |
| ქლინი-ტრშინეცი | 4:3 |
| კლადნო-ლიბერეცი | 6:6, პენ 6:7 |
| პლზენი-კარლოვი ვარი | 3:5 |
| პარდუბიცე-სლავია | 3:2 |
| სპარტა-ბუდეიოვიცე | 6:5 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ბაზელი | 5:1 |
| ჟენევა-ციურიხი | 4:4, პენ 4:5 |
| კლოტენი-ამბრი პიოტა | 5:5, ოტ. 6:5 |
| რაპერსვილი-დავოსი | 3:7 |
| ფრიბურგი-ლუგანო | 4:2 |
| ცუგი-ტაიგერსი | 5:2 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. მარსელი** | |
| ბიორკმანი-სიმონი | 6:7, 2:6 |
| ნიემინენი-ბენეტო | 6:2, 1:6, 6:3 |
| **ATP. კოსტა დო საუიპე** | |
| მონაკო-ალვესი | 6:2, 6:3 |
| ჩელა-რამირეს იდალგო | შეწყდა |
| გილერმო-პორტასი | 6:4, 6:0 |
| **ATP. სან ხოსე** | |
| ფიში-ვარბურგი | 2:6, 6:4, 6:2 |
| კარლოვიჩი-ბლეიკი | 6:7, 7:6, 6:4 |
| ლუ-საფინი | 4:6, 7:5, 4:6 |
| როდიკი-კერი | 6:4, 7:6 |
| **WTA. ანტვერპენი** | |
| პეტროვა-ჩაკვეტაძე | 3:6, 4:6 |
| მორესმო-საფინა | 6:1, 6:3 |
| **WTA. ბანგალორი** | |
| ჩინკი-ობზილერი | 4:6, 6:7 |
| მირზა-შვედოვა | 7:6, 4:6, 4:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი




ჯალათის დაბრუნება

# ჰოპკინსმა გადაიფიქრა

**ბერნარდ ჰოპკინსმა** უკრივოდ ერთი წელიც ვერ გაძლო. საშუალო წონის ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ვინც ბოლო ბრძოლა ქვემძიმე წონაში ჩაატარა, რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა. ოღონდ, პირველად არა ზემძიმე წონაში იბრძოლებს, როგორც თავიდან სურდა, არამედ ქვემძიმეში. მისი მეტოქე კი ქვესაშუალო წონის ყოფილი ჩემპიონი **რონალდ "ვინკი" რაიტი** იქნება.

ორმხრივი შეთანხმებით, ბრძოლა ქვემძიმე წონაში, 21 ივლისს ჩატარდება. რომელ ქალაქს ერგება მისი მასპინძლობის პატივი, ეს მოგვიანებით გაირკვევა. ჰოპკინსი (47-4-1, 32 ნოკაუტი) ახლა 42 წლისაა ტარვერი მან გასულ ივნისში ატლანტიკ სიტიში დაამარცხა, რის შემდეგაც გამოაცხადა, რომ პროფესიულ კრივს ტოვებს.

რაიტი 35 წლისაა. ადრე ის ქვესაშუალო წონაში ბატონობდა, მერე კი საშუალო წონაში დამკვიდრდა. პროფესიულ რინგზე მან 51 ბრძოლა მოიგო, სამი დათმო და ერთიც ფრედ დაასრულა. ამასთან, 25 გამარჯვება მან ნოკაუტით მოიპოვა.

ჰოპკინსს თავისი დედის, ან გარდაცვლილი შირლისთვის პირობა ჰქონია მიცემული, 41 წლისა რინგზე აღარ ავიდოდა. ეს პირობა მან კრივიდან წასვლამდეც დაარღვია - ტარვერს რომ შეხვდა, პირობის შესრულებას ხუთი თვით გადააცილა. ასე იყო თუ ისე, მაშინ მან განაცხადა, რომ ხელთათმანებს ლურსმანზე სამუდამოდ ჰკიდებდა.

კრივი კი მიატოვა, მაგრამ ჰოპკინსი სულ წუწუნებდა, რომ ვარჯიშის გარეშე მაინც ვერ ძლებდა. ის მუდმივად ვარჯიშობდა და ამბობდა, რომ თუ მოისურვებდა, რინგზე დაბრუნება არ გაუჭირდებოდა. შემდეგ კი პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰოპკინსი ზემძიმე წონაში WBC-ს ჩემპიონ **ოლეგ მასკაევს** იწვევდა ბრძოლაში.

*"ვიცი, რომ ჩემი ამ გადაწყვეტილების ახსნა გამიჭირდება. დარწმუნებული ვარ, დედაჩემი გამიგებდა. ჩემმა დებმა, ბერნადეტმა, იოლანდამ, მარსიმ და ჩარმენმა თუ გამიგეს, ისიც გამიგებდა. საბრძოლველად ყოველთვის მზად ვიყავი და ახლაც ასეა. ახალ კარიერას ვიწყებ და თუ ტრავმებს არ მივიღებ და ყოველთვის ძლიერ მოკრივეებთან მექნება საქმე, მინიმუმ ოთხი წელი კიდევ ვიბრძოლებ. გარწმუნებთ, საუკეთესო ფორმაში ვარ და ნებისმიერ მეტოქესთან გამკლავება შემიძლია"*, -"ფილადელფია დეილი ნიუსთან" საუბრისას განაცხადა ჰოპკინსმა, ვისაც საკრივო სამყაროში "ჯალათის" მეტსახელითაც იცნობენ.

სხვათა შორის, მასკაევის გარდა, ჰოპკინსის მენეჯერი და ამავდროულად, საპრომოუტერო კომპანია "გოლდენ ბოი პრომოუშნის" მთავარი აღმასრულებელი სხვა ცნობილ მოკრივეებთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებას. მათ შორის, ზესაშუალო წონის აბსოლუტურ ჩემპიონთან, უელსელ **ჯო კალძაგესთან**, სხვადასხვა წონაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ **როი ჯონს უმცროსთან** და კრეისერის (მძიმე) წონის აბსოლუტურ ჩემპიონ **ო'ნილ ბელთან**.

*"ვინკი ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივეა მსოფლიოში. არ მეგულება კრივის სპეციალისტი, ვისაც ის საუკეთესო ოთხეულში არ შეჰყავდეს. თუ მას დავამარცხებ, ესე იგი, ისევ ტოპ-მოკრივეებს შორის დავბრუნდები. ეს კი ძალიან ძნელი იქნება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ძველებურად შემიძლია ბრძოლა, მაგრამ ასაკს თავისი მიაქვს. თუმცა, ეს შეიძლება სხვებისთვის, მაგრამ არა ჩემთვის. ვთვლი, რომ ასაკს ჯერ არ დავუმარცხებივარ. უფრო მეტიც, საუკეთესო ბრძოლები ჯერაც წინ მელის. იმის თქმას კი არ ვაპირებ, რომ დაბრუნების შემდეგ ათ, ან ოც ბრძოლას ჩავატარებ. მაგრამ გარწმუნებთ, მზად ვარ, სწორედ ამდენი ბრძოლა ჩავატარო და მერე წავიდე"*, - ამბობს ჰოპკინსი.

სულ სხვაგვარად ფიქრობს რაიტი, ვინც ქვესაშუალო წონაში (70 კგ-მდე) მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონია. ის დარწმუნებულია, ისეთ სასტიკ მარცხს აწნევს ჰოპკინსს, რომ ის რინგისკენ აღარც გაიხედავს: *"ყოველთვის ვამბობდი, რომ მხოლოდ საუკეთესო მოკრივეებს ვხვდები. ეს ჩემი პრინციპია, რადგან ტყუილად დროის დაკარგვა არ მჩვევია. ჩემთვის სულერთია, თუ ვინაა ჩემი მეტოქე, რა წონა ექნება მას ჩემთან ბრძოლის მომენტში. და ერთ რამეში ვარ დარწმუნებული - ჩემთან ბრძოლა ჰოპკინსისთვის ბოლო იქნება"*!

■ ■ ■

WBC-ს ვერსიით, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის ოფიციალური პრეტენდენტის, ნიგერიელი **სემუელ პიტერის** პრომოუტერი **დინო დუვა** აცხადებს, რომ მზადაა, ჩემპიონ **ოლეგ მასკაევთან** შეხვედრის რიგი დაუთმოს კრივში დაბრუნებულ უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოს**, ვისაც კრივის მსოფლიო საბჭოს წესებით, ჩემპიონთან უპირობო შეხვედრის პრეროგატივა ისედაც აქვს.

ოღონდ, დუვა ამბობს, რომ ამისთვის კლიჩკომ პიტერს იმაზე მეტი თანხა უნდა გადაუხადოს, ვიდრე ნიგერიელი მასკაევთან შეხვედრის შემთხვევაში მიიღებს. ცნობისთვის, ბრძოლის ორგანიზატორები "ნიგერიელ კოშმარს" გასამრჯელოდ 2.5 მილიონ დოლარს სთავაზობენ.

*"პროფესიული კრივი ბიზნესია, ბიზნესში კი არასოდეს არაფერი უნდა გამორიცხო. თუმცა, არა მგონია, სემუელი ბრძოლის დათმობას დათანხმდეს. მას ტიტულის მოპოვება სწყურია და ახლა მხოლოდ ამაზე ფიქრობს. რა თქმა უნდა, ჩვენ ნებისმიერ ვარიანტს განვიხილავთ, მაგრამ იმისთვის, რომ საჩემპიონო ბრძოლაზე უარის საკითხზე დავფიქრდეთ, შემოთავაზებული თანხა იმაზე მეტი უნდა იყოს, ვიდრე სემუელი მასკაევთან შეხვედრის შემთხვევაში მიიღებს"*, - ამბობს დუვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ავტოსპორტი

ფორმულა 1

# ტილკეს ქუჩის რბოლები ურჩევნია

შესაძლოა, მალე ფორმულა 1 კალენდარში მომრავლდეს ისეთი ეტაპების რიცხვი, რომლებზეც რბოლებს ქუჩაში მოწყობილი ტრასები უმასპინძლებს. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი ნაბიჯის გადადგმის საჭიროებაზე ლაპარაკობს დიდი პრიზების რბოლებისთვის განკუთვნილი ტრასების ცნობილი მშენებელი, გერმანელი **ჰერმან ტილკე**.

პოპულარულ ჟურნალ "აუტოსპორტთან" საუბრისას, ტილკემ განაცხადა, რომ ფორმულა 1 შეცდომებზე უნდა ისწავლოს და უარი უნდა თქვას გრანდიოზულ ავტოდრომებზე, რომლებზეც მაყურებელი ტრასისგან მოშორებით იმყოფება. *"მომავლის ტრასები პატარა და უფრო ინტიმური უნდა იყოს, როგორიც, ვთქვათ მონაკოშია. ასეთ ტრასებზე მაყურებელს რბოლების ახლო მანძილიდან ხილვის საშუალება უნდა ჰქონდეს, რაც გაცილებით სანახაობრივს გახდის ასპარეზობას. ბუნებრივია, ამით კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი ჩემპიონატებისადმი ინტერესი. ასეთი ტრასები კი, ფაქტობრივად, მსოფლიოს ბევრ დიდ ქალაქში არსებობს. მათი შექმნისთვის მილიონების დახარჯვა არაა საჭირო და მათ მაყურებლისთვის გაცილებით საინტერესო სანახაობის შეთავაზება შეუძლიათ. გაიხსენეთ თუნდაც მონტე კარლო, სადაც რბოლები განსაკუთრებულ ატმოსფეროში ტარდება"*, - ამბობს ტილკე.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში, მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარში 18 რბოლა იყო შეტანილი, ამ სეზონში კი მათი რაოდენობა ერთით შემცირდება. სამაგიეროდ, 2009 წელს კალენდარს დაემატება აბუ დაბის დიდი პრიზი, ერთი წლის შემდეგ კი ალბათ - სამხრეთ კორეის დიდი პრიზიც. გარდა ამისა, ფორმულა 1 ფაქტობრივ შეფ **ბერნი ეკლსტოუნს** არაერთხელ უთქვამს, რომ დიდი პრიზების ჩატარების მსურველი ქვეყნების რაოდენობა ხუთამდე გაიზარდა.

აბუ დაბის ხელისუფლებასთან ბერნიმ კონტრაქტი ახლახანს გააფორმა. ემირატელებისთვის ტრასას ისევ და ისევ ტილკე მოამზადებს, რომელმაც ამჯერად ქალაქის ქუჩების გამოყენება გადაწყვიტა. აბუ დაბის გარდა, ტილკესთან მოლაპარაკებას აწარმოებს სინგაპურის მთავრობა, რომელსაც ღამის რბოლების ჩატარება სურს. თუ ბერნის თანხმობას მიიღებენ, სინგაპურელებიც ტრასას ქალაქში მოაწყობენ. სხვათა შორის, ღამის რბოლების იდეა ეკლსტოუნსაც მოსწონს. ქუჩის რბოლის ჩატარება სურთ ვალენსიელებსაც, რომლებიც ამისთვის ქალაქის ზღვისპირა ქუჩების გამოყენებას აპირებენ.

ცნობისთვის, ტილკეს დაპროექტებულია მალაიზიის, ჩინეთისა და ბაჰრეინის ულტრათანამედროვე ავტოდრომები, რომლებიც ასეულობით მილიონი დოლარი დაჯდა. არქიტექტორი კი დღეს აცხადებს, რომ ეს დიდი შეცდომა იყო.

*"შანხაის ტრასის აშენება 350 მილიონი დოლარი დაჯდა. რა თქმა უნდა, ის გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ აბა ჰკითხეთ გუნდების პერსონალს. მათ ხომ რბოლების დღეებში დაუსრულებლად უწევთ წინ და უკან სიარული, რაზეც დიდ დროს კარგავენ. არადა, თავისუფლად შეიძლებოდა, გუნდების სათავსოები კომპაქტურად დაგველაგებინა"*, - ამბობს ტილკე და დასძენს, რომ ფორმულა 1 რბოლების მასპინძლობა სურთ მექსიკას, ინდოეთს, რუსეთს, სამხრეთ აფრიკასა და საბერძნეთს, მაგრამ მათგან სერიოზულად ჯერჯერობით, არცერთის კანდიდატურა არ განიხილება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## მძლეოსნობა

დოპინგის საქმე

# გეტლინის საქმეს არბიტრაჟში განიხილავენ

ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ამერიკელი **ჯასტინ გეტლინი** მოითხოვს, რომ მის წინააღმდეგ აღძრული, დოპინგის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმე საარბიტრაჟო სასამართლომ განიხილოს.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის გეტლინი შარშან, აპრილში ტესტოსტერონზე ჩავარდა, რის გამოც მას რვაწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. შარშან ის კარგა ხანს აცხადებდა, რომ უდანაშაულოა, მაგრამ შემდეგ, როცა მიხვდა, რომ სასჯელისგან თავის დაღწევა გაუჭირდებოდა, გამოძიებასთან თანამშრომლობას დათანხმდა. ოღონდ, იმ პირობით, თუ დისკვალიფიკაციის ვადის გაპროტესტების უფლება ექნებოდა.

*"ჯასტინი იმედოვნებს, რომ შეძლებს, ყველას დაუმტკიცოს, რომ შეგნებულად არასოდეს დაურღვევია ანტი-დოპინგური კანონები. ჩვენს მიერ საქმის არბიტრაჟში განხილვა კიდევ ერთი ნაბიჯია, რომლითაც ჩვენ მისი უდანაშაულობის დამტკიცებას ვეცდებით. პარალელურად, ის გააგრძელებს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოსთან თანამშრომლობას, რისი მიზანიც სპორტში დოპინგის გავრცელების წინააღმდეგ პროპაგანდაა"*, - ამბობს გეტლინის ადვოკატი **ჯონ კოლინზი**.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როდისთვის დაინიშნება გეტლინის საქმის განხილვა. თუმცა, აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს (USADA) კანონებით, განაცხადის მიღებიდან, საქმის განხილვა სამ თვეზე გვიან არ უნდა დაინიშნოს.

*"როცა ჯასტინმა აღიარა დადებითი ტესტის შედეგი და დოპინგსაწინააღმდეგო კანონის დარღვევა, მაშინ USADA-სთან მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებდა, რომ გარკვეულ ვადებში, მას რვაწლიანი დისკვალიფიკაციის გაპროტესტების უფლება ექნებოდა. მან ეს უფლება გამოიყენა და ახლა საქმეს არბიტრაჟში განიხილავენ"*, - ამბობს USADA-ს დირექტორი **ტრევის ტაიგერტი**.

გეტლინის სინჯში ჭარბი რაოდენობით აკრძალული პრეპარატის კვალი შარშან, კანზასის ესტაფეტებში ასპარეზობის შემდეგ აღმოაჩინეს. ეს მეორე შემთხვევაა, როცა გეტლინს აკრძალული პრეპარატის გამოყენებაზე იჭერენ, რაც მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს წესებით, სამუდამო დისკვალიფიკაციით ისჯება.

მაგრამ USADA-მ რამდენიმე ფაქტორი გაითვალისწინა, რის გამოც სპრინტერს რვაწლიანი დისკვალიფიკაცია ამყოფინა. ამ გარემოებათაგან ერთი ისაა, რომ გეტლინი ანტი-დოპინგურ კამპანიაში მონაწილეობას დათანხმდა. მეორე კი მის პირველ ჩავარდნას ეხება. ეს მისი სტუდენტობისას, 2001 წელს, აშშ-ის იუნიორთა ჩემპიონატზე მონაწილეობისას მოხდა. მაშინ მის სინჯში ამფეტამინის ჭარბი შემცველობა აღმოაჩინეს. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ამფეტამინს შეიცავდა ის ნივთიერება, რომელიც გეტლინს ექიმებმა გაფანტული ყურადღების სამკურნალოდ დაუნიშნეს და ამ მედიკამენტებს ის მთელი ათი წლის განმავლობაში იყენებდა.

ამის მიუხედავად, გეტლინი ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, მაგრამ მოგვიანებით, მძლეოსნობის ფედერაციების საერთაშორისო ასოციაციამ (IAAF) ეს სასჯელი გაანახევრა.

გეტლინი ამბობს, რომ მან იცის, თუ როგორ მოხვდა მის სინჯში აკრძალული ნივთიერება და ამბობს, რომ ყოველივეს მისი საქმის საარბიტრაჟო სასამართლოში განხილვისას იტყვის. რაც ტესტოსტერონზე ჩავარდა, მძლეოსნობაში აღარ უასპარეზია, მაგრამ ვარჯიში არ შეუწყვეტია. უფრო მეტიც, ამერიკული ფეხბურთის ორ გუნდთან ერთად სისტემატურად ვარჯიშობს.

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ზაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10^ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა